



წინასწარმეტყველი იონა

რედაქტორი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა და
თეოლოგიის დოქტორი
ედიშერ ჭელიძე

რეცენზენტი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი **ნინო მელიქიშვილი**

ქრისტესშობამდელი ეპოქა, განსხვავებით ახალი აღთქმის ჟამისაგან, სულიერი სიბნელით მოცული დროებაა, სადაც ქვეყნიერების ერთ კუთხეში, მხოლოდ ერთი ერის წიაღში, გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ არეალში ანთია ეული სულიერი სანთელი, რომელიც ძველი აღთქმის წყვდიადს აცისკროვნებს. ეს სანთელი სინას მთაზე იუდეველი ერის მიერ მიღებული რჯულია. მაგრამ ერისთვის, როგორც ცოცხალი ორგანიზმისთვის, დამახასიათებელია ცვალებადობა, კარგიდან ცუდისკენ ან პირუკუ. ხშირად ხდება ისე, რომ ეს ერი გარშემომყოფი სახელმწიფოების ზეგავლენის ქვეშ ექცევა, ივიწყებს ღვთაებრივს და მთელი არსებით ცოდვას ეძლევა. სწორედ ასეთ დროს უზენაესი, გზასაცდენილთა გამოფხიზლების მიზნით, იმავე ხალხის წიაღიდან გამოარჩევს მოღვაწეებს, რომლებსაც განსაკუთრებულ მისიას, ერის სულიერ წინამძღვრობას განუწყესებს. ასეთები არიან მსაჯულნი და წინასწარმეტყველები, თუმცა მსაჯულთა ფუნქცია ძირითადად პოლიტიკურ ელფერს ატარებს. ხშირ შემთხვევაში ესაა ადამიანთა კრებული, რომელიც ხმალმომარჯვებული უპირისპირდება მტერს ერის ფიზიკური გადარჩენისთვის. შესაბამისად, სულიერ ი მოვლენების სიღრმისეული ხედვის უნარს, ძველი აღთქმის ეპოქაში არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, მთელი სისავსით სწორედაც რომ წინასწარმეტყველებთან ვხვდებით, რომლებსაც ეს ფუნქცია ზეცამ დააკისრა.

სინას მთაზე რჩეული ერის მიერ რჯულის მიღებას განმმარტებლები თეოკრატიული წყობის დასაწყისს უწოდებენ (ხსენებული წყობილება მთელი ძველი აღთქმის მანძილზე, რჩეულობის დაკარგვამდე გრძელდებოდა). ძველი აღთქმის ცამეტსაუკუნოვანი თეოკრატიული მმართველობის პერიოდს მკვლევარნი ორ მონაკვეთად ყოფენ. პირველი რჯულის მიღებიდან მოყოლებული მწერალ წინასწარმეტყველთა გამოჩენამდე გაგრძელდა (XIII-IX სს.), ხოლო მეორე მონაკვეთს დასაბამი მითითებულმა წინას-

წარმეტყველებმა დაუდეს. ხსენებული დაყოფის მიზეზი ისაა, რომ იუდეველ ერს ჯერ თავად უნდა გაეცნობიერებინა ჭეშმარიტი თეოკრატიის არსი და მხოლოდ ამის შემდეგ ეწინააღმდეგა სულიერად სხვა ერებისთვის და გადარჩენის გზები განეცხადებინა მათ წინაშე. შესაბამისად, მითითებულ პირველ პერიოდში საჭიროება მოითხოვდა არა მესიანური მოძღვრების მთელი სისავსით გადმოშლას, არამედ რჩეული ხალხის მონოთეიზმსა და ზნეობრივი ცხოვრების წესში განმტკიცებას, რის გარეშეც თავად მესიანური იდეაც საფუძველს იქნებოდა მოკლებული. სწორედ ამით აიხსნება იუდეველი ეთნოსის წიაღში შობილი პირველი წინასწარმეტყველი მოსე, რომელმაც ძველალათქმისეული თეოკრატიის შინაარსი წმინდა წერილში აღწერა, მესიის შესახებ მხოლოდ მოკლე და ზოგადი ცნობებით რომ შემოიფარგლება. ყურადღების ძირითად ობიექტად მან ზნეობრივი, სამოქალაქო და საღვთისმსახურო რჯულებანი აქცია სხვა ერებისგან განმხოლოებული ისრაელის რელიგიურ-ზნეობრივი განვითარების მიზეზით. იგივე გრძელდება მოსეს მეგვიდრის, ისუ ნავეს ძის, სამუელის, დავითისა და სოლომონის მმართველობისას. იმავე საბაბით წმინდა წერილის ადრეული პერიოდის წიგნებში, სადაც მხსნელის შესახებაა უწყება, თხრობა იაკობისგან ვარსკვლავის ამოცისკრების¹, იუდას ტომიდან გამოსული მთავრის², დავითის ტახტზე აღზევებული მე-

1 „ვხედავ მას, მაგრამ არა ახლა; ვუყურებ მას, მაგრამ არა ახლოდან. ამოდის ვარსკვლავი იაკობისგან და იმართება კვერთხი ისრაელისგან, მოწყლავს მოაბის მთავრებს და გაანადგურებს შეთის მთელს მოდგმას“. შდრ. ძვ. ქართ.: „უჩუენო მას და არა აწ; ვანატრო და არა მიეახლოს; აღმოვდეს ვარსკვლავი იაკობისგან და აღდგეს კაცი ისრაელისაგან და დასცნეს მთავარნი მოაბელთანი და წარმოსტყუენნეს ყოველნი ძენი სეირისნი“ (რიცხ. 24.17).

2 „არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არც არგანი ფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“. შდრ. ძვ. ქართ.: „არა მოაკლდეს მთავარი იუდასგან და წინამძღუარი წყვლთაგან მისთა, ვიდრემდის მოვიდეს, რომლისა დამარხულ არს, და იგი არს მოლოდებამ წარმართთა“ (დაბ. 49.10).

ფის¹ სახით აღიწერება. ამიტომაც მითითებულ ეპოქაში მოღვაწე ადამიანები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, არათუ ცალკეული საწინასწარმეტყველო მანუსკრიპტებით წარმოგვიდგებიან, არამედ საერთო იუდაური ისტორიის ცალკეულ მცირე მონაკვეთში ჰპოვებენ ასახვას (იგულისხმება მეფეთა წიგნები).

სამეფო ინსტიტუტის შემოღებამდე იუდეველი ერის მმართველებად, როგორც წესი, მღვდელმთავრები გვევლინებიან. ისინი საკუთარ თაში მეფის, მღვდლისა და წინასწარმეტყველის ფუნქციას აერთიანებდნენ. მა-

1 „როცა დრო მოგვივა და შენს მამა-პაპასთან განისვენებ, მე აღვადგენ შენ შემდგომად ნაშიერს, შენი საზარდულიდან გამოძავალს, და მეფობას განვუმტკიცებ. ის ააშენებს სახლს ჩემი სახელისთვის და მე განვამტკიცებ მისი მეფობის ტახტს სამარადისოდ. მე მამა ვიქნები მისთვის, ის კი შვილი იქნება ჩემთვის. თუ დააშავებს, გავწკებლავ კაცთა წესით და ვცემ ადამიანთა ჩვეულებით“. შდრ. ძვ. ქართ.: „და იყოს, რაჟამს აღესრულნენ დღენი შენნი და იძინო მამათა შენთა თანა, და აღვადგინო ნათესავისა შენისაგან, რომელი იყოს მუცლისაგან შენისა და განუმზადო მას დამტკიცებად მეფობა მისი. და მან აღაშენოს ტაძარი სახელისა ჩემისათჳს და აღემართო საყდარი მისი უკუნისამდე ჟამთა. და ვიყო მე მისა მამა და იგი იყოს ჩემდა ძე. და უკუეთუ შემცოდოს მე, ვგუემო იგი კუერთხითა კაცთათა და განვსწავლო იგი ძეთა მიერ კაცთასა“ (2 მეფ. 7. 12-14). „მთელი დიდება მეფის ასულისა შიგნითაა; მოოქროვილია მისი სამოსი. მოქარგული კაბით მოჰყავთ იგი მეფესთან; მის უკან ქალწულნი, დობილნი მისნი, მოჰყავთ შენთან. მოჰყავთ სიხარულით და ღზინით, შედიან მეფის სრა-სასახლეში. შენს წინაპართა ადგილას იქნებიან ძენი შენნი; მათ დააყენებ მთავრებად მთელ დედამიწაზე. გავისხენებ შენს სახელს თაობიდან თაობაში, ამიტომ ხალხები ხოტბას შეგასხამენ უკუნითი უკუნისამდე“. შდრ. ძვ. ქართ.: „ყოველი დიდებამ ასულისა მეუფებისაა შინაგან; ფესუედითა ოქროანითა შემკულა და შემოსილ. მიართუნ მეუფესა ქალწულნი მისნი, და შემდგომად მისა, მოყუასნი მისნი მიერთუნენ მას. მიართუნ მას სიხარულითა და გალობითა და შეიყვანენ იგინი ტაძართა მეუფისათა. მამათა შენთა წილ იყვნენ შვილნი შენნი; დაადგინენ იგინი მთავრად ყოველსა ქუეყანასა ზედა. მოივსენონ სახელი შენი ყოველსა შორის თესლსა“ (ფს. 44. 14-18) და ა. შ.

გრამ დადგა ჟამი, როდესაც ისრაელმა მეფე მოითხოვა. ვითარება შეიცვალა და ამიერიდან ერის მართვა იერარქიის ორ წარმომადგენელს, მონარქსა და მღვდელმთავარს, განეკუთვნა. იუდეველი ერის ისტორია თვალნათლივ ადასტურებს, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანური სისუსტეები ღვთის ნების წარმართვაში ხელს უშლიდა ხსენებული თანამდებობის პირებს და სამეფო და სამღვდელმთავარო ინსტიტუტი ვერ ამართლებდა მათზე დაკისრებულ იმედებს. ამიტომაც, საღვთო განგებით ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი, გამორჩეული მდგომარეობის მქონე ადამიანები, რომლებსაც წინასწარმეტყველები ეწოდათ. ფრანგი ღვთისმეტყველი ფრიდრიხ რუჟემონი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „ეპოქის უბედურებამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია და, ადამიანურად რომ ვთქვათ, სამუელის გამოჩენის გარეშე ძღვევამოსილ ფილესტიმელთაგან დათრგუნული იუდეველი ერი მალე რამდენიმე გასაცოდავებულ ტომად დაანაწევრდებოდა, რომლებსაც ვერანაირი ადამიანური თუ რელიგიური ზღუდე ვეღარ შეამაგრებდა და ეს ტომები წარმართთაგან განმასხვავებელ საკუთარ ერთადერთ თვისებას, რწმენას ერთი ღმერთის მიმართ, კერპთმსახურებაში გაცვლიდნენ. სამსონის ტრაგიკული ბედი ხალხის სულმოკლეობის ნათელ დასტურს წარმოადგენს: მას მუდმივად შეწევნის გარეშე, მარტო ტოვებენ. იმ დრომაც განვლო, როდესაც მსგავსად მსაჯულთა მმართველობისა, შესაძლებელი იყო, ღვთის სულით მოცული ერთი ადამიანი გამხდარიყო ერის გამომხსნელი. თუკი არ გამოჩნდებოდა ახალი, ღრმა, აღმავსებელი და ყოვლისმომცველი ძალა, რომელიც ხალხს განმსჭვალავდა, დაიღუპებოდა ისრაელის იმედი. უდიდეს განსაცდელებს მოეცვა სამღვდელო ინსტიტუტი, რაც ყველა სხვა სტრუქტურაშიც აისახა. „უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ ხანებში, ხილვები არ იყო ხშირი“ (1 მეფ. 3.1)... სწორედ მაშინ გამოიხმო ღმერთმა სამუელი და განვითარებულმა მოვლენებმა, ისევე როგორც ამ ღვთისკაცის ღვაწლმა და დამამოძღვრელობამ, ისრაელი აღიარებამდე მიიყვანა, რომ ცოცხალი ღმერთი, რომელიც საკუთარი ერის წიაღში მკვიდრობდა,

იმდენად არა ადამიანის ხელითქმულ კიდობანში ბინადრობდა, რამდენადაც საკუთარი სიტყვის ცოცხლად დამოწმებელთა შორის. გარეგნული და მეტ-ნაკლებად ამოიშებედულებები, რითაც რჯულით დადგენილ სიმბოლურ ღვთისმსახურებას უყურებდნენ, განქარდა და ადგილი რჩეული ერის საკუთარ ღმერთთან ცოცხალ ურთიერთობას დაეთმო, რასაც სწორედ წინასწარმეტყველები განაპირობებდნენ და იცავდნენ¹.

გადმოცემის თანახმად, ისრაელის უკანასკნელმა მსაჯულმა და ამავდროულად წინასწარმეტყველმა სამეფლმა რჩეული ერის ისტორიაში პირველმა ჩამოაყალიბა აღთქმულ მიწაზე ე. წ. **საწინასწარმეტყველო სკოლები**, სადაც ახალგაზრდა იუდეველი ყმაწვილები საღვთო რჯულს ეუფლებოდნენ. სასწავლებლის დასრულებისას მათ ოფიციალური სახელი - **წინასწარმეტყველი** ეწოდებოდათ, ხოლო მთავარი დანიშნულება საკუთარ საცხოვრებელ ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში რჯულის ქადაგებასა და, საჭიროების შემთხვევაში, ღვთის სიტყვის დამრღვევთა წინააღმდეგ მხილებას წარმოადგენდა. აღნიშნული სკოლები საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდა, თვით ერთიანი სამეფოს ორად გაყოფის შემდეგაც, და თითოეულ ასეთ სკოლას როგორც იუდეაში, ასევე ისრაელის სამეფოში, ცნობილი წინასწარმეტყველები ხელმძღვანელობდნენ. გარდამოცემის თანახმად, ჩრდილოეთის სამეფოში ხსენებული სკოლა გილგალში (ადგილი იორდანესა და იერიქონს შორის) მდებარეობდა და მას ჯერ ელია და მოგვიანებით ელისე წინასწარმეტყველები განაგებდნენ. იუდეაში არსებული საწინასწარმეტყველო სკოლის ერთ-ერთ წინამძღოლად გარდამოცემა ესაიას ასახელებს. ასე გრძელდებოდა, ერთი მხრივ, ასურეთის იმპერიის მიერ ისრაელის დაპყრობამდე, ხოლო, მეორე მხრივ, სანამ სამხრეთის სამეფო არ აღმოჩნდა ბაბილონურ ტყვეობაში. ბუნებრივია, რომ სკოლიდან გამოსული ახალგაზრდების მოვალეობა, მიუხედავად მათთვის ოფი-

1 Фридрих Ружемон; Краткое объяснение двенадцати последних пророческих книг ветхого завета, С.-Петербург, 1880, ст. XII (თარგმანი ჩვენია, ი. ო.).

ციალურად მინიჭებული სახელისა „წინასწარმეტყველი“, განსხვავდებოდა იმ ადამიანთა საქმიანობისგან, რომლებიც საწინასწარმეტყველო ღვაწლს უშუალოდ საღვთო ხმობის შედეგად ღებულობდნენ და ყოველგვარი წიგნიერი განსწავლის გარეშე, სულიწმინდის მადლით ჭვრეტდნენ მომავალს (როგორებიც არიან ელია, ელისე, ესაია, იერემია და ა. შ.). სამუელიდან მოყოლებული ორივე რანგის წინასწარმეტყველები 7 საუკუნის მანძილზე (სამუელიდან მალაქიამდე, ძვ. წ. აღრიცხვის XI-V სს.) შეუწყვეტილ, ერთი-მეორეს მიყოლებით გამოდიოდნენ ასპარეზზე. თუმცა საღვთო მადლით მოწოდებულ მქადაგებელთა შორისაც ვხვდებით არსებით განსხვავებას. კერძოდ, მათმა დიდმა ნაწილმა ოდენ ზეპირსიტყვიერად იქადაგა და მხოლოდ თექვსმეტ ადამიანს განეკუთვნა ღვთისაგან მოძღვრების წერილობითი სახით ჩამოყალიბების ვალდებულება, რისი მიზეზიც შემდგომში მდგომარეობს: დავითისა და სოლომონის მმართველობისას ისრაელი გარეგნული თუ შინაგანი წეს-წყობილებით ჭეშმარიტად სრულყოფილ თეოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაიქმნა, თუმცა ამგვარმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა და სამეფოს დაცემა მისი გარეგნული სიძლიერის შესუსტებით დაიწყო: ერთიანი სახელმწიფოს ადგილზე ორი დამოუკიდებელი ერთეული გაჩნდა, რომლებიც მძლავრი ასურეთის იმპერიის წინააღმდეგ დაპირისპირების ფონზე პოლიტიკურ თვითმყოფადობას ძლიერ ძლივობით ინარჩუნებდნენ. დადგა ჟამი, როდესაც სხვა ეთნოსებისგან განმარტოებულ ისრაელს მისდამი დაკისრებული თეოკრატიული მისიის მეორე ნახევარი უნდა აღესრულებინა და წარმართებისთვის მხსნელისკენ მიმავალი გზა განეცხადებინა. რჩეული ერისთვის განეკუთვნილი ამოცანის გაფართოებამ ბუნებრივად განაპირობა თეოკრატიის მსახური მოღვაწეების (წინასწარმეტყველების) საქმიანობაში გარკვეული „კორექტივების“ შეტანა. სამეფო და სამღვდლო ინსტიტუტები კვლავ ნარჩუნდებოდა, თუმცა ამიერიდან მათ აღარ გააჩნდათ ადრინდელი დატვირთვა, რადგან იუდეველი ერის ცხოვრებაში ახალი, თეოკრატიის მეორე პერიოდი დაიწყო, როდესაც ღვთის მოწოდებით საწინასწარმეტყველო ასპარეზზე გამოსული მოღვაწენი

(იგულისხმებიან მწერალი წინასწარმეტყველები), განსხვავებით წინარე ეპოქისგან, მთელი არსებით წარმოაჩენდნენ მესიანური ხასიათის მოძღვრებას. განმმართველნი დროის სსენებულ მონაკვეთს ოქროს საუკუნეს უწოდებენ. სწორედ გასაცხადებელი მოძღვრების განსაკუთრებულობამ განაპირობა ახალი, აქამდე არარსებული საწინასწარმეტყველო ლიტერატურის შექმნის აუცილებლობა, რადგან მასში აღწერილი სწავლებების ძირითადი ნაწილი სრულყოფილი თეოკრატიის არსს განმარტავდა, იუდეველებთან ერთად წარმართების გადარჩენის შესახებ იუწყებოდა და ამავდროულად ორივეს (რჩეულ ერსა და წარმართებს) გამოხსნის საიდუმლოს სულიერი სიღრმეებისკენ წინამძღვრობდა¹.

ძველი წელთაღრიცხვი IX საუკუნეში ასპარეზზე რიგით პირველი მწერალი წინასწარმეტყველი - იონა გამოდის. მისი ნინევში ქადაგება შეიძლება ერთგვარ წყალგამყოფად მივიჩნიოთ, ერთი მხრივ, წინარე ეპოქის წინასწარმეტყველთა, როგორც თეოკრატიის ოდენ ვიწრო-ნაციონალური მნიშვნელობის მქადაგებელ მოღვაწეთა და, მეორე მხრივ,

1 ამასთანავე, სინას მთაზე მიღებული რჯული, შეიძლება ითქვას, არ იყო განსრულებული. ღმერთი ჟამითი ჟამად სინურ კანონმდებლობას განაგრცობდა, აახლებდა და სწორედ ამ ყოველივეს განმცხადებლის ფუნქციას ტვირთულობდნენ წინასწარმეტყველნი. ისინი კონკრეტული ეპოქისთვის მახასიათებელ სულიერ სენს რჯულში არსებულ შესაბამის სამკურნალო საშუალებას უძებნიდნენ და ცდილობდნენ, ხალხის ყურადღება იქითკენ მიეზიდათ. შდრ.: „განა ისევე ეამება უფალს აღსავლენი მსხვერპლი და საკლავები, როგორც მოსმენა უფლის სიტყვისა? მოსმენა უკეთესია საკლავზე, მორჩილება - ცხვრების ლურთებზე“ (1 მეფ. 15.22). „რადგან თქვენი სიკეთე მახარებს და არა მსხვერპლი, უფლის შემეცნება და არა აღსავლენი“ (ოს. 6.6). მოცემულ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ მსხვერპლი და მსხვერპლმეწიროვა ძველი აღთქმის ეკლესიისთვის ერთ-ერთი უძირითადესი მოვლენაა, მაგრამ რაჟამს ხალხი მხოლოდ ამ საკითხით, და ისიც მოვალეობის მოხდის მიზნით, ოდენ გარეგნულად, ინტერესდებოდა, ერის სულიერი წინამძღვრები ცდილობდნენ, ადამიანთა ყურადღება სწორი მიმართულებით წარემართათ. ამიტომაც უთითებდნენ უძირითადესსა და უმთავრესს.

იმ ადამიანთა შორის, რომლებიც მესიანური ხასიათის მოძღვრებას საყოველთაო-მსოფლიო მნიშვნელობის სახით აუწყებდნენ მსმენელს.



წინასწარმეტყველი იონა¹

სახელი იონა, ნეტარი იერონიმეს განმარტებით, **მტრედს** ნიშნავს (*Gr. πειραται*). მის წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ მოუწია წინასწარმეტყველს ქადაგება ქალაქ ნინევში. იონას შესახებ ცნობას მეფეთა წიგნებშიც ვხვდებით, საიდანაც ვიგებთ, რომ იგი ქალაქ გეთხოფერიდან იყო. აღნიშნული უწყებით ვასკვნით: წინასწარმეტყველი **ზაბულონის ტომიდანაა**, რადგან ხსენებული ქა-

1 მკითხველის საყურადღებოდ შევნიშნავთ, რომ იონას საწინასწარმეტყველო წიგნზე განმარტებების შედგენისას ვისარგებლეთ როგორც ადრექრისტიანულ ეპოქაში მოღვაწე ეკლესიის მოძღვართა შრომებით (წმ. ეფრემ ასური, ნეტარი იერონიმე, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. კირილე ალექსანდრიელი, თეოდორიტი კვირელი), ასევე ბიბლიის მკვლევართა მიერ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში გამოქვეყნებული გამოცემებით (ლიტერატურის სრული ჩამონათვალი ბოლოშია დართული). წინამდებარე შრომა ხსენებული განმარტებიდან გამოკრებილი მონაკვეთების თავისუფალი (და არა ზედმიწევნითი) თარგმანია. სამუშაოს შესრულებისას შემდეგი პრინციპით ვიხელმძღვანელებთ: იონას წიგნი მუხლობრივადაა ციტირებული და ყოველი მუხლის დასასრულს შესაბამისი კომენტარია წარმოდგენილი, რომელსაც დასაწყის ნაწილში ბოლდითა და დახრილი შრიფტით წინ უსწრებს მოხმობილი ეგზეგეზის ავტორის განმსაზღვრელი მითითება (მაგ., **წმ. იოანე ოქროპირი**). კომენტარის დასასრულს დასმული გვაქვს ფრჩხილი, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ განმარტების დასაწყის ნაწილში მითითებული ავტორის მსჯელობა დასრულებულია. მაგალითისთვის თეოდორიტი კვირელის ქვემოთ დამოწმებულ სწავლებას მოვიშველიებთ. **თეოდორიტი კვირელი:** ნინევი ასურეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. ახლოვდებოდა რა ჟამი ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასის განკაცებისა და ყოველ ხორციელს ღვთისშემეცნების განსაკუთრებული შესაძლებლობა უნდა მისცემოდა, უზენაესი წინდაწინ უცხადებს წარმართებს საკუთარ განგებულებას, რათა ყველამ ისწავლოს და გულისხმაჰყოს, რომ **მს** არა მხოლოდ იუდეველების, არამედ წარმართების ღმერთიცაა, ვინც მარადის, ყოველ ჟამსა და დროს ზრუნავს კაცობრიობაზე). ფრჩხილით მითითებულია, რომ თეოდორიტეს წიგნიდან მოხმობილი მონაკვეთი დასრულდა. იგივე პრინციპით ვხელმძღვანელობთ ყველა სხვა შემთხვევაშიც.

ლაქი განაწილებისას მათ გადაეცათ სამკვიდროდ.

იუდაური გადმოცემის თანახმად, იონა ელისეს მოწაფე იყო და, ამავდროულად, ელია წინასწარმეტყველსაც იცნობდა. იგი სწორედ ის ყმაწვილია, რომელიც ელიამ სარეფთაში, ქერივის სახლში, მკვდრეთით აღადგინა¹. ბიბლიური თხრობისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანები წიგნში გადმოცემულ ამბავს იონას ვეშაპის მუცელში სამდღიანი ყოფნის შესახებ მითად, ალეგორიად მიიჩნევენ, თუმცა წმინდა წერილში თავად მაცხოვარი ამოწმებს აღნიშნული მოვლენის ჭეშმარიტებას², რაც ეჭვგარეშეა, მაგრამ ამით კიდევ ერთი რამ ცნაურდება: იუდეველებს, რომელთაც უფალი მიმართავდა, ღრმად სწამდათ იონასთან დაკავშირებული მოვლენების უტყუარობა.

თეოდორიტე კვირელი: ნინევი ასურეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. ახლოვდებოდა რა ჟამი ყოვლადწმინდა

1 შდრ. „ამ ამბების შემდეგ ავად გახდა ამ ქალის, დიასახლისის ვაჟი; ძალზე მძიმე იყო მისი სენი, ისე რომ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. უთხრა ქალმა ელიას: რა გინდა ჩემგან, ღვთისკაცი? ჩემი ცოდვების მოსაკითხად მოხვედი ჩემთან და ბავშვს მიკლავ? უთხრა ელიამ: მომეცი შენი შვილი. უბიდან გამოართვა დედას ბავშვი და ზემო თვალში აიყვანა, სადაც თვითონ ცხოვრობდა, და თავის საწოლზე დააწვინა. შეჰღალადა უფალს და უთხრა: უფალო, ღმერთო ჩემო! ნუთუ ამ ქერივ ქალსაც, რომელთანაც მდგმურად ვარ, უზამ ბოროტს და შვილს მოუკლავ? სამგზის გადაემხო ბავშვს და შეჰღალადა უფალს: უფალო, ღმერთო ჩემო! ჩააბრუნე ამ ბავშვის სული მის სხეულში. ისმინა უფალმა ელიას ღალადი და დააბრუნა ბავშვის სული სხეულში. და გადარჩა იგი. აიყვანა ელიამ ბავშვი და ჩაიყვანა ზემო ოთახიდან სახლში და მისცა დედას. თქვა ელიამ: დახედე, ცოცხალია შენი შვილი“ (3 მეფ. 17. 17-23).

2 შდრ. „ვინაიდან როგორც იონა იყო ვეშაპის მუცელში სამი დღე და სამი ღამე, ასევე იქნება ძეც კაცისა ქვეყნის გულში სამ დღეს და სამ ღამეს“ (მთ. 12.40). „ნინეველნი აღდგებიან სამსჯავროზე ამ მოდგმასთან ერთად და მსჯავრს დასდებენ მას, ვინაიდან მათ მოინანიეს იონას ქადაგებით და, აჰა, აქ არის იონაზე დიდი“ (ლკ. 11.32). მაცხოვარი, სახარებების თანახმად, ოთხი წინასწარმეტყველის მსახურებას ასხენებს: იონა, ელია (მთ. 17. 11-12), ელისე (ლკ. 4.27) და ესაია (მთ. 15.7).

სამების მეორე ჰიპოტაზის განკაცებისა და ყოველ ხორციელს ღვთისშემეცნების განსაკუთრებული შესაძლებლობა უნდა მისცემოდა, უზენაესი წინადაწინ უცხადებს წარმართებს საკუთარ განგებულებას, რათა ყველამ ისწავლოს და გულისხმა-ჰყოს, რომ **მს** არა მხოლოდ იუდეველების, არამედ წარმართების ღმერთიცაა, ვინც მარადის, ყოველ ჟამსა და დროს ზრუნავს კაცობრიობაზე).

ეპისკოპოსი პალადი: იონა არის წინასწარმეტყველი, რომელიც მესიისა და მისი გამომხსნელობითი ღვაწლის შესახებ არათუ სიტყვით, არამედ საკუთარ თავს გადამხდარი მოვლენებით უთითებს. წმინდა იონა, წარმომავლობით ებრაელი, თავდაპირველად თანამემამულეთა შორის იღვწის, შემდგომ კი წარმართებთან მიემართება და მათ უქადაგებს, რაც აქამდე არც ერთ სხვა წინასწარმეტყველს არ უკეთებია; მაცხოვარიც, ხორციელად იუდაურ წიაღში შობილი, ჯერ ებრაელებს მოძღვრავს, ხოლო მოგვიანებით მოციქულებს საქადაგებლად წარმართებთან აგზავნის. იონა უმძიმესი ცოდვებით ღვთის შემაწუხებელ ქალაქში იგზავნება; იესო ქრისტე მამა ღმერთის მიერ უკეთურებითა და უზნეობით აღსავსე წუთისოფელს ევლინება).

წმ. კირილე ალექსანდრიელი: ღვთაებრივი იონა გეთხოფერიდან იყო. მის მამას ამითაი ერქვა. გადმოცემის თანახმად, გეთხოფერი მცირე ქალაქი ან სოფელია. სავარაუდოდ, იონამ მრავალი წინასწარმეტყველება წარმოთქვა, განმარტა არაერთი ზეციური და ღვთაებრივი უწყება, მაგრამ გარდა ამ ერთი წიგნისა, ჩვენამდე სხვა არაფერი შემორჩენილია. იონამ რომ მრავალგზის იწინასწარმეტყველა, ამას წმინდა წერილი გვიმოწმებს. მეფეთა მეოთხე წიგნში შემდეგი რამაა ნაუწყები იერობოამის (იერობოამ II-ის) შესახებ: „**მან აღადგინა ისრაელის საზღვრები ხამათის ყელიდან უდაბნოს ზღვამდე, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს, ისრაელის ღმერთს, თავისი მორჩილის, გეთხოფერელი წინასწარმეტყველის, იონა ამითაის ძის პირით**“¹. წარმოდგენილი ბიბლიური უწყება გვიდასტურებს, რომ იონას

სხვა წინასწარმეტყველებაც ეკუთვნის, რასაც ჩვენამდე არ მოუღწევია¹. დაიწერა ის, რაც სასარგებლო და აუცილებელია მკითხველისთვის. მისი წინასწარმეტყველება ნინევიის წინააღმდეგაა მიმართული და, ამასთანავე, თავად იონას თავგადასავალსაც ვიგებთ. წიგნში, მართალია, არა ღიად და პირდაპირ, გადმოცემულია კაცობრიობის გამოსწავლის საიდუმლო, რაც იუდეველებს თავად უფალმა განუცხადა². წინასწარმეტყველის თავსგადამხდარი მოვლენები ქრისტეს შესახებ საიდუმლო სწავლებას მოიცავს.

წმინდა წერილი რიგ შემთხვევაში ძველი აღთქმის მართალ ადამიანს განკაცებული მაცხოვრის წინასახედ წარმოგვიდგენს. კერძოდ, მოსე წინასწარმეტყველი სინას მთასთან საღვთო გამოცხადებას მოელის, მაგრამ იუდეველნი შეევედრებიან, რომ მან (მოსემ) იტვირთოს ეს საქმე და იშუამდგომლოს ღმერთსა და ადამიანებს შორის. მოცემულ შემთხვევაში მოსე სახეა განკაცებული ღვთის ძისა: როგორც ის, მხოლოდ ერთი ადამიანი, შუამდგომლობდა ღმერთსა და ხალხს შორის, ამგვარადვე განკაცებული ქრისტე მთელს კაცობრიობას შემოქმედს აკავშირებს. სწორედ **ისაბ** ერთადერთი მეოხი ადამიანსა და ღმერთს შორის. მაგრამ მსგავსი სახის შედარებებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ სიმბოლური მხარეა,

1 წმინდა კირილეს მიერ გამოთქმული მოსაზრება ტობითის არაკანონიკური წიგნითაც დასტურდება, სადაც ვკითხულობთ: „წადი მიდიაში, შვილო, რადგან მჯერა, რაც იონა წინასწარმეტყველმა თქვა ნინევზე, - დაემხოთ იგი. მიდიაში კი მშვიდობა იქნება, ვიდრე ჟამი მოუწევდეს, ჩვენი ძმები მადლიანი ქვეყნიდან განიფანტებიანო, იერუსალიმი გაუკაცრიელდება და გადაიბუგება ღვთის სახლი და უკაცრიელი იქნება, ვიდრე არ მოვაო მისი ჟამი“ (ტობ. 14.4). ხაზგასმულ ნაწილში გადმოცემული წინასწარმეტყველება იუდეის დაქცევისა და ტაძრის განადგურების შესახებ ზემოთ წარმოდგენილი ცნობის სისწორეს ნათლად წარმოადგენს, რადგან იონას წიგნში მსგავსი არაფერია ნათქვამი.

2 იგულისხმება სახარებისეული უწყება მესამე დღეს მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის თაობაზე.

რადგან შეუძლებელია, რომელიმე ადამიანი თავის თავში სრულად გამოსახავდეს დაუსაბამო არსს. იგივე მოსე ერთგან შენიშნავს: „ენაბრგვილი ვარ“¹, რაც მის უძღურებაზე მიუთითებს, ხოლო ქრისტე ღმერთის სიტყვა ყოვლისშემძლეა და სისუსტე მასში არაა. მსგავსადვე აარონსაც ქრისტეს წინასახედ სახელვდებთ, პირველი მღვდელმთავარი, ვისაც წმიდათა წმიდაში შესვლისა და განსაცვიფრებელი სამოსით შემოსვის პატივი ებოძა, მაცხოვრის წინასახეა, მაგრამ კვლავაც გავიმეორებთ, რომ არა ყოველ მის კუთვნილებას ვაკუთვნებთ ქრისტეს, რადგან აარონმა მარიამთან ერთად მოსეს წინააღმდეგ გაილაშქრა და ეს მას დანაშაულად შეერაცხა. იმავე აარონმა ოქროს ხბო ჩამოასხა და ამით კერპმსახურებისკენ მიდრიკა საკუთარი ხალხი. ამ ყოველივეს გახსენებით გვსურს აღვნიშნოთ, რომ წმინდა წერილიდან მოხმოილი მაგალითები არათუ ყოვლითურთ მათ მიმართ შედარებული მოვლენის იგივეობრივია, არამედ რომელიმე კონკრეტული კუთხით წარმოაჩენს წინასწარმეტყველების სულიერ მხარეს.

ასევე ვმსჯელობთ ჩვენ იონას შესახებაც. საკუთარ წიგნში ის ქრისტეს საიდუმლოს გამოსახავს, მაგრამ მსგავსად ზემოთქმულისა, არა ყველა შემთხვევაში. მაგალითად, უზენაესმა იონას ნინევიაში საქადაგებლად მოუხმო, მაგრამ წინასწარმეტყველმა გაქცევა სცადა და ზეციურ ნებას დაუპირისპირდა. ძე ღმერთი მამისგან მოივლინა კაცობრიობისთვის ჭეშმარიტების საქადაგებლად, მაგრამ **მას**, მსგავსად იონასი, არასოდეს უცდია მამის ნებას გაჰქცეოდა. იონამ გემზე ყოფნისას მეზღვაურებს მიმართა, რომ ის ზღვაში ჩაეგდოთ და ღელვა დაწყნარდებოდა. წინასწარმეტყველი ვეშაპმა გადაყლაპა, მესამე ღღეს ნაპირზე გამოორიყა, რის შემდეგაც იონამ ნინევში იქადაგა, მაგრამ იხილა რა, რომ ქალაქი გადარჩა, ძლიერ დამწუხრდა; ქრისტე ღმერთი კაცობრიობის გამოსხნის მიზნით ჯვარს ეცვა, მოკვდა ადამიანური ბუნებით, საფლავად დაიდო და მესამე ღღეს აღდგა (პარალელები

იონასთან), მაგრამ რაჟამს მონანულ ადამიანებს ხედავდა, იონას მსგავსად იბი არ დამწუხრებულა. ჩვენ, როდესაც სიმბოლური განმარტებისთვის ბიბლიურ პირსა თუ მოვლენაზე ვუთითებთ, არასოდეს ვგულისხმობთ, რომ ის შედარებულ მაგალითს ყოვლითურთ უიგივდება. ნურავინ დაგვებს ბრალს ამაში. როგორც ფუტკარი მიმოიფრენს მდელოებსა და ყვავილებს და თაფლის მოსამზადებლად ემზადება, ამგვარადვე იკვლევს და გამოიძიებს ბრძენი განმმარტებელი წმინდა წერილს, რომ მისით სულის საცხოვნებელი მოძღვრების სიღრმეებს ეუფლოს).

დეკან. იოანე სოლოვიოვი: განმმარტებელთა ნაწილმა იონას ნინევში ქადაგება მითად გამოაცხადა, რადგან, მათი მტკიცებით, აურაცხელი რაოდენობის ასურულ ისტორიულ წყაროებში მსგავსი არაფერი თქმულა, რაც, მოვლენის მასშტაბურობიდან გამომდინარე, უეჭველად უნდა დაფიქსირებულიყო სადმე. წარმოდგენილი აზრის საპირისპიროდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ: როდესაც დადგა ჟამი ებრაელთა ეგვიპტური მონობიდან გამოსნისა, აღნიშნული მისიის შესასრულებლად უფალმა მოსე წინასწარმეტყველი მოიხმო. იუდეველები საღვთო სასწაულთქმედებათა შემდეგ აღთქმული ქვეყნისკენ გაემართნენ, მაგრამ ფარაონმა მათი დამორჩილება განიზრახა და უზარმაზარი ეგვიპტური ჯარით დაეღვენა, თუმცა რჩეული ერის დამონების მოსურნე ეგვიპტელები მეწამულ ზღვაში დაინთქნენ. მიუხედავად უმდიდრესი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისა, არც ერთ ეგვიპტურ წყაროში არ დაფიქსირებულა მსგავსი ამბავი და ამის თაობაზე მხოლოდ წმინდა წერილიდან ვიგებთ.

სენაქერიმის ერთ-ერთი წარწერა იუდეველი მეფე ეზეკიას წინააღმდეგ ასურელთა ლაშქრობის შესახებ დეტალურ ცნობებს გვაწვდის, მაგრამ ბიბლიური უწყებისგან განსხვავებით, სადაც ასურელთა კრახზეა საუბარი (ერთ ღამეში სენაქერიმს 185 000 ჯარისკაცი ეღუპება)¹, იმავე ისტორიულ წყაროებში სრულიად განსხვავებულ ცნობებს ვხვდებით: ასურელებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღ-

წიეს, დაიმორჩილეს მეფე ეზეკია და სამშობლოში ძლევამოსილნი დაბრუნდნენ. ამჯერად წარმოდგენილ ცნობებს ვიკმარებთ და შევნიშნავთ: განა ზემოთქმულის შემდეგ გვაქვს უფლება, ისტორიულ წყაროებს იონას ქადაგების უეჭველი მტკიცებულებანი მოვთხოვოთ?!

ზოგიერთი იმასაც კითხულობს, თუ საკუთრივ მეფეთა წიგნებში რატომ არაფერი თქმულა გეთხოფერელი წინასწარმეტყველის ასურეთის დედაქალაქში ქადაგების შესახებ? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ რაჟამს მეფეთა მეოთხე წიგნის ავტორი იერობოამ II-ის მეფობას წმინდა მატთანეში ასახავდა, იონას წიგნი, როგორც დამოუკიდებელი წყარო, უკვე არსებობდა. შესაბამისად, აღწერილი მოვლენის ხელახალი გამეორების აუცილებლობაც არ არსებობდა. ამასთანავე, როდესაც მსგავს საკითხებზე ვმსჯელობთ, მთავარია, გვახსოვდეს, რომ იუდეველთა ისტორიული წმინდა წიგნები თავიანთი შემადგენლობითა და მიზანდასახულობით, როგორც თავად სათაურებიც გვიჩვენებს („მეფეთა წიგნები“), სახელმწიფო მატთანეს წარმოადგენდა, რომლებშიც იუდეველი ერის, მეფეების დამოკიდებულება აისახებოდა იაჰვეს, ისრაელის მეუფისა, და მისი აღთქმებისადმი, განიხილებოდა იუდეველთა სახელმწიფოსა და ხალხში თეოკრატიის განვითარების პრინციპები. ამიტომაც, თუკი ხსენებულ წიგნებში ვინმე წინასწარმეტყველის შესახებ თქმულა რამ, მხოლოდ იმ კონტექსტში, თუ ეს ადამიანები რამდენად ახდენდნენ გავლენას ერის ცხოვრებაში მიმდინარე თეოკრატილ პროცესებზე. სწორედ ამ განზრახულობითაა მოთხრობილი მესამე და მეოთხე მეფეთა წიგნებში ელიასა და ელისეს შესახებ. ამავე მიზეზით იქვე იონა წინასწარმეტყველიც იხსენიება, რომელიც წინდაწინ იუწყებოდა იერობოამ II-ის მიერ ისრაელის სამეფო საზღვრების განვრცობის თაობაზე, ხოლო თავად იონას მიერ აღწერილ წიგნში მოთხრობილი მოვლენები წარმართულ სამყაროსთან იყო კავშირში და, როგორც ასეთი, არ შედიოდა მეფეთა წიგნების განსახილავ თემაში).

ეპისკოპოსი პალადი: იონას შესახებ უწყებას IV მეფეთა წიგნში ვხვდებით, სადაც ნათქვამია, რომ ისრაელის

სამეფოს საზღვრები ხამათის ყელიდან არაბეთის ზღვამდე განივრცო. **ხამათი** ლიბანისა და ანტილიბანის მთებს შორის განლაგებულ მიდამოს ეწოდებოდა, რადგან მისი გავლით გზა სირიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ ხამათში მიემართებოდა, ხოლო **არაბეთის ზღვად** მკვდარი ზღვა იწოდება, რომელიც პალესტინასა და ქვიან არაბიას შორის მდებარეობდა.

იონას შესახებ საკმაოდ მწირი ცნობებია. მისი გარდაცვალების თაობაზე ორი გადმოცემა შემორჩა: ერთის თანახმად, სამშობლოში მიბრუნებული წინასწარმეტყველი მალე მესოპოტამიაში გადასახლდა, **ქ. მოზულში**, და იქვე გარდაიცვალა. მეორე ცნობით (ნეტარი იერონიმე), წინასწარმეტყველის საფლავი **გეთხოფერში** მდებარეობს. რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც, იონა ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქრისტეს აღდგომისას ასევე აღდგა მკვდრეთით და ქალაქში მრავალს გამოეცხადა¹.

როდის მოღვაწეობდა წინასწარმეტყველი? ამ საკითხის გამოსარკვევად მკვლევარნი მეფეთა წიგნის ცნობას იშველიებენ, სადაც ისრაელის სამეფოს განვრცობაზეა საუბარი და ნახსენებია, რომ ნათქვამი იერობოამის დროს აღესრულა. ხსენებულ პიროვნებაში ისრაელის მეფე, იერებოამ II მოიაზრება. ვინაიდან იონას წინასწარმეტყველება საკუთარი სახელმწიფოს განვრცობის შესახებ იერობოამის ზეობისას აღესრულა, სავარაუდოდ, იონა ასპარეზზე იერობოამის მამის, იოასის დროს გამოდის და, შესაძლოა, იერობოამის გამეფების შემდეგაც მოღვაწეობს).

ნეტარი იერონიმე: ძვირფასია ჩვენთვის ეს წიგნი, როგორც ღვთივსულიერი. იონა, გადატანილი განსაცდელეობით, ქრისტე ღმერთის ვნებებს განასახიერებს, სამყაროს სინანულისკენ მოუწოდებს და ნინევის სახით წარმართებს გადარჩენას ჰპირდება).

ფრიდრიხ რუჟემონი: წინასწარმეტყველისთვის ქალაქ ნინევთან დაკავშირებით ღვთისაგან მინიჭებული დავალე-

1 შდრ. „განიხვნენ საფლავნი და წმიდა განსვენებულთა მრავალი გვამი აღდგა“ (მთ. 27.52).

ბა ბიბლიურ თხრობაში გამონაკლისს არ წარმოადგენს. რაჟამს წარმართი ხალხი რჩეულ ერს ებრძოდა და ამარცხებდა მას, უფალი მოღვაწე ადამიანების საშუალებით იუდეველთა შემაჭირებლებს ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთად უცხადებდა საკუთარ თავს, რომელმაც თავისი შეუცნობელი განგებულებით, მართალია, რჩეულებს განსაცდელი შეამთხვია, მაგრამ მიუხედავად ამისა სწორედ ისაბ მეფეთა მეფე და ყოველა ღმერთი. იუდეველთა ეგვიპტურ მონობაში ყოფნისას ყოვლისშემძლე ღმერთმა, რომელსაც ერთი სასწაულის გზით ძალუძდა კირთების დახსნა და მათი გამოყვანა, განგებულებით მარავალი გეგმა მიუვლინა ეგვიპტელებს, რომ დიდი ძალით დაერწმუნებინა ისინი საკუთარ ღვთაებრიობაში. ასევე ბაბილონში, სადაც დატყვევებული იუდეველები გადაასახლეს, ნაბუქოდონოსორი და ვალტასარი ნიშნებისა და სასწაულების მიზეზით იძულებულნი იყვნენ, პატივი მიეგოთ დანიელის ღმერთისთვის. კიროსმაც აღიარა, რომ რჩეული ერის უფალმა უბოდა იმპერიაში გაერთიანებული ყოველი სამეფო და იერუსალიმის ტაძრის აღდგენის დავალება უშუალოდ იაჰვესგან მიიღო. ასევე ქალაქმა, საიდანაც მალე ეფრემის (ისრაელის სამეფოს) გამანადგურებელი ძალა უნდა გამოჩენილიყო, საკუთარ კედლებში იუდეველი იხილა, რომელიც ნინევის მოახლოებულ დაცემას იუწყებოდა.

იონას წიგნი მთლიანად სიმბოლური ხასიათისაა. მართალია, მასში არაფერია ნათქვამი მესიის შესახებ და არც ერთი წინასწარმეტყველება თითქოს პირდაპირ ახალ აღთქმას არ უკავშირდება, მიუხედავად ამისა, თავიდან ბოლომდე, შინაარსითა და გადმოცემული მოვლენებით მესიიკენაა იგი მიმართული. ნინეველები მთელს წარმართულ კაცობრიობას განასახიერებენ, რომელსაც ღმერთმა მოგვიანებით, განკაცებისას, საკუთარი თავი უნდა განუცხადოს. თუკი არასოდეს დადგებოდა ჟამი, როდესაც წარმართები ღვთის სასუფეველში იქნებოდნენ ხმობილნი, მაშინ არც იონა გაიგზავნებოდა ნინევი იაჰვეს წინასწარმეტყველის სახელით. წინამდებარე ქადაგება ესაა არათუ სიტყვით, არამედ საქმეში გამოვლენილი ქადაგება მესიის შესახებ, რაც კაცობრიობის საყოველთაო გამოს-

ნის სიმბოლოს ატარებს).

იონა ღვთისაგან დავალებული საქმიანობით გარკვეულწილად წინამორბედებს - ელიასა და ელისე წინასწარმეტყველებს, ემსგავსება, რომლებიც ისრაელში მოღვაწეობდნენ, მაგრამ საღვთო ხმოვით ფინიკიასა და სირიაში, წარმართულ სახელმწიფოებში წარიგზავნენ¹. იონას წიგნს იუდეველებში მათი მისიონერული ფუნქციის შესახებ შემეცნება უნდა გაეღვივებინა და, ამასთანავე, სწორი სულიერი მიმართულება განესაზღვრა, რომლის თანახმადაც, ღმერთი არა მარტო ერთი ერის გადარჩენის მსურველია, არამედ მთელ კაცობრიობაზე მზრუნველი მამა და არ შეიძლება, სხვისი დაღუპვა სურდეს.

იონას შესახებ ცნობები ყურანშიც მოიპოვება, სადაც წინასწარმეტყველი ოთხგზის სახელდება.

წიგნის მთავარი თემები:

1. წინასწარმეტყველება მაცხოვრის სამდღიანი დაფლვისა და აღდგომის შესახებ.
2. საღვთო მზრუნველობის საყოველთაობა.

1 შდრ. 3 მეფ. 17-19; 21; 4 მეფ. 1-2; 4 მეფ. 2-9; 13.

თავი I

მსუხლი 1. „იყო უფლის სიტყვა იონაზე, ამითაის ძეზე“¹.

იონას წიგნის ბერძნული რედაქცია „და“ კავშირით იწყება², ამიტომაც მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ წინასწარმეტყველებამ ჩვენამდე დასაწყისი ნაწილის გარეშე, არასრული სახით მოაღწია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ძველი აღთქმის წიგნებში მსგავს დასაწყისებს ხშირად ვხვდებით³.

1 იონას წიგნის კომენტარებისას ტექსტის ძირითად ნაწილში ბიბლიის თანამედროვე ქართულ თარგმანს მოვიტანთ, ხოლო სქოლიოში, პარალელურად, ძველ ქართულ ტექსტს (**ოშკის ბიბლიას**) დავიმოწმებთ, რომ მკითხველს, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა ჰქონდეს, ძველ თარგმანსაც მიადევნოს თვალი: „და იყო სიტყუა უფლისაჲ იონაჲსა მიმართ, ძისა ამითისა და პრქუა“.

2 შდრ. *Gr. Καὶ ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Ἰωανν τὸν τοῦ Ἀμαθι λέγων* („და იყო სიტყუა უფლისაჲ იონაჲსა მიმართ, ძისა ამითისა და პრქუა“).

3 *Gr. Καὶ ἐγένετο μετὰ τὴν τελευτὴν Μωυσῆ εἶπεν κύριος τῷ Ἰησοῦ ὑμῶ Ναυη τῷ ὑπουργῶ Μωυσῆ λέγων* შდრ.: „და იყო შემდგომად აღსასრულისა მის მოსესისა, მონისა მის უფლისა, პრქუა უფალმან ისოს, ძესა ნავესსა, მსახურსა მოსესსა“ (ის. ნავ. 1.1). *Gr. Καὶ ἐγένετο μετὰ τὴν τελευτὴν Ἰησοῦ καὶ ἐπηρώτων οἱ υἱοὶ Ἰσραηλ ἐν κυρίῳ λέγοντες Τίς ἀναβήσεται ἡμῖν πρὸς τὸν Χαναανῖον ἀφηγούμενος τοῦ πολεμῆσαι ἐν αὐτῷ;* შდრ.: „და იყო, შემდგომად აღსრულებისა ისონისა და იკითხვიდეს ძენი ისრაელისანი უფლისა მიერ და იტყოდეს: ვინ აღვიდეს წინამძღურად ჩუენდა ქანანელისა მის და ბრძოლა-სცეს მას?“ (მსაჯ. 1.1). *Gr. Καὶ ἐγένετο ἐν τῷ τριακοστῷ ἔτει ἐν τῷ τετάρτῳ μηνὶ πέμπτῃ τοῦ μηνὸς καὶ ἐγὼ ἦμην ἐν μέσῳ τῆς αἰχμαλωσίας ἐπὶ τοῦ ποταμοῦ τοῦ Χοβαρ.* შდრ.: „და იქმნა ოცდამეათესა წელსა, მეოთხესა თთუესა, ხუთსა თთუსასა, და მე ვიყავ საშუალ ტყუეობისა მდინარესა ზედა ქობარისასა“ (ეზეკ. 1.1); *Gr. Καὶ ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Μιχαϊαν τὸν τοῦ Μωρασθι ἐν ἡμέραις Ἰωαθαμ καὶ Ἀχαζ καὶ Ἐζεκιου βασιλέων Ἰουδα, ὑπὲρ ὧν εἶδεν περὶ Σαμαρείας καὶ περὶ Ἱερουσαλημ.* შდრ.: „და იყო სიტყუა უფლისაჲ მიქეაჲს მიმართ მორასთიანისა დღეთა იოათამისთა და აქაზისთა და ეზეკიანისთა, მეფეთა იუდაისთა,

„უფლის სიტყვაში“ იგულისხმება, რომ ღმერთმა იონას გარკვეული ქმედებისკენ მოუწოდა. ეკლესიის მამათა განმარტებით, საუფლო გამოცხადება წინასწარმეტყველის შინაგან სამყაროში, მისი სულის სიღრმეში ყოველგვარი გარეგნული გამოვლინებების გარეშე აღესრულა¹.

დეკან. იოანე სოლოვიოვი: ტექსტში იონას შესახებ თხრობა მესამე პირშია წარმოდგენილი, რამაც განმარტებელთა ნაწილს აფიქრებინა, რომ საწინასწარმეტყველო მოძღვრება არ ეკუთვნის უშუალოდ იონას და იგი სხვა, გარეშე პირის მიერ არის დაწერილი. აღნიშნულის საპირისპიროს ამტკიცებს უძველესი იუდაური ეკლესიის გადმოცემები, რაც, თავის მხრივ, იოსებ ფლავიოსმაც დაიმოწმა „სიძველეებში“, სადაც პირდაპირ მიუთითებს, რომ ნინევეში განხორციელებული სამოციქულო საქმიანობა იერობოამ II-ის დროს მოღვაწე იონას მიერ ჩაიწერა. წარმოდგენილ ცნობას ადრექრისტიანული ეპოქის მრავალი წყარო ეთანხმება. რაც შეეხება მესამე პირში საუბარს, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიური წიგნების ავტორთა უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით ისტორიული მოვლენების აღმწერენი, როგორც წესი, საკუთარ თავზე მესამე პირში საუბრობენ, თუმცა მათი წიგნების ავტორობასთან დაკავშირებით ეჭვები არასოდეს გამოთქმულა. ძველი აღთქმის აღმწერთა ამგვარი ჩვეულება, რასაც სხენებული ადამიანების თავმდაბლობა განაპირობებდა, მოვლენის ობიექტური შეფასების შესაძლებლობას იძლეოდა და, ამასთანავე, ისინი საკუთარი წიგნების ავტორად როდი მიიჩნევდნენ თავს, არამედ საღვთო სულით აღძრულნი, მოძღვრების შემოქმედად მხოლოდ უზენაესს სახავდნენ.

ძნელია, ზუტად განისაზღვროს წიგნის დაწერის დრო.

რომელთათვის იხილა სამარიაჲსათვის და იერუსალჴმისა“ (მიქ. 1.1). *Gr. Και οὐτοι οἱ λόγοι τῶν βιβλίου, οὐς ἔγραψεν Βαρούχ υἱὸς Νηριου...* შდრ.: „და ესე სიტყუანი წიგნისანი, რომელნი დაწერნა ბარუქ, ძემან ნირისმან...“ (ბარუქ. 1.1).

1 მაგალითად, მოსე წინასწარმეტყველი ქორების მთასთან უფლის ხმას ისმენდა და, ამასთან, შეუწვევლ მაყვალსაც ხედავდა. ამგვარი გამოცხადება ორმაგ ზეგავლენას ახდენდა.

სავარაუდოდ, იონამ ნინევში მოგზაურობის შემდეგ, მალევე, წერილობითი სახით ჩამოაყალიბა საკუთარი თავგადასაცალი).

ბავლე იუნგეროვი: იონას წიგნში იმდენად მწირი და უმნიშვნელო მოვლენებია გახმიანებული „ვიწრო-პარტიკულარული“ იუდაური აზროვნების წინააღმდეგ და ისე ბევრი რამაა ნათქვამი რელიგიური „უნივერსალიზმის“ შესახებ, რომ არც ერთ გამყალბებელს აზრადაც არ მოუვიდოდა მსგავსი რამ დაეწერა, ვინაიდან არათუ წმინდა წიგნების ავტორთა შორის განაჩინებდნენ მას, არამედ, დიდი ალბათობით, ქვით განიტყვინებოდა გამაგებულ თანამოქალაქეთა მიერ. მეორე მხრივ, აქ იმდენად მცირედი ცნობაა წარმოდგენილი იონას განსაზღვრულად და, პირუკუ, მრავლადაა მისი ხასიათის მამხილებელი და ნინეველთა საქებარი უწყება, რომ ავტორი იუდეველთა წმინდა ისტორიის აღმწერებს მოგვაგონებს, რომლებიც დღემუდამ რისხავდნენ საკუთარ მეფეებსა და თანატომელებს. კონკრეტულ ქმედებებში იმდენად ბევრი ფსიქოლოგიური ჭეშმარიტებაა ნაჩვენები, რომ ობიექტურად შეუძლებელია მათი მოფიქრება და შეთხზვა. აქ ღრმა სინამდვილითა და წმინდა უბრალოებით, ცბიერების გარეშე, სუნთქავს ყოველივე).

მხ. 2. „აღექი, წადი ნინევში, დიდ ქალაქში, და ამცნე, რომ მომწვდა მისი ბოროტების ამბავი“¹.

წმ. კირილე ალექსანდრიელი: ღმერთმა მარადიული ცხოვრებისთვის შექმნა ადამიანი და საკუთარი ხატება და მსგავსება უბოძა მას. პირველქმნილი ადამიანი სიწმინდესა და ნეტარებაში მოქალაქეობდა, მაგრამ ეშმაკის მანქანებით მოტყუებული, ცოდვისკენ მიიზიდა და წყევლასა და ხრწნას დაექვემდებარა. კაცთმოყვარე უფალმა სამყაროს შექმნამდე წინაგანსაზღვრა კაცობრიობის გამოსყიდვის საიდუმლო საკუთარი ძის მიერ, მაგრამ არც უწინარეს დაუკლია მზრუნველობა, სანამ

1 „აღდეგ და წარვედ შენ ნინევედ ქალაქად დიდად და ქადაგებდ მას შინა, რამეთუ აღმაღლდა და მოიწვიეს ღალადებამ უკეთურებისა მისისაჲ ჩემდა მომართ!“

დადგებოდა ჟამი ამ უაღმატებულესი მოვლენის აღსრულებისა. საღვთო მზრუნველობის საყოველთაოობა რომ ჭეშმარიტად მარადიული უზენაესი ზრახვაა, რაც კაცობრიობის ისტორიას მუდმივად თან ახლავს, ძველი აღთქმის ეპოქაშიც საქმით დასტურდება. ამიტომაც მოუწოდა უფალმა იონას ნინევში წასასვლელად. ეს იყო აღმოსავლეთით მდებარე ასურული ქალაქი, რომელსაც იერემია „კერპების ქვეყანას“ უწოდებს¹. ისრაელის სამეფოს მახლობლად არაერთი სახელმწიფო მდებარეობდა, სადაც კერპთაყვანისმცემლობა უმაღლეს ნიშნულს აღწევდა. იქ მრავალი წარმართული საკურთხეველი, ბომონი თუ კერპი იყო აღმართული. რატომ იგზავნება იონა ყველა ამ ქალაქის გვერდის ავლით ნინეიაში, ქალაქში, რომელიც საკმაოდ შორს მდებარეობდა იუდეიდან და, ამავედროულად, უხეში, არამეგობრული და მზის, ვარსკვლავებისა თუ ცეცხლის მადიდებელი ხალხით იყო დასახლებული? იონას ქადაგებით, ვფიქრობ გაცხადდა, რომ წარმართი ხალხი, რომელიც ცდომილებათა მორევში მიმოებეტებოდა, გააკვეულ ჟამს ჭეშმარიტებას შეიმეცნებდა.

წინასწარმეტყველი ნინევში საღვთო გულმოწყალების წარმოსაჩენად იგზავნება. კაცობრიობამ უნდა იგრძნოს, რომ მასზე უზენაესი ზრუნავს, მაგრამ ამავედროულად მისი მოღვაწეობა ისრაელის მხილებასაც ემსახურება. ნინეველებმა ერთი ქადაგებით შეინანეს, მიუხედავად იმისა, რომ უმძიმეს ცდომილებაში იმყოფებოდნენ, ხოლო იუდეველები, მოსესა და სხვა წმინდა ადამიანების უარყოფით, თავად უზენაესს უპირისპირდებოდნენ, მათ განკაცებული ღმერთი არ მიიღეს, რომელიც გარდა ქადაგებისა, უამრავ სასწაულს აღასრულებდა (რაც იონას შემთხვევაში არ მომხდარა). იუდეველნი იონას მიერ რომ იმხილებოდნენ, ამას მაცხოვრის პასუხიც ცხადყოფს: „ნინეველნი აღდგებიან სამსჯავროზე ამ მოდგმასთან ერთად და მსჯავრს დასდებენ მას, ვინაიდან მათ მოინანიეს იონას ქადაგებით და, აჰა, აქ არის იონაზე ღიდი“².

1 იერ. 50.38.

2 ლკ. 11.32.

როგორ მოხდა, რომ ქრისტეზე მეტად იონამ იმუშაკა, როდესაც წინასწარმეტყველი მხოლოდ მუქარით მიმართავდა მსმენელს, ხოლო მარადის მშვიდი უფალი უდიდესი სიბოთით და იმედით აღსავსე სიტყვებით უხმობდა ადამიანებს?!

არქიების. იოანე სმირნოვი: იონას უცხოტომელთა შესახებ თანამემამულეთა მსგავსი შეხედულება ჰქონდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ არავის ეკუთვნოდა ზეციური წყალობა, გარდა იუდეველი ხალხისა, ურჯულონი მხოლოდ რისხვას განიკუთვნიდნენ. წინასწარმეტყველი ნინევში გაიგზავნა არა იმისთვის, რომ წარმართები საბოლოოდ მოქცეულიყვნენ და ჭეშმარიტი ღმერთი ერწმუნათ, რადგან ეს არც ქადაგების შემდეგ მომხდარა და ამას მომდევნო ისტორიაც ცხადყოფს¹, არამედ ასურელთა დედაქალაქში მივლინების მიზეზი ზემოხსენებული იუდაური გაუკუღმართებული შეხედულების აღმოფხვრა იყო. ებრაელებს ნათლად უნდა ენახათ, რომ „ღმერთს ხელ-ეწიფება თვით ამ ქვათაგანაც აღუდგინოს ძენი აბრაამს“²).

ნეტარი იერონიმე: იონა წარმართებთან იუდეველთა განკითხვის მიზეზით იგზავნება, რადგან წინასწარმეტყველის თვისტომნი უკეთურებაში გაკერპებულან, ხოლო ნინეველი სინანულის საოცარ მაგალითს იძლევიან).

ნინევი სამარიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით ცხრაასი კილომეტრის დაშორებით, მდინარე ტიგროსის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა³. მშვე-

1 ასურელთა დედაქალაქი შემდგომშიც ღვთისაგან განდგომის მაგალითად გვევლინება, რისთვისაც მოგვიანებით უმკაცრესი სიტყვებით ამხელს მას წინასწარმეტყველი ნაუმი.

2 მთ. 3.9.

3 ასურელთა დედაქალაქის დამაარსებლის შესახებ ებრაული და ბერძნულენოვანი ბიბლიები განსხვავებულ ცნობას გვთავაზობენ. ებრაულის თანახმად, ნინევის დამფუძნებელი ქამის შვილიშვილი ნებროთია (შდრ.: „ქამის ძენი: ქუში, მიცრაიმი, ფუტი და ქანაანი... ქუშმა შვა ნებროთი... მისი სამეფოს რჩეული ქალაქები იყო ბაბილონი, ერეჟი, აქადი და ქალნე, შინყარის ქვეყანაში. ამ ქვეყნიდან წავიდა ის ასურში და ააშენა იქ ნინევი, რეხობოთ-ყირი, ქალახი და რესენი, ნინევისა და ქალახს

ნიერი ასურული ქალაქი სიდიდით მხოლოდ ბაბილონს ჩამორჩებოდა. ძველი გეოგრაფიის გათვალისწინებით, მსოფლიო სავაჭრო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად და შორეულ სახელმწიფოებზე პოლიტიკური ზეგავლენის მოპოსაპოვებლად არ არსებობდა იმაზე უკეთესი ადგილი, სადაც ნინეფია იყო განლაგებული. ასურელთა დედაქალაქი, ფაქტობრივად, ძველი მსოფლიოს ცენტრი იყო: ევფრატის გადასასვლელზე, ნინეფიის მახლობლად, უძველეს დროში ევროპის, აზიისა და აფრიკის ყველა სავაჭრო თუ საომარი გზა იყრიდა თავს. სპარსეთის ყურესთან, ხმელთაშუა და შავ ზღვებთან სიახლოვე განუზომლად ზრდიდა ხსენებული ქალაქის სიძლიერეს. ყოველივეს გათვალისწინებით, დედაქალაქში აღურიცხავი რაოდენობის სიმდიდრე დაგროვდა, რის შესახებაც უძველესი ავტორები რიგ შემთხვევაში იგავური ფორმით იუწყებინან.

თანამედროვე მეცნიერების ვარაუდით, ნინეფია ოთხი დამოუკიდებელი ქალაქისგან შედგებოდა: თავად ნინეფია (კიუნჯიკი), რექობოტი, ქალა (ქალახი) და რესენი, რომლებსაც გარედან, მთელ პერიმეტრზე კედელი შემოსაზღვრავდა. სწორედ დამცავი ზღუდის შიგნით მოქცეული ზემოხსენებული ოთხივე ქალაქის კრებისითი სახელი იყო ნინეფია. მისი გარშემოწერილობა 97 კილომეტრს შეადგენდა, რაც სრულ თანხმობაშია იონას წიგნთან, სადაც მითითებულია, რომ სამი დღის სასიარულო მანძილზე იყო გაშენებული ქალაქი. ისტორიული ცნობით, ნინეფიის მშენებლობაზე 1 400 000 ადამიანი რვა წლის მანძილზე მუშაობდა. ასურული ტრადიციის

შორის, დიდი ქალაქი“. დაბ. 10. 8, 10-12). სუბტანტის მიხედვით, იმავე ქალაქის დაარსება სემის შვილს, ასურს, მიეწერება (შდრ. „ქუეყანისა მისგან გამოვიდა ასურ და ალაშენა ნინეფი და ქალაქი რომოთი და ხალანი და დასე, საშუალ ნინეფისა და საშუალ ხალანისა - ესე ქალაქი დიდი“. Gr. εκ τῆς γῆς ἐκεῖνης ἐξῆλθεν Ἀσσοῦρ καὶ φικδομοῦσεν τὴν Νινευη καὶ τὴν Ροωβθ πῶλιν καὶ τὴν Χαλαχ καὶ τὴν Δασემ ἀνὰ μέσον Νινευη καὶ ἀνὰ μέσον Χαλαχ· αὕτη ἢ πῶλιν ἢ μεγάλη). ნინეფი თანამედროვე ერაყში, ქალაქ მოსულის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა.

თანახმად, ყოველი ახალი მეფე საკუთარი სახელის უკედანსაყოფად ახალ სასახლეს აგებდა. შესაბამისად, დროთა განმავლობაში მრავალი სასახლე აშენდა, რაც არქეოლოგიური გათხრების შედეგებმაც დაადასტურა. ირკვევა, რომ თითოეული სასახლე საკმაოდ ხარისხიანად და მტკიცედ აეგოთ, გარშემო დამცავი თხრილით შემოესაზღვრათ, ხოლო მიმდებარე გარემო ულამაზესი ბაღებით გაემშვენებინათ. ქალაქის მკვიდრნი დასახლებებს შორის მდებარე უკაცრიელ ველებს ამუშავებდნენ და მოსავალი მოჰყავდათ. მთელ რეგიონს უზარმაზარი დამცავი კედელი მოიცავდა, რომელიც პერიმეტრზე 1 500 კოშკით გაემაგრებინათ და თითოეულის სიმაღლე 60 მეტრამდე აღწევდა. ქალაქის დამცავი ზღუდის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი სახის ცნობები არსებობს: „ნინეფია მდინარე ტიგროსის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სამარიიდან, ჩრდილოეთის სამეფოდან, დაახლოებით ცხრაასი კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა. ეს იყო ორი გარშემომზღუდავი, შიგნითა და გარეთა კედლებით დაცული დიდი ქალაქი, მსგავსად ბაბილონისა. შიდა კედელი სისქეში ოცს, ხოლო სიმაღლეში ორმოც მეტრამდე აღწევდა“¹. ბუნებრივია, იმ ეპოქისთვის გიგანტური პოლისი უზარმაზარი ნაგებობებით უდიდეს გავლენას ახდენდა უცხოელ სტუმრებზე. „შემდგომში არასოდეს აგებულა ნინევის მსგავსი პოლისი, - ამბობს დიოდორე სიცილიელი, - რომელიც ესოდენ მაშტაბური იქნებოდა საკუთარი სიდიდით და დიდებული, გარშემომზღუდავი კედლებით“.

ასურელთა სიამაყე ქალაქი ნინეფია, ბაბილონელ-მიდიელთა გაერთიანებული ძალების მიერ დაპყრობისა (ძვ. წ. აღ-ის 612 წ.) და სტიქიის მძვინვარების შედეგად საფუძვლებამდე დაქცეული, მოგვიანებით დავიწყებას

1 Толкование ветхозаветных книг от книги Исаии по книге Малахии; Русское издание подготовлено для печати Славянским Миссионерским Издательством; Ашфорд, Коннектикут, США, 1996, ст. 470.

მიეცა¹. ჟამთა სვლის მიუხედავად მტერთაგან დარბეული მრავალი ქალაქი აღდგენილა, ნინევიასთან მიმართებით კი მსგავსი რამ აღარასოდეს მომხდარა. ტრაგიკული მოვლენებიდან, დაახლოებით, ორასი წლის შემდეგ ქსენოფონტე (ძვ. წ. აღ-ის V-IV სს.) ასურელთა ყოფილ დედაქალაქს ჩაუვლის, თუმცა აზრადაც არ მოსდის, რომ მის წინ მდებარე ნანგრევების გროვა ოდესღაც განთქმული ნინევია არის. ახ. წ. აღ-ის I საუკუნეში მის ადგილზე ერთი უმნიშვნელო ციხე-სიმაგრე შემორჩა, რომელსაც ძველი ქალაქის საპატივცემლოდ ნინუსს უწოდებდნენ, ხოლო მოგვიანებით მისი ადგილსამყოფელიც დაიკარგა. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში ევროპელი მეცნიერების მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიაკვლიეს ქალაქის ნაშთებს. მოვლენები ასე განვითარდა: მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ინგლისურ-ინდურმა კომპანიამ ბაღდადში პოლიტიკური წარმომადგენლის რანგში ვინმე რიჩი დანიშნა საკუთარი ინტერესების დასაცავად, რომელმაც სსენებულ ქალაქთან ახლოს არქეოლოგიური გათხრები წამოიწყო. 1820 წელს, მოსულში ყოფნისას, ადგილობრივები წვიმის შედეგად მიწაში გამოჩენილი უზარმაზარი ალიბასტრისგან დამზადებული ფილების შესახებ მოუთხრობდნენ რიჩს, რომლებზეც გარკვეული გამოსახულებები მდებარეობდა.

1 ისტორიული წყაროების თანახმად, ბაბილონელ-მიდიელთა მრავალრიცხოვან ჯარს საქმე ბუნებრივმა მოვლენებმაც გაუადვილა. დიოდორე სიცილიელის ცნობით, ასურელები ქალაქის მისადგომებთან გამართულ ორ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში დამარცხდნენ. მოკლულთა სიმრავლის გამო ახლოს მდებარე მდინარე სისხლისფრად ქცეულიყო. ამავდროულად, ნინევიის ალყაში მოქცევიდან მესამე თვეს, უძლიერესი წვიმების შედეგად მცირე ზომის მდინარე კოსარი (Khosar), რომელიც ქალაქის შუაგულში უწყინარად მიედინებოდა, ისე ადიდდა, რომ ნინევიის ნაწილი დატბორა, ხოლო დამცავი კედლის გარკვეული მონაკვეთი ჩამოაქცია. ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე წერდა, რომ ნინევიის დაცემას არნახული ჭექა-ქუხილი და წვიმა უძლოდა წინ. ბაბილონური ქრონიკების თანახმად, აღურიცხავი იყო ქალაქიდან გატანილი სიმდიდრე, ხოლო თავად ნინევია ნანგრევების გროვად იქცა.

არქეოლოგიის მოყვარულმა რიჩმა მოსმენილი ამბავი უყურადღებოდ არ დატოვა. მით უმეტეს, რომ მოსულის ახლოს მდებარე რეგიონი ცნობილი ბერძენი და რომაელი ავტორების მიერ ნინევიის ადგილსამყოფელის შესახებ აღწერილ ცნობებს თანხვედბოდა. მან, შეძლებისამებრ, რამდენადაც დრო აძლევდა ამის საშუალებას, მითითებული მიდამო გამოიკვლია, მიაგნო რამდენიმე ფირფიტასა და აგურს, რომლებზეც ლურსმნისებრი დამწერლობით სიტყვები იყო ამოტვიფრული. რიჩმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებები შემდგომ წერილობით გამოაქვეყნა.

1842 წელს ფრანგულმა ხელისუფლებამ აღმოსავლელი ქრისტიანების თურქთაგან დაცვის მიზნით მოსულში საკონსულო გახსნა, რომლის ხელმძღვანელად „დიდად საიმედო ადამიანი“ (ასე უწოდებდნენ მას) – პოლ-ემილი ბოტტა, ცნობილი იტალიელი ისტორიკოსის – კარლ ბოტტას ვაჟი დანიშნა. ემილი ბოტტა აღმოსავლეთში როგორც ბუნებათმცოდნე მოგზაურობდა. მეცნიერების ერთი დარგის შემეცნებას კი ადამიანი რიგ შემთხვევაში სხვა მეცნიერებამდე მიჰყვას, ბუნებათმცოდნე ბოტტა სამომსახურო ადგილებში არსებულმა გარემომ არქეოლოგად აქცია. ემილის მოსულში საქმიანობისას იმავე რეგიონში რუსი მეცნიერი, პროფესორი დიტტელი, იმყოფებოდა და ნიმრუდში აწარმოებდა გათხრებს. მან მუშაობის პროცესში ახლად აღმოჩენილი გარემოებების შესახებ უამბო ბოტტას. 1842 წელს, ადგილობრივი ხელისუფლებისგან ნებართვის მიღებისთანავე, ემილი არქეოლოგიურ გათხრებს შეუდგა, თავდაპირველად კიუნჯიკში, შემდეგ კი ერთ-ერთი გლენის მითითებით – კორსაბადში, მოსულიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. 1843 წელს მითითებულ ადგილზე ბოტტამ მეფე სარგონის პირველი ასურული სასახლე აღმოაჩინა. ახალბედა არქეოლოგის მიერ საკუთარი მეგობრის, ცნობილი ორიენტალისტის – ჟიულ მოპის სახელზე გაგზავნილმა წერილმა დიდი ზეგავლენა იქონია ფრანგ მეცნიერებზე, ხოლო შემდგომმა წერილებმა და აღმოჩენების შესახებ შესრულებულმა ჩანაწერებმა საფრანგეთის მთავრობა

შთააგონა, რომ ემილი ბოტატასთვის არქეოლოგიური გათხრების საწარმოებლად დაფინანსება გამოეყო. ამასთან, სამუშაოს შესრულების ადგილზე მიაველინეს მხატვარი – ეგეენი ფლანდენი, რომელსაც ყველა მონაპოვარი ტილოზე უნდა აესახა. სწორედ მისი ოსტატობის შედეგად გაეცნო ასურულ კულტურას პირველად მსოფლიო 1847 წელს გამოცემული ნინევიური ძეგლების აღწერილობით.

1846 წელს ზემოხსენებულ ადგილებში ჩასული ინგლისელი მოგზაური ლეიარდი ნემრუდში არსებული დიდი ზომის ნანგრევებად ქცეული მთის გამოკვლევას შეუდგა, რომელიც არქეოლოგებს ამ დროისთვის ჯერაც არ ჰქონდათ შესწავლილი. მეცნიერი მალე მიწისქვეშ მოქცეული ოთახის ზედა კუთხეს წააწყდა და მცირეოდენ დროში მრავალი სხვა ოთახიც აღმოაჩინა. აქედან მოყოლებული ფრანგმა და ინგლისელმა მკვლევრებმა ერთმანეთის მიყოლებით ათი სასახლე და ქალაქ ნინევის ცენტრალური რეგიონი იპოვნეს. 1855 წელს სხვადასხვა მიზეზის გამო მიმდინარე გათხრები შეაჩერეს როგორც ფრანგებმა, ასევე ინგლისელებმა, თუმცა დროის მცირე მონაკვეთში მიგნებული სიახლეები მსოფლიო სამეცნიერო წრეებისთვის შეუფასებელი მნიშვნელობის აღმოჩნდა¹.

მხ. 3. „ადგა იონა, რომ თარშიშში გაქცეულიყო უფლის პირისგან. ჩავიდა იაფოში, მონახა თარშიშს მიმავალი ხომალდი, გადაიხადა საფასური, ჩაჯდა შიგ და მათთან ერთად გაემგზავრა თარშიშისკენ, რომ უფლის პირისგან გადახვეწილიყო“².

საღვთო მოწოდებაზე უარის თქმა, წმინდა წერილის თანახმად, სხვა ბიბლიური პირების ცხოვრებაშიც გვხვ-

1 ნინევის შესახებ იხ. ვრცლად: Митрополит Митрофан (Симашкевич); Пророчество Наума о Ниневии; Эгзегетическое исследование с очерками истории Ассирийского государства и историко-критическим решением вопроса о происхождении книги пророка Наума; С.-Петербург, 1875.

2 „და აღდგა იონა და წარვიდა სივლტოლით თარშიდ პირისაგან უფლისა და შთავიდა იოპედ და პოვა ნავი, მიმავალი თარშიდ. და მისცა სანავე მისი და შევიდა მას წარსლვად მათ თანა თარშიდ პირისაგან უფლისა“.

ვდება. მაგალითად, მოსე საკუთარ თავს ენებრგვილს უწოდებდა და ამით დაკისრებული მოვალეობიდან გათავისუფლებას ცდილობდა, ხოლო იერემია უფალს ასე მიმართავდა: „უფალო ღმერთო, მე ხომ ლაპარაკი არ ვიცი, რადგან ყმაწვილი ვარ“¹. მიუხედავად წარმოდგენილი მაგალითებისა, იონას შემთხვევა სრულიად განსხვავებული მოვლენაა და წმინდა წერილში თავისი ფორმით ანალოგს ვერ პოულობს.

წინასწარმეტყველი გარბის, რადგან არ სურს ნინევის გადაარჩენა, თანაც უშუალოდ საკუთარი მონაწილეობით. იონა ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაცვლად დასავლეთისკენ მიემართება, რითიც კარგად წარმოაჩენს საღთო სიტყვისადმი საკუთარ შეუთავსებლობას. ისმის კითხვა: რატომ ამბობს ძველი აღთქმის მართალი ადამიანი სხვების გადაარჩენაზე უარს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუნდაც რომ საქმე ბიბლიურ წმინდანს ეხებოდეს, ვითარების სწორად შეფასებაა აუცილებელი. ისინიც ადამიანები არიან და რიგ შემთხვევაში გარკვეულ სისუსტეს ავლენენ, თუმცა მოღვაწეობითა და საღვთო მოშურნეობით განიწმინდებიან დაცემული ბუნებისთვის მახასიათებელი სისუსტეებისგან და სულიერების უმაღლეს საფეხურს აღწევენ. წინასწარმეტყველი იონაც თანამედროვე იუდაური საზოგადოების წევრია. მასაც, როგორც თვისტომთ, მიაჩნია, რომ გარდა იუდეველებისა, სხვა ხალხები ღვთის რისხვას იმსახურებენ. ამგვარ აზრს ძველი აღთქმის რჯულში წარმოდგენილი კანონებიც განამტკიცებდა, უკრძალავდა რა რჩეული ერის წარმომადგენლებს ურთიერთობას უცხოტომელებთან.

საღვთო მოწოდებამ წინასწარმეტყველის სულში ძლიერი ორთაბრძოლა აღძრა. იონას საკუთარ თავში სიყრმიდან ფესვგადგმული რელიგიური შეხედულებები უნდა დაეთრგუნა და მისთვის სრულიად ახალი რეალობა გაეცნობიერებინა: უზენაესი არსი საღვთო მზრუნველობას ყველას მიმართ იჩენს.

სანამ იონა სულის სიღრმეში აღძრული მღელვარების

მიზეზებში გარკვეულა, უარს ამბობს ნინევი გამგზავრებასა და ქადაგებაზე. წინასწარმრტყველი უზენაესის თვალსაჩინო მოწმობის გარეშე საკუთარ თავს ვერ ერევა, შინაგან ჭიდილში კვლავ ძველი კაცი იმარჯვებს და იონა გარბის. იუდაური წარმოდგენების თანახმად, მხოლოდ აღთქმული მიწა მიიჩნეოდა ღვთის განსაკუთრებული მყოფობისა და გამოცხადების ადგილად, ხოლო წარმართული სახელმწიფოები ასეთ სიკეთეს მოკლებული იყვნენ. იონაც მსგავსი შეხედულებებით ხელმძღვანელობს და მიემართება თარშიში, რომელიც იმ დროისთვის დასავლეთით ქვეყნიერების დასასრულად მიიჩნეოდა¹, რადგან ფიქრობდა, რომ მასში აღძრული საღვთო სიტყვა შორეულ თარშიში შეწყვეტდა მოქმედებას.

გავა რამდენიმე ათეული წელი და ოსია საღვთო განჩინებით მეძავ გომერზე დაქორწინდება. აღნიშნული მოქმედება უზენაესის რჩეული ერისადმი განუსაზღვრელი სიყვარულის სიმბოლოა, მოცემულ შემთხვევაში კი **უფლის პირისაგან** გაქცეული იონა იმავე რჩეული ერის ურჩობასა და უგრძობლობას განასახიერებს. წინასწარმრტყველის თავს თევზის სახით მოვლენილი სასჯელიც იუდეველთათვის განკუთვნილი საღვთო რისხვის წინასახეა, თუმცა იონა უვნებელი გადარჩება, რითიც იმავე ერისადმი შემოქმედის უზომო სიყვარული და მზრუნველობა დასტურდება.

დეკან. იოანე სოლოვიოვი: წინასწარმრტყველის გაქცევა არ იყო საღვთო ხმობის შეგნებული, შინაგანად დაგეგმილი უარყოფა. პირიქით, მის საქციელში უზენაესისა და თანატომელებისადმი უანგარო სიყვარული ვლინდება. ეს იყო ელიას მოშურნეობა, რომელიც საკუთარი თავისთვის სიკვდილს ითხოვდა, ოღონდაც ისრაელის მოსახლეობის მიერ იაჰვეს უარყოფა არ ენახა. ეს იყო მოსეს გულმოდგინება, ებრაელთა გადარჩენის წილ ცოცხალთა წიგნიდან რომ ევედრებოდა ამოშლას. ფსიქოლოგიური განწყობით, იონას გაქცევა, სახარებაში მოთხრობილი, მა-

1 ატლანტის ოკეანის დასავლეთით იმჟამინდელი კაცობრიობისთვის არაფერი არსებობდა.

მის ნების თავდაპირველად უარყოფელი, ხოლო შემდგომ იმავე ნების აღმსრულებელი ძის საქციელს ემსგავსება. ასეთ ადამიანს, ვითარცა გაავებულ ღვთისმგმობსა და ეგოისტს, კი არ უნდა განვუდგეთ, არამედ უნდა გვიყვარდეს და ვაფასებდეთ მას, რადგან ასეთი პიროვნების გრძნობა და მრწამსი არასოდეს განეკრძალების სიტყვასა და საქმეს, ამასთანავე არც აზრების გამოთქმას ერიდება და უფროსის, რადგან იცის, რომ პირფერობისა და ცბიერების გარეშე ეს ყოველივე. მართალი, ჭეშმარიტი და პატიოსანი გმირი შეიძლება ვუწოდოთ მას, რადგან მზადაა, სიცოცხლე ამსხვერპლოს საკუთარ მრწამსსა და გრძნობებს. ჭეშმარიტად ღვთის რჩეულია იგი, წინასწარმეტყველი მესიისა, უფლის სადიდებლად სიკვდილამდე მოშურნე).

თეოდორიტე კვირელი: თარში კართაგენია, აფრიკის წამყვანი ქალაქი. ესაიასთან ერთგან ნათქვამია: „იტირეთ, კართაგენის ხომალდებო“¹. აკვილა, სვიმაქოსი და თეოდოტიანე მოხმობილი წინადადების თარგმნისას, ნაცვლად კართაგენისა, თარშს ახსენებენ (მღრ.: „იტირეთ, თარშიშის ხომალდებო“), რადგან სწორედ ეს სახელი იყო მითითებული ებრაულ ტექსტში, რომელსაც ისინი ეყრდნობოდნენ. მსგავსადვე, როდესაც ეზეკიელი ქალაქ კართაგენს იგონებს, ებრაულსა და სირიულ ბიბლიაში იმავე ადგილას ვკითხულობთ „თარშს“. ვხელმძღვანელობთ რა წარმოდგენილი ცნობებით, ვამბობთ, რომ იონა მიემართებოდა არა ინდოეთისკენ, არამედ კართაგენში).

ნეტარი იერონიმე: იონამ სულიწმინდის ძალით იცის, რომ წარმართთა მონანიება იუდეველთა დაცემას ნიშნავს. ამიტომაც სამშობლოსა და თანატომელების ძლიერ მოყვარული წინასწარმეტყველი არცთუ დიდი მონდომებით თანაუგრძნობს ნინევიას, არ სურს რა საკუთარი ხალხის დაღუპვა. იონამ უწყის, რომ ყველა წინასწარმეტყველი ისრაელის სახლის წარწყმედილ ცხვრებთან მიივლინებოდა და წუხს, რადგან თავად იუდეველთა მოძულე სახელმწიფოს ყველაზე დიდ ქა-

ლაქში იგზავნება და ღვთის სიტყვა სწორედ ებრაელთა არაერთგზის ამოხრებელ ასურელებს უნდა უქადაგოს. ამასთანავე, მას ეშინოდა, რომ ქადაგებისას, ნინეველთა მხრიდან სინანულის გამოვლინების შემთხვევაში, უზენაესს იუდეველი ერი არ დაეტოვებინა და სხვა ერის მფარველი არ გამხდარიყო, რადგან იონამ იმავე სულით, რითაც წინასწარმეტყველად დადგინდა, უწყოდა, რომ რაჟამს წარმართნი ირწმუნებდნენ, სწორედ მაშინ განუდგებოდა ღმერთს ისრაელის სახლი და შიშობდა, მის დროს არ აღსრულებულიყო ის, რაც მომავალში განხორციელდა. იგი გარბის და იოსებ ფლავიოსის ცნობით, კილიკიის ტარსში მიემართება.

ებრაელებს მიაჩნიათ, რომ სიტყვა **Tharsis** ნიშნავს ზღვას. როგორც ფსალმუნშია ნათქვამი: „მუნ საღმობაჲ, ვითარცა შობადისა. ქართია სასტიკითა შეჰმუსრნეს ნაენი თარშისანი“¹. ესაიასთან: „იტირეთ თარშისის ზომალდებო“². შესაბამისად, იონა არა რომელიმე კონკრეტული ადგილისკენ მიემგზავრებოდა, არამედ სურდა, ალთქმულ ქვეყანას ზღვით გარიდებოდა ნებისმიერი მიმართულებით, საითაც განგება წაიყვანდა. შეშინებული ადამიანისთვის ბუნებრივი იყო პირველივე შემხვედრ ზომალდზე ასვლა, განუსაზღვრელად გეზისა, რადგან ადგილისა და მიმართულების დადგენას გარკვეული დრო დასჭირდებოდა.

უფალთან, ჩვენს მსხნელთან, მიმართებით კი ვიტყვი, რომ მან დაუტევა სახლი და მამისეული წიაღი და მიიღო რა კაცება, ზეციდან გარდამოსული, თარშში მოვიდა, რაც ამა ქვეყნის სახეა.

იოზე ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე იუდეის ერთ-ერთი ქალაქია, სადაც ტვიროსის მეფე ხირამი ლიბანში მოჭრილ ხეებს ტივად შეკრული სახით აგზავნიდა. ამ

1 ფს. 47.8.

2 ეს. 23.14. ესაიას იმავე ციტატას, რაზეც ზემოთ თეოდორიტე კვირელი საუბრობდა და მასზე დაყრდნობით თარშის კართაგენად მიიჩნევა, ნეტარი იერონიმე განსხვავებულად განმარტავს. მისი თქმით, თარშში ნიშნავს ზღვას.

ხეებს შემდეგ იოპედან სახმელეთო გზით იერუსალიმში ეზიდებოდნენ).

წმ. კირილე ალექსანდრიელი: იოპე პალესტინის ქალაქია. იგი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე საპორტო პოლისი იყო. იონა თარშში მიმავალ ხომალდს მიჰყვება. იგი საფასურს იხდის და სხვებთან ერთად მიემგზავრება. ზოგიერთს თარში ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქად მიაჩნია. ჩვენთვის ცნობილია, რომ ასეთი ქალაქი იქ, მართლაც, იყო. ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევაში ინდოეთის თარში არ იგულისხმება, რადგან მასში გამგზავრების მსურველს არა ხმელთაშუა, არამედ მეწამული ზღვით უნდა ესარგებლა. რაც შეეხება ხსენებულ თარშს, ის კილიკიაში მდებარე თანამედროვე ტარსუსი მგონია.

იონას სურს, „**უფლის პირისგან**“ გაიქცეს. რას უნდა ნიშნავდეს წმინდა წერილის ეს სიტყვები? რატომ გარბის წინასწარმეტყველი საკუთრივ თარშში? ამის თქმა საკმაოდ რთულია, მაგრამ ვფიქრობ, რომ წინასწარმეტყველს ღმერთის შესახებ არ ჰქონდა სრულყოფილი ცოდნა, რადგან ზოგიერთს მიაჩნდა, თითქოს საღვთო ძალაუფლება მხოლოდ იუდეველთა ქვეყანაზე ვრცელდებოდა და სხვას არანაირად არ ეხებოდა. უწინარეს ამ მოვლენებისა იაკობ მამამთავარი მშობლიური სახლიდან მესოპოტამიისკენ მიემართებოდა და ღამის გასათენებლად ერთგან შეჩერდა. ჩვეულებისამებრ, მან ძილის წინ თავქვეშ ქვა ამოიღო, ჩათვლიმა და ზეცად აღმართული კიბე იხილა, რომელზეც უფლის ანგელოზები ადიოდნენ და ჩამოდდიოდნენ, ხოლო კიბის თავში თავად უზენაესი იდგა. გამოღვიძებულმა პირველი ეს სიტყვები წარმოთქვა: „ამ ადგილზე უფალი ყოფილა, მე კი არ ვიციოდი“¹. ალბათ, მსგავს რამეს ფიქრობდა წინასწარმეტყველი, რაჟამს საკუთარ სამშობლოს ტოვებდა და ელინურ ქალაქში მიემართებოდა. თუ რატომ არ სურდა იონას მასზე დაკისრებული ღვაწლის აღსრულება, მისივე სიტყვებიდან ვიგებთ: „ილოცა უფლის მიმართ და უთხრა: ჰე, უფალო, განა ამას არ ვამბობდი,

როცა ჯერ კიდევ ჩემს მიწაზე ვიყავი? თავიდანაც იმიტომ გაერბოდი თარშში, რომ ვიცოდი, მონანიე და ლმობიერი ღმერთი ხარ, რისხვაგვიანი და მრავალმოწყალე, ნანობ ხოლმე ბოროტისყოფას. ახლა ბარემ ამომხადე სული, რადგან ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია¹. იონამ მის მიერ წარმოთქმული წინასწარმეტყველების საბოლოო ხვედრი არ უწყოდა, მაგრამ რაჟამს იხილა, რომ ქალაქი გადარჩა, ნინეველების შეეშინდა, რადგან ამ უკანასკნელთ, მისი წარმოდგენით, შესაძლოა, იგი მოეკლათ, როგორც სიცრუის მქადაგებელი).

დეკან. იოანე სოლოვიოვი: იოპე იუდეველთა ერთადერთი საპორტო ქალაქი იყო. აღნიშნული ნავსადგურის შესახებ ცნობებს საომარი და საზღვაო საქმეების უბადლო მცოდნე იოსებ ფლავიოსი გვაუწყებს. ისტორიკოსი ამბობს, რომ რეიდი იოპეს სანაპიროზე ყველაზე საშიში მოვლენაა, რადგან ნავსადგურს არ გააჩნია მუდმივი სადგომი და ამ არეალში მოხვედრილი გემი არაფრითაა დაცული ზღვის ტალღებისგან. ფლავიოსის სიტყვების კომენტარებისას დე-სოლსი ამბობს²: „საკმარისია, იაპის ან იოპეს სანაპიროს ხომალდით მხოლოდ ერთხელ ესტუმრო, თუნდაც წელიწადის ყველაზე საუკეთესო დროს, რომ გააცნობიერო, რა არის საზღვაო საფრთხე. მთელი წლის მანძილზე აქ საშინლად ღელავს ზღვა“. ხსენებული ავტორი აგრძელებს ფლავიოსის ცნობების განხილვას და ამბობს: „მას შემდეგ, რაც ხალხმა ღია ზღვაში საკუთარ ნაგებზე მთელი ღამე გაატარა, განთიადისას მძლავრმა ქარმა დაქროლა. მეზღვაურებმა მას μάχλα βίριον (შავი ბორიონი, - ჩვეულებისამებრ, დღევანდელ დღემდე ასე უწოდებენ ჩრდილოეთის ქარს) შეარქვეს. სულ რაღაც ერთ წამში ნაგების ნაწილი სანაპიროზე იქნა გარიყული, სხვები წყალქვეშა ქვებთან შეჯახებით დაიმსხვრა. მესამე,

1 იონ. 4. 2-3.

2 დეკანოზი იოანე სოლოვიოვი საკუთარ ნაშრომში ხსენებული მეცნიერის (დე-სოლსის) წიგნიდან - „იერუსალიმის უკანასკნელი დღეები“ საპორტო ქალაქ იოპესთან დაკავშირებულ ცნობებს იშველიებს.

ყველაზე დიდი ჯგუფი, ცდილობდა, ღრმად შესულიყო ზღვაში, ანაც როგორმე ნაპირისთვის მიეღწია, მაგრამ ნაგები პირქვე ტრიალდებოდა, ზოგი იძირებოდა, ზოგიც კლდეებს ეხეთქებოდა და იმსხვრეოდა“. ხსენებული პორტი ხომალდებისთვის დღემდე იმავე საშიშროებას წარმოადგენს. „მარჯნის რიფები, ამბობს რუსი მოგზაური ნოროვი, აქედან (იოპედან) მთელი სანაპიროს გასწვრივ ღაზამდეა გადაჭიმული. ისინი ნავსადგურში მდგომი ხომალდების ბაგირებს კვეთენ და ხომალდებს ზღვის ანაბარა ტოვებენ. ასე რომ, ქარის ამოვარდნისას ღია ზღვაში გასვლა ერთადერთი საშუალებაა ხომალდის გადასარჩენად, რაც გრიგალის სიმძლავრის მიზეზით ხშირად ვერ ხერხდება“¹).

ფრიდრიხ რუჟემონი: იუდეველები სიამოვნებით წარმოიდგენდნენ, როგორ მუსრავდა წარმართებს უფალი და ჯიუტად უარყოფდნენ აზრს იმის შესახებ, რომ რჩეულობა მათ ღვთის სიტყვის სხვა ერებისთვის საქადაგებლად მიენიჭათ. წინასწარმეტყველთა დევნისა და შევიწროვების მიზეზიც სწორედ ეს იყო, რადგან ისინი ისეთ რამეს აუწყებდნენ თვისტომთ, რისი არათუ შესრულება, ყურისგდებაც კი არ სურდათ ამ უკანასკნელთ. კერძოდ, რომ ურჩობაშია ისრაელი და ამის გამო დაისჯება, ხოლო ღვთის წყალობა ყოველ ერს თანაბრად მიეფინება. იონაც, გარკვეულწილად, საკუთარი ერის ეგოისტურ მდგომარეობას იზიარებს და არ სურს, ღმერთი ნინეველთა გადარჩენით დაკავდეს, თავად კი აღნიშნულ საქმეში საღვთო იარაღად იქცეს. ასე რომ, ეს ადამიანი, რომელმაც დიდი სიხარულით მიიღო ღვთისაგან უწყება, იერობოამ II-ის სირიელებზე გამარჯვება გაეცხადებინა, იმავე ღმერთს ეწინააღმდეგება, რაჟამს აღმოსავლეთში გამგზავრების შესახებ გებულობს და გარბის ღვთის პირისაგან, რადგან დარწმუნებულია, აღთქმული მიწის საზღვრებს გარეთ ის აღარ იქნება წინასწარმეტყველი და არც უფალი დაე-

1 დეკანოზი იოანე ამჯერად სხვა ავტორის, რუსი მოგზაურის - ნოროვის ცნობას ციტირებს ნაშრომიდან „წმინდა ადგილებში მოგზაურობა“.

დევენება შორეულ თარშიშამდე. ამრიგად, მიუხედავად ჭეშმარიტების ცოდნისა, დიდი გამოცდილებისა და საღვთო ხმობისა, შესაძლოა, მარავალი ქრისტიანი გულში კვლავაც ინარჩუნებდეს ურჩობისა და სიამაყის განცდას).

მხ. 4. „ამოაგდო უფალმა ძლიერი ქარი ზღვაზე. დიდმა ქარიშხალმა ააბობოქრა ზღვა; ცოტაც და, უნდა დაღეწილიყო ხომალდი“¹.

წმ. კირილე ალექსანდრიელი: ღვთის განგებით, ძლიერმა ქარმა დაქროლა, ხომალდი დაღუპვის პირას იყო მისული. ის იმგვარად მიმოიქცეოდა ტალღებზე, რომ მეზღვაურებს ყოველგვარი იმედი წარეკვეთათ. ჩვეულებისამებრ ამ მდგომარეობისა, მთელი ტვირთი ზღვაში გადაყარეს, რათა შემსუბუქებული გემი აზვირთებულ ტალღას ზემოდან მოქცეოდა. სასტიკი ქარის ამოვარდნას მეზღვაურთა შეძრწუნებაც ადასტურებს. ისინი მთელ იმედს საკუთარი „ღმერთებისკენ“ მიმართავდნენ).

თეოდორიტი კვირელი: წინასწარმეტყველი ასე იმითომ მოიქცა, რომ ვითარცა ჭეშმარიტი ღმერთის აღმსარებელმა, **მისი** ყველგანმყოფობა იცოდა, მაგრამ ვარაუდობდა, თითქოს უზენაესი საკუთარ თავს მხოლოდ ალთქმულ ქვეყანაში განაცხადებდა. გაქცევის მიზეზი არ ყოფილა სიზარმაცე ან შიში. პირიქით, მან უწყობდა, თუ როგორი მოწყალეა უფალი და სინანულის შემთხვევაში ნინეველნი უცილობლად მოიპოვებდნენ წყალობასა და ცოდვათა შენდობას, ხოლო ამ ფონზე მისი წინასწარმეტყველება ფუჭად ჩაითვლებოდა, იონას კი სიცრუის მქადაგებლად გამოაცხადებდნენ. აღნიშნულ აზრს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მას უზენაესის მიერ ნინეველთა გაფრთხილება განუმტკიცებდა, რადგან თუკი უფალი დასჯას ინებებდა, წინასწარ არ განაცხადებდა ამის შესახებ, დასჯის თაობაზე უწყება კი თავისთავად სინანულისკენ აწვევდა ქალაქის მკვიდრთ. ასევე, ნინეველთა კეთილგანწყობა მათთვის

1 „და უფალმან აღადგინა ქარი დიდი ზღუასა მას ზედა და იყო ღელვაჲ დიდი ზღუასა მას შინა და ნავი იგი მიახლებულ იყო შემუსრვად“.

სრულიად უცხო და უცნობი ადამიანის ქადაგებისადმი იუდეველთა წინააღმდეგ ბრალდების მიზეზი გახდებოდა, იუდეველებისა, რომლებსაც წინასწარმეტყველთა არა მარტო სიტყვა, არამედ აღურიცხავი სასწაულებიც უხილავთ, მაგრამ ურჩობის წყვედიადიდან მაინც არ გამოსულან და არავითარი სულიერი სარგებელი საღვთო სიტყვის მოსმენით არ მიუღიათ. ამიტომაც იონა უარს ამბობს ღვთის ნების აღსრულებაზე და გარბის, რომ განეკრძალოს მოწოდებულ მსახურებას. თუმცა ცისა და ქვეყნის შემოქმედი უდიდეს ღვლვას აღძრავს და იმ დროს, როცა ყველა სხვა ხომალდი ზურგის ქარით მშვიდად მიაპობდა ტალღებს, ზღვა მხოლოდ იონას ხომალდის ირგვლივ ბობოქრობდა და შთანთქმას უქადადა. ამას წილისყრაც ადასტურებს, რადგან ზღვის მღვლვარება რომ საზოგადო ყოფილიყო, მეზღვაურები არ გადაწყვეტდნენ, წილისყრით გამოველინათ დამნაშავე, მაგრამ ხედავდნენ რა, რომ სხვა ხომალდები უდრტვინველად მიაპობდნენ ტალღებს, ხოლო მათი გემი დაღუპვისთვის განწირულიყო, ჯერ თავიანთ ღმერთებს მიმართავენ ლოცვით, ხოლო შემდეგ სხვა ხერხსა და საშუალებას ირჩევენ).

ნეტარი იერონიმი: იონას გაქცევა ღვთის მცნებათა უარმყოფელი ადამიანის მდგომარეობას განასახიერებს, რომელმაც ზეცა დაუტევა და ამ ქვეყანას შეერთო, თუმცა მოგვიანებით, შეჭირვებისა და განსაცდელების შედეგად, იძულებული გახდა, ღვთის ძლიერება ეღიარებინა და კვლავ დაბრუნებოდა **იმას**, ვისაც გაექცა. იონამ იცოდა, რომ ღმერთს შესცოდა, ხოლო სხვებმა არსებული ღვლვის შესახებ არაფერი უწყოდნენ. წინასწარმეტყველი დარწმუნებული იყო სტიქიის გამომწვევ მიზეზში).

მს. 5. „შეშინდნენ მეზღვაურები, ყველამ თავ-თავის ღმერთს შეჰლაღადა; ზღვაში გადაყარეს, რაც რამ საქონელი ჰქონდათ ხომალდზე, რომ შეემსუბუქებინათ იგი. იონა კი ხომალდის ბანქვემ ჩასულიყო, იწვა და ეძინა“¹.

1 „და შეეშინა მენავეთა მათ და დაღაღებდა კაცად-კაცადი ღმრთისა მიმართ თვისისა და გარდამოჰყრიდეს ჭურჭერსა ნავისასა

წმ. კირილე ალექსანდრიელი: იონას ქარის ამოვარდნამდე დაეძინა, სხვაგვარად აუხსნელი იქნებოდა, როგორ შეეძლო ამ მდგომარეობაში მშვიდად ყოფნა. წინასწარმეტყველი გემის ყველაზე დაბალ ნაწილში იმყოფებოდა, რაც მისი სიწმინდის მანიშნებელია, რადგან ასეთებს მარადის მარტოობისთვის უთქვამთ გული. ისინი ერიდებიან ფუფუნებას, ხალხში ხშირ გამოჩენას. იერემია ერთგან ამბობს: „კარგია, როცა კაცი უღელს ატარებს სიჭაბუკეში; ზის სიმარტოვეში და დუმს, რადგან უფალმა დაადო ტვირთი“¹. სხვაგან იტყვის: „ლაზღანდარებში არ ვმჯდარე ვარ და არ გავლაღებულვარ; ცალკე ვიჯექი შენს ხელქვეშ, რადგან ამავსე ბრაზით“². მარტო ყოფნა კი, ვფიქრობ, ცხოვრების მშვიდად გატარებას, საკუთარი თავის ქვეყნიური და ამო საზრუნავებისგან გათავისუფლებას გულისხმობს, განმარტოებას იმ ადამიანთაგან, რომელთაც ვნებიანი ყოფა შეიყვარეს).

ნეტარი იერონიმე: სძინავს მას არა უზრუნველობის, არამედ მწუხარების გამო, როგორც მოციქულთა შემთხვევაში, როდესაც გეთსიმანიის ბაღში მაცხოვრის ლოცვისას მისი პირისახიდან ოფლთან ერთად დაღვრილმა სისხლმა პეტრე, იაკობი და იოანე მოსალოდნელ განსაცდელში დაარწმუნა და სწორედ ამ საკითხზე ფიქრით დამაშვრალეებს, გრძნობენ რა უდიდეს გადაღლას, ბუნებრივად ჩაეძინებათ).

მხ. 6. „მივიდა მასთან ხომალდის უფროსი და უთხრა: რას დაგიძინია? აღექი, შენც შეჰლაღადე შენს ღმერთს, ვინძლო, შეგვიწყალოს ღმერთმა და არ დავიღუპოთ“³.

მოცემულ შემთხვევაში ჩვეულებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე. წარმართები, საკუთარი ღვთაებების გარდა, სხვა ღმერთების არსებობასაც აღიარებდნენ და სწორედ

ზღუად, რამთა აღმუცვირონ მათგან. ხოლო იონა შთავიდა უბესა მის ნავისასა და ეძინა და ხურინვიდა“.

1 გოდ. იერ. 3. 27-28.

2 იერ. 15.17.

3 „და მოუვდა მას მენავს იგი და პრქუა მას: რამსა ჰხურინავ, აღდეგ და ხადოდე ღმერთსა შენსა! გვკსნეს ხოლო თუ ღმერთმან და არა წარვწყმდეო“.

ამიტომ მიმართავენ წინასწარმეტყველს, იქნებ მისმა ღმერთმა წყალობით მოხედოს სიკვდილისთვის განწირულებს.

მს. 7. „თქვა ერთმანეთში ხალხმა: მოდით, წილი ვყაროთ და გავიგოთ, ვის გამო ჩავცვივდით ამ განსაცდელში. ყარეს წილი და წილი შეხვდა იონას“¹.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ წილისყრისას, შესაძლოა, დანიშნული კენჭი გამოიყენეს. მიმდინარე განსაცდელში დამნაშავედ იონა გამოვლინდა. ძველ დროში ხალხი უბედურებას კონკრეტულად რომელიმე პიროვნებას და მის მიერ აღსრულებულ ცოდვას უკავშირებდა. მართალი იონის განსაცდელი ამის ნათელი დასტურია.

ნეტარი იერთონიე: მეზღვაურები, რომელთაც ხომალდზე ყოფნის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნდათ, ზედმიწევნით ზუსტად ცნობდნენ ზღვის ბუნებას. მათ ჩვეულებრივი ტალღები რომ ენახათ, როგორც უწინარესაც არაერთხელ მომხდარა, არ დაუწყებდნენ ძიებას დამნაშავეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ გაუგონარი ზღვის ღელვა იხილეს და მიხვდნენ, რომ ეს ვილაცის ფრიად დიდი შეცოდების შედეგი იყო. ამიტომაც შეეცადნენ, წილისყრით გამოეკვლიათ დამნაშავე).

მს. 8-10. „ჰკითხეს: გვითხარი, ვის გამო ჩავცვივდით ამ განსაცდელში; რა ხელობის კაცი ხარ, საიდან მოდიხარ, სადაური ხარ, რა რჯულისა? მიუგო: ებრაელი ვარ, მოშიშარი უფლისა, ცათა ღმერთისა, რომელმაც ზღვა და ხმელეთი შექმნა. დიდად შეეშინდათ ამ კაცებს, უთხრეს: ეს რა ჩაგიდენიაო, როცა გაიგეს, რომ უფლის პირისგან იყო გაქცეული, რადგან თვითონვე გამოუტყდა“².

1 „და ჰრქუა კაცად-კაცადმან მოყუასსა თჳსსა: მოვედით და განვიგდოთ წილი და ვცნათ, რადასათჳს არს ბოროტი ესე ჩუენ ზედა. და განაგდეს წილი და აღმოუყდა წილი იგი იონას“.

2 „და ჰრქუეს მას: მითხარ ჩუენ, რაა არს საქმჳ შენი და ვინაა მოხუალ შენ, ანუ რომლისა სოფლისაა ანუ რომლისა ერისაა ხარი შენ? და ჰრქუა მათ იონა: მონაა უფლისაა ვარი მე და უფლისა ღმერთისა ცათადასა მეშინის მე და ვჰმსახურებ მას, რომელმან შექმნა ზღუა და ვმელი. და შეეშინა კაცთა მათ შიშითა დიდითა ფრიად და ჰრქუეს მას: «რაა ესე ჰყავ?» რამეთუ გულისხმა-ყვეს კაცთა მათ, ვითარმედ პირისაგან უფლისა

მართალია, მეზღვაურებისთვის გაცემული იონას პასუხი ტექსტში საკმაოდ მოკლედაა წარმოდგენილი, მაგრამ, სავარაუდოდ, ის ყველაფრის შესახებ დეტალურად უყვება მსმენელს: თუ როგორ მოუწოდა უზენაესმა ნინევში გასამგზავრებლად და რა მოიმოქმედა მან ამის საპირისპიროდ.

ნეტარი იერონიმი: მეზღვაურები ძლიერ შეშინდნენ, რადგან მიხვდნენ, რომ ხომალდზე მყოფი პიროვნება წმინდა ადამიანი წმინდა მოდგმიდან. დიდაა ის, ვინც გარბის, მაგრამ უზომოდ აღმატებულია **ის**, ვინც გაქცეულს დასდევნებია).

წმ. კირილე ალექსანდრიელი: ხომალდზე მყოფი ადამიანები დამნაშავეს გამოვლენისას ძლიერ დაინტერესდნენ, თუ რაში მდგომარეობს ბრალდებულის შეცოდება. ისინი ითხოვენ, რომ იონამ საკუთარი წარმომავლობა, საცხოვრებელი ქალაქი, ეროვნება გაამხილოს, რათა ამის მიხედვით გაიგონ, რომელი ღმერთი მრისხანებს ეგზომ ძლიერად. მეზღვაურებს ეგონათ, გამოიკვლევდნენ რა იონას ღმერთის ვინაობას, თაყვანს მიაგებდნენ და ამით **მის** რისხვას დააცხრობდნენ. რაჟამს იონამ საკუთარი თავი ზეცისა და ქვეყნის შემოქმედი ღმერთის მონად გამოაცხადა, მაშინვე გულისხმა-ჰყვეს, რომ მათ წინაშე მდგომი ადამიანი უზენაესს გაურბოდა. როგორ მიხვდნენ ამას? იმით, რომ იუდეველებს ეკრძალებოდათ საკუთარი სამშობლოს მიტოვება და წარმართებთან აღრევა).

მს. 11. „ჰკითხეს: «რა უნდა გიყოთ, რომ ზღვა დაგვიწყნარდეს?» რადგან ზღვა კვლავინდებურად ღელავდა“¹.

მეზღვაურები ფიქრობენ, თუ რა მოუხერხონ წინასწარმეტყველს. ჩვეულებრივ შემთხვევაში ისინი ყოველგვარი გამოძიების გარეშე გაუსწორდებოდნენ ღვთის განმარისხებელს, მაგრამ ხედავენ, რომ მათ წინაშე უფლის

ივლტოდა იგი, რამეთუ უთხრა მათ“.

¹ „და ჰრქუეს მას: «რამ გიყოთ შენ და დასცხრეს ზღუამ ესე ჩუენ ზედა?» რამეთუ ზღუამ იგი აღდგებოდა და აღადგინებდა უფრომსლა ღელვასა“.

რჩეული იმყოფება და ვერ ბედავენ, განაჩენი თავად გამოიტანონ.

ნეტარი იერონიმი: ასეთია მეზღვაურების იონასადმი მიმართვა: ამბობ, რომ შენ გამო აღელდა ზღვა, აღიძრა გრიგალი, ავადმყოფობის მიზეზს შენ ასახელებ?! მაშ, მისი კურნების გზაც თავად გვიჩვენე).

მს. 12. „მიუგო: ამიღეთ, გადამაგდეთ ზღვაში და ზღვა დაგიწყნარდებათ, რადგან ვიცი, ეს დიდი ქარიშხალი ჩემს გამო დაგატყდათ თავს“¹.

იონა ღვთის წინაშე დანაშაულს განიცდის და საკუთარი თავისთვის ამ განცდის შესაბამისი სასჯელი გამოაქვს: წინასწარმეტყველი მზადაა, დათმოს ის, რაც ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასია – სიცოცხლე. ამავდროულად ჩანს მისი მზრუნველობა გემზე მყოფი ადამიანების მიმართ. თუ იონა ხომალდზე დარჩება, მთელი შემადგენლობა დაღუპვისთვისაა განწირული. იგი თანახმაა, თავი გასწიროს სხვათა გადასარჩენად.

მს. 13-14. „მოუსვენს ნიჩბები, რომ ხმელეთს მისდგომოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგან ზღვა კიდევ უფრო აუბობოქრდათ. მაშინ შეჰლაღადეს უფალს და უთხრეს: ჰე, უფალო, ნუ დაგვღუპავ ამ კაცის გამო, მაგრამ ნურც მართალ სისხლს მოგვეკითხავ. რადგან ისე მოაწყვე, უფალო, როგორც გინდოდეს“²

მეზღვაურები ძალას არ იშურებდნენ, რომ იონა ნაპირზე გადაესვათ, მაგრამ რაყამს ჩანაფიქრის განუხორციელებლობაში დარწმუნდნენ, უფალს თხოვნით მიმართეს, რათა მართალი კაცის მოკვდინებისთვის პასუხი არ მოჰკითხოდათ. ებრაული გადმოცემის თანახმად,

1 „და ჰრქუა მათ იონა: აღმიღეთ მე და შთამაგდეთ ზღუასა და დასცხრეს ზღუად ესე თქუენ ზედა, რამეთუ მიცნობიეს მე, ვითარმედ ჩემთვის არს დიდი ესე ღელვაჲ თქუენ ზედა“.

2 „და აიძულებდეს კაცნი იგი ნავსა მას მოქცევაჲ ქუეყანად და ვერ შეუძლეს, რამეთუ ზღუად იგი მოვიდოდა და აღდგებოდა უფროჲს მათ ზედა. და ღაღად-ყვეს უფლისა მიმართ და თქუეს: ნუსადა, უფალო, ნუმცა წარვეწყმდებით სულისათჳს ამის კაცისა და ნუ მოაწვე ჩუენ ზედა სისხლსა მართლისასა, რამეთუ შენ, უფალო, ვითარცა გინდა, და ჰყავ“.

ამ ადამიანებმა იუდაური რჯული მიიღეს და შემდგომში მათგან რწმუნებული ღმერთი იქადაგეს.

ნეტარი იერონიმე: ღვთის რჩეული ერი თავის დროზე იძახდა: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი“¹, ხოლო მეზღვაურებს წინასწარმეტყველის მოკვდინება დაბრკოლების გარეშე ძალუძთ, ისინი კი საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აგდებენ და მთელი ძალით ცდილობენ მის გადარჩენას).

მს. 15-16. „აიღეს და ზღვაში გადააგდეს იონა და ზღვამ შეწყვიტა ღელვა. დიდად შეეშინდათ ამ კაცებს უფლისა; მსხვერპლი შესწირეს და აღთქმები დაუდეს“².

ნეტარი იერონიმე: მსხვერპლი იგულისხმება არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ამით ნაუწყებია, რომ მეზღვაურებმა ღმერთს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული მიუძღვნეს).

არსებობს უწყება, რომ ამ ადამიანებმა დადეს აღთქმა, იერუსალიმის ტაძარში იუდაური რჯულის შესაბამისად განედიდებინათ ღმერთი, რაც მოგვიანებით აღასრულეს.

წმ. კირილე ალექსანდრიელი: ხომალდზე მყოფნი, ხედავენ რა ზღვის დამშვიდებას, თავიანთ ცდომილ რელიგიურ შეხედულებებს დაუტევენ და ჭეშმარიტ ღმერთს აღიარებენ).

1 ინ. 19.6.

2 „და აღიღეს იონა და შთააგდეს ზღუასა. და დასცხრა ზღუამ იგი ძრვისაგან თვისისა. და შეეშინა კაცთა მათ შიშითა დიდითა უფლისაგან და შესწირეს მსხვერპლი ღმრთისა და აღუთქუეს აღთქუამა“.

თავი II

მს. 1. „მოავლინა უფალმა დიდი თევზი და შთანთქმევინა იონა. სამი დღე და სამი ღამე დაჰყო იონამ თევზის სტომაქში“¹.

ხმელთაშუა ზღვაზე გასულ ხომალდებს, როგორც წესი, დიდი ზომის თევზები - ვეშაპები და ზვიგენები გვერდიგვერდ მიჰყვებოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წყლის ბინადრები მოსალოდნელი საფრთხის მოახლოებას გრძნობდნენ. ასევე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ზღვაში გადაგდებისთანავე წინასწარმეტყველი ერთ-ერთმა თევზმა უმაღლვე შთანთქა. ბიბლიური თხრობისადმი კრიტიკულად განწყობილი მკვლევარნი იონას თევზის მუცელში ყოფნას არარეალურ მოვლენად მიიჩნევენ და ცდილობენ, წარმოდგენილი უწყება სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობით მიმოიხილონ, ნაწილმა კი ხსენებული ადგილი მითად გამოაცხადა. ებრაელი რაბინები და პროტესტანტი ეგზეგეტები თვლიან, რომ წიგნს ზღაპრული ელფერის მქონე ცნობები უნდა გამოეყოს და შედეგად რეალურ ისტორიას მივიღებთ. მათი თქმით, წინასწარმეტყველი ნამდვილად გაიგზავნა ნინევში საქადაგებლად, მაგრამ მან ურჩობა გამოიჩინა და თარშიშში გაიქცა. მგზავრობისას ძლიერი გრიგალი ამოვარდა, ხომალდი დაიმსხვრა, ზღვაში აღმოჩენილი იონა კი მეორე ხომალდის გემბანზე აიყვანეს, რომელსაც სახელად „ვეშაპი“ ერქვა. სწორედ ამ „ვეშაპში“ იმყოფებოდა წინასწარმეტყველი სამი დღის მანძილზე. გემიდან იონა ნაპირზე გადადის, მომხდართ შეძრწუნებული და ღვთის ურჩობის გამო სინანულით აღსავსე ასურეთის დედაქალაქისკენ მიემართება. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ თითქოს იონა გემის დაღუპვის შემდეგ იქვე, ზღვაში მოცურავე მკვდარ ვეშაპს ჩაეჭიდა და ტალღებმა იგი ერთ-ერთ სანაპიროზე გარიყა. მორიგი განმარტების თანახმად,

1 „და უბრძანა უფალმან ვეშაპსა დიდსა შთანთქმად იონაჲსი. და იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამეს“.

იონა თარშიშში მიცურავდა და გემის ქვედა ნაწილში განმარტოებულს ეძინა. სწორედ ამ დროს ამოვარდა ძლიერი ქარი. წინასწარმეტყველი, რეაგირებს რა ბუნებრივ მოვლენებზე, სიზმრადაც სტიქიის შემოტევას განიცდის. სიზმარშივე ხედავს იონა, როგორ მიმდინარეობს გემზე წილისყრა და უბედურების მიზეზად სწორედ ის სახელდება. შემდგომ მას ზღვაში გადაისვრიან და იქვე მოცურავე ვეშაპი შთანთქავს, თუმცა, მისდა გასაკვირად, ვეშაპის მუცელშიც აგრძელებს სიცოცხლეს და თევზის წიალიდან შეპლალადებს უზენაესს ხსნას. უფალი ისმენს ვედრებას და ვეშაპი იონას ერთ-ერთ ნაპირზე ამოსვამს. წინასწარმეტყველს ეღვიძება. იგი ხედავს, რომ რეალურად საფრთხე დიდია. სიზმარსა და ცხადში მიღებული შთაბეჭდილებებით შეძრწუნებული იონა ღვთის წინაშე აღიარებს საკუთარ შეცოდებას, უკან ბრუნდება და საუფლო მოწოდებას აღასრულებს.

უწყებას წინასწარმეტყველის საკუთრივ ვეშაპის მიერ შთანთქმის შესახებ შუა საუკუნეების დასასრულს მოღვაწე რიგი განმმარტებლებისა მცდარ ინფორმაციად მიიჩნევს, რადგან, მათი თქმით, ვეშაპი არის არსება, რომელსაც ვიწრო საყლაპავი მილი გააჩნია, იგი მხოლოდ მცირე ზომის თევზებით იკვებება და, შესაბამისად, წარმოუდგენელია, მას ადამიანის გადაყლაპვა შესძლებოდა. „უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მოსაზრება ვეშაპებთან დაკავშირებით ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგანაც მეცნიერთაგან დადასტურებულია ვეშაპთა ისეთი სახეობების არსებობა, რომლებსაც საკმაოდ განიერი საყლაპავი გააჩნიათ და დაუბრკოლებლად ძალუძთ ადამიანის შთანთქმა“¹.

1 Александр Павлович Лопухин; Библейская история при свете новейших исследований и открытий; Ветхий Завет, том 2, Москва, 2007, ст. 531. ზემოციტირებულ წინადადებას მითითებული ნაშრომის სქოლიოში ასეთი სახის შენიშვნა დაერთვის: „ეგრეთ წოდებული *Physeter Catodera* (იგულისხმება ვეშაპის სახეობა, ი. ო.) ლინეის ტერმინოლოგიის თანახმად, *Cachalot Macrocephalus* კი უკვეს მიხედვით. ვეშაპთა ხსენებული სახეობების საპეციალური მკვლევარი, ინგლისელი ტ. ბილი (Th. Beale) კვლევაში (*Observations on the Spermaceti Whale, London, 1839 g.*)

სმელთაშუა ზღვაში ბინადრობს ვეშაპის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც ერთი უცნაური თავისებურებით გამოირჩევა სხვათაგან. ესაა ეგრეთ წოდებული **რორკვალი**, ანუ „ნაკეცებიანი ვეშაპი“. მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულ სახეობას ქვედა ყბის ქვეშ უზარმაზარი ზომის ნაოჭებიანი ტომარა გააჩნია, სადაც თავისუფლად შესაძლებელი საკმაოდ მოზრდილი სხეულების განთავსება, ასე რომ, გადამუშავებს ისინი არ ექვემდებარებიან. რორკვალები სიგრძეში სწორად ოც მეტრს აღემატებიან და მათი ტომრის სიდიდე ოთხ მეტრამდე აღწევს, სადაც, ბუნებრივია, თავისუფლად განთავსდება ადამიანი¹.

პირდაპირ მიუთითებს, რომ «აღნიშნულ ვეშაპს საკმაოდ მოზრდილი საყლაპავი გააჩნია, რომელშიც თავისუფლად გაეტევა ადამიანი და ამ კუთხით ხსენებული სახეობა გასაოცარ კონტრასტს გვთავაზობს ჩვეულებრივ გრენლანდიურ ვეშაპთან შედარებით». ვეშაპის მითითებული სახეობის არსებობა სმელთაშუა ზღვაში საფუძვლიანადაა დადასტურებული კიუეგს შრომაში *Regne Animal*, t. i. p. 342“.

1 განმარტებელთა ნაწილი ასეთი სახის კომენტარს გვთავაზობს: ებრაულ ტექსტში ვეშაპთან დაკავშირებით მოხმობილი ტერმინი ქართულად ითარგმნება როგორც „**დიდი თევზი**“ (ებრ. *dag gadol*. შდრ. ბიბლიის ებრაულიდან შესრულებული თანამედროვე ქართული თარგმანი: „მოავლინა უფალმა დიდი თევზი და შთანთქმევინა იონა. სამი დღე და სამი ღამე დაჰყო იონამ თევზის სტომაქში“), ხოლო ზღვის ძუძუმწოვართა აღსანიშნავად, რომლებსაც ვეშაპის სახეობაც მიეკუთვნება, იმავე ენაში სრულიად განსხვავებული სიტყვები არსებობს – *levijatan* ან *tanijm* (შდრ. იოზ. 40.25; 7.12; ფს. 103.26; დაბ. 1.21. ვეშაპი ძუძუმწოვართა გვარს განეკუთვნება. ამიტომაც ბიბლიური ტექსტის ავტორს საკუთრივ ვეშაპის აღნიშვნა რომ განეზრახა, ებრაულში არსებულ შესაბამის ტერმინებს, *levijatan* ან *tanijm*, გამოიყენებდა და არა *dag gadol*-ს). რაც შეეხება ქართულ ტერმინს „ვეშაპი“, იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან – *κίτος* (*Gr. Και προσέταξεν κύριος κίτσει μεγάλη καταπιείν τον Ιωνα και ἦν Ιωνας ἐν τῇ κοιλίᾳ τοῦ κίτους τρεῖς ἡμέρας και τρεῖς νύκτας*. შდრ. „და უბრძანა უფალმან ვეშაპსა დიდსა შთანთქმად იონა და იყო იონა მუცელსა შინა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე“). როდესაც ბიბლიური წიგნები ბერძნულად ითარგმნებოდა, ამ

მკვლევართა ნაწილის აზრით, თევზი, რომელმაც შთანთქა წინასწარმეტყველი, ზვიგენის გვარს განეკუთვნებოდა და **კაცისმჭამელი ზვიგენის** სახეობას წარმოადგენდა. ხსენებული სახეობა ხმელთაშუა ზღვაში მრავლად ბინადრობს. მათი სიდიდე ათ მეტრს აღემატება. საფრთხის მოახლოებისთანავე ისინი საკუთარ შვილებს ყლაპავენ და მოგვიანებით კვლავ უკან ამოანთხევენ.

დეკან. იოანე სოლოვიოვი: წინასწარმეტყველის თავს გადახდარი ისტორიის შესახებ მკვლევარი გოლზორდი ამგვარ მსჯელობას გვთავაზობს: „იონას წიგნში გვიან ჩაწერილ ხალხურ ლეგენდას ასეთი ფაქტი უდევს საფუძვლად: ერთ-ერთმა ასურელმა მეფემ, სავარაუდოდ ფულმა, ისრაელს ომი გამოუცხადა. ისრაელის მეფე იერობრამ II მასთან მოსალაპარაკებლად იონას აგზავნის, რომელმაც მოსალოდნელი საფრთხე უნდა დაძლიოს. მიემართებოდა რა ფულისკენ, წინასწარმეტყველს, დავალების უკეთ წარმართვისთვის, უეცრად აზრად მოუვიდა, რომ ასურელი მეფის წინაშე საკუთარი თავი წარედგინა არა როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ იაჰვესგან წარგზავნილს და მან გადაწყვიტა სწორედ ასე ემოქმედა. მაგრამ უეცრად შიში დაეუფლა, რადგან მოფიქრებული გეგმა, შესაძლოა, უშედეგო აღმოჩენილიყო. და აი, იგი იოპეში გარბის, იქიდან კი - თარშიში, საკუთარ თანამემამულეთა მზერას რომ მიემალოს. ზღვაზე გრიგალისას,

დროისთვის ელჩთა ენაზე ჯერაც არ არსებობდა ზღვის ბინადართა შორის ტერმინოლოგიური გამიჯნულობა (განსხვავებით ებრაულისგან) და ყველა დიდი ზომის თევზი (ძუძუმწოვართა ჩათვლით) ერთი შესატყვისით – **იჩთოს** გადმოიციეოდა. მოგვიანებით კი, იმავე ენაში, თევზის სახეობათა დამაჯგუფებელი ახალი ტერმინების გაჩენისას, საკუთრივ **იჩთოს** ვეშაპის აღმნიშვნელ სახელწოდებად იქცა. შესაბამისად, როდესაც ბერძნულენოვანი ბიბლიური ტექსტის მთარგმნელები იონას წიგნის მითითებულ ადგილს მიუახლოვდნენ, ამოიკითხეს რა ტერმინი **იჩთოს**, ბუნებრივად აღიქვეს იგი როგორც ვეშაპი, რაც სეპტანტადან მომდინარე მრავალ თარგმანშიც ამგვარადვე აისახა. სწორედ ამ მიზეზითაა ძველ ქართულ ბიბლიურ ტექსტებში გამოყენებული ტერმინი „ვეშაპი“.

წილისყრის მიერ განსაცდელში დამნაშავედ გამოვლენელი იონა, ნაეზე გადასვეს. მოულოდნელად მან ნაპირსაც მი-
აღწია. იონამ მომხდარი შემთხვევა დაგეგმილი საქმის
აღსასრულებელ მითითებად მიიღო, კვლავ ნინევისკენ გაე-
მართა და ფულს ისეთი შემართებით ესაუბრა ყოვლის-
შემძლე იაჰვეს შესახებ, რომ ცრუმორწმუნე დესპოტი
ძლიერ დაფრთხა და ღვთისადმი საყოველთაო მიმართვის
თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება. რაჟამს იონა განმარ-
ტოებით მოელოდა საქმის დასასრულს, კვლავ მღელვარე-
ბა დაეუფლა, იგი ისევ გაგრილდა ჩაფიქრებული საქმის-
ადმი, მაგრამ აყიროს საამო ჩრდილთან დაკავშირებული
მოვლენის გზით მინიჭებულმა სიამოვნებამ მას მწუხარება
მალევე შეუმსუბუქა და შეჭირვებულ სულში კვლავაც
მშვიდობამ დაისადგურა“).

ნეტარი იერონიმე: ღმერთმა სიკვდილსა და ქვესკნელს
იონას მიღება უბრძანა. რამდენადაც ხარობდა სიკვდილი
წინასწარმეტყველის შთანთქმისას, იმდენადვე მწუხარებდა
მისი განტყვებისას. თევზის მუცელში სამდღიანი ყოფნის
მნიშვნელობა თავად მაცხოვარმა განმარტა, ამიტომაც
მასზე რაიმეს დამატება აღარაა საჭირო. აღნიშნული მოვ-
ლენა, ერთი შეხედვით, თითქოს, ძნელად დასაჯერებელია,
მაგრამ ჩვენ არაერთი მოწმობა გვაქვს წმინდა წერილში ამა
თუ იმ მოვლენის შესახებ. გავიხსენოთ სამი ყრმა – ანანია,
აზარია და მისაელი, რომლებიც გახურებულ ღუმელში
ჩააგდეს და გადარჩნენ. ორად გაყოფილი მეწამული
ზღვა, სადაც იუდეველნი, ვითარცა ხმელეთზე, ისე გავ-
იდნენ. მშვიერი ლომები, რომელთაც ხაროში ჩაგდებულ
დანიელს არაფერი ავნეს და, პირიქით, შიშით უმზერდნენ
მას. რაჟამს იონა მიხვდება, რომ თევზის მუცელში მყოფს
სიცოცხლე შეუნარჩუნდა, მხნეობამოკრებილი უფალს სა-
სოებს და ლოცვით მიმართავს მას).

წმ. კირილე ალექსანდრიელი: ღმერთი თავისი ყოვლის-
შემძლე ძალით ვეშაპს ხომალდისკენ მიმართავს, რადგან
საკმარისია, რომ მან მხოლოდ რამე ინებოს, ნანებები
მყისვე აღესრულება. ჩვენ არ ვამბობთ, თითქოს ღმერ-
თი ვეშაპს იმგვარად უხმობს, როგორც ადამიანებს ან
ანგელოზებს, რადგან ამ უკანასკნელთ უზენაესი მათი

გონიერების შესაბამისად ეურთიერთობება, ხოლო უსულო არსებებს, სტიქიებს, განსხვავებულად იმორჩილებს.

ვეშაპმა წინასწარმეტყველი გადაყლაპა და საკუთარი წიაღით სამი დღე-ღამე ატარა. მრავალი იკითხავს: როგორ შეიძლებოდა ადამიანი სამი დღის მანძილზე ასეთ ვითარებაში ცოცხალი დარჩენილყო? ასეთებს ამგვარად გუპასუხებთ: ეს უდიდესი სასწაულია, რის არსშიც წვდომა და განჭვრეტა ადამიანის გონებისთვის შეუძლებელია, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ეს ღმერთმა აღასრულა, განა ვინმეს ძალუძს მასში ეჭვის შეტანა? ყოვლისშემძლე არსს ბუნებათა თვისებების ცვალებადობა ხელ-ეწიფება; მისი ნებით, ხრწნადი უხრწნელებით იმოსება და, პირუკუ, მყარი, უხრწნელი საპირისპირო მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ყოველი ქმნილება იმგვარ ბუნებას ფლობს, როგორსაც ღმერთი ინებებს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ ჰყვებიან ელინები თავიანთ მითებში, რომ ჰერაკლე, ზევსისა და ალკმენეს ძე, ვეშაპმა გადაყლაპა, მოგვიანებით კი მან თავი დაიხსნა, მაგრამ ვეშაპის კუჭში არსებული სიცხისგან მთლიანად დაკარგა თმები. ახალშობილიც დედის წიაღში ყოფნისას მოკლებულია სუნთქვის რამ ძალას, მაგრამ მიუხედავად ამისა, არაფერი მოსდის, პირიქით, იზრდება და ვითარდება ღვთის სასწაულმოქმედებით დაცული. არავის გამოუთქვამს ეჭვი ამის შესახებ მიუხედავად იმისა, რომ ვერც ზემოხსენებულ მოვლენას სწვდება ადამიანის გონება.

იონა ქრისტე მაცხოვარს განასახიერებდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი სამყარო საფრთხის წინაშე იყო, კაცობრიობა ცოდვის წყვდიადსა და უკეთურებაში აბოზოქრებული ტალღების მსგავსად დანთქმულიყო. ვნებები ზღვაზე აზვირთებული ძლიერი ტალღების დარად ეკვეთებოდნენ ადამიანს და ძირფესვიანად ეუფლებოდნენ მას. ყოველივე ეს დემონისა და მისი ხელმწიფების ქვეშ მყოფი ადამიანის საქმეებია. ამგვარ მდგომარეობაში მყოფთ, შემოქმედი ღმერთი და მამა მოწყალე გვექნა და თავისი კურთხეული ძე გარდამოგვივლინა, რომელმაც ადამიანური ბუნება მიიღო, ქვეყნად მოვიდა, საკუთარი ნებით იტვირთა სიკვდილი, რითაც მყუდრო-ჰყო ტალღების

მლელვარება, დააცხრო გრიგალი, ჩვენ კი **თავისი** სიკვდილით გამოგვიხსნა).

დეკან. იოანე სოლოვიოვი: 1758 წლის ერთ ჩვეულებრივ დღეს მოვლენები ასე განვითარდა: ხმელთაშუა ზღვაში გასული ხომალდიდან ერთ-ერთი მეზღვაური უეცრად გემბანის მიღმა აღმოჩნდა. მას მყისვე ზვიგენი მიუახლოვდა და ადამიანი უზარმაზარი ურჩხულის ხახაში გაუჩინარდა. ტრაგიკულად განვითარებული მოვლენების თვითმხილველმა მენავეთმოდღვარმა ბრძანა, ზვიგენისთვის ყუმბარა ესროლათ. გაშვებული ტყვია ზღვის ბინადარს ისეთი მოხერხებით მოხვდა, რომ მან მაშინვე უკან ამოანთხია ხახაში გაუჩინარებული მეზღვაური. იგი წყალში ჩაშვებულ ნავზე ცოცხალი ამოიყვანეს, მხოლოდ მცირეოდენი ჭრილობა და დაბეჭილობა ჰქონდა. რაც შეეხება მონადირებულ ზვიგენს, მისი სიგრძე 7 მეტრს აღწევდა, სიგანე – 3-ს და 380 კგ-მდე იწონიდა).

დეკან. ალექსანდრე მენი: პირველი ქრისტიანები იონას თავსგადამხდარ მოვლენებს ხშირად გამოსახავდნენ კატაკომბების კედლებზე, ლვთისადმი ზღვის უფსკრულიდან აღმომხდარი წინასწარმეტყველის ვედრება კი ახალი აღთქმის ეკლესიაში საცისკრო საგალობლის შექმნის კანონს დაედო საფუძვლად¹.

1 დეკანოზი ალექსანდრე მენი იონას სამოღვაწეო ეპოქის შესახებ განსხვავებულ ცნობას გვთავაზობს: „წიგნის ენა არამეიზმებითა და ტყვეობის შემდგომი პერიოდისთვის დამახასითებელი თავისებურებებითაა აღსავსე. დაწერილია იგი, სავარაუდოდ, ნინევის დაცემიდან (612 წ.) მრავალი წლის შემდეგ. ასურელთა დედაქალაქი ავტორმა პირობითად წარმოგვიდგინა, ვითარცა წარმართული რამ ქალაქი. ის წარმოუდგენელი ზომისაა: „სამი დღის სავალი“, ანუ გარშემოწერილობით დაახლოებით 90 კილომეტრი. ისტორიული ნინევი კი სინამდვილეში გაცილებით პატარა იყო (მისი კედლების პერიმეტრი 12 კილომეტრს მოიცავდა). ძველ დროში ასეთი დიდი ქალაქები არ არსებობდა“ (Протоиерей Александр Мень; Исаогогика, Курс по изучению Священного Писания, Москва, 2003, ст. 450). მენი წარმოდგენილი მოსაზრების გამოთქმისას პროტესტანტ მკვლევარებს ეყრდნობა, რომლებიც იონას გვიანდელი პერიოდის მოღვაწედ მიიჩნევენ: «ეიხგორნი, იანი, კრამერი, ფრიდრიხსენი, კლეინერტი,

არსებობს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, როდესაც ადამიანი, ვეშაპის მუცელში ყოფნის მიუხედავად, ცოცხალი გადარჩენილა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ ცნობა ბრიტანული ადმირალიტეტის არქივებშია დაცული. საუბარია მეზღვაურ ჯეიმს ბარტლის გადარჩენის თაობაზე, რომელიც მსახურობდა ხომალდზე სახელწოდებით „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“. 1891 წელს

ბლეკი, ნელდექე და სხვანი, განმარტავენ რა აღნიშნულ ზმნას „იყო“ (იგულისხმება ბიბლიური ცნობა ნინევის შესახებ: „დიდი ქალაქი იყო ღვთის წინაშე ნინევი, სამი დღის სავალი“, ი. ო.), მის წარსულ დროზე მიუთითებენ: „იყო“ თითქოს იმას გულისხმობს, რომ იონას წიგნის დაწერისას იგი (ნინევი, ი. ო.) აღარ არსებობდა. „სხვაგვარად, - აღნიშნავს კრამერი, - ნინევი წიგნის შედგენისას რომ არსებულებოდა, არ იქნებოდა მცდარი გამოთქმა „არის“, როგორც იმავე ნინევის შესახებ დაბადების წიგნშია თქმული (მდრ.: „ამ ქვეყნიდან გამოვიდა აშური და ააშენა ნინევი, რეხობოთ-ქალაქი, ქალახი და რესენი ნინევესა და ქალახს შორის, დიდი ქალაქი“. დაბ. 10. 11-12). მელერი კი, ცდილობს რა აღნიშნულ უწყებაში წიგნის გვიანდელი, ტყვეობის შემდგომი წარმომავლობის უეჭველი დადასტურება დაინახოს, უფრო შორს მიდის. იგი არ ჩერდება მხოლოდ ზმნის წარსულ დროზე - „იყო“ და საკუთრივ ნინევის სიდიდის თაობაზე ცნობას უპირისპირდება (მდრ.: „დიდი ქალაქი იყო ღვთის წინაშე ნინევი“). „იონას, - ამბობს იგი, - უეჭველია, არ ჰქონდა აუცილებლობა იმისა, რომ თანამედროვეთათვის გაეკეთებინა ამგვარი შენიშვნა, რადგან ქალაქის სიდიდე, რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველის მსგავსად, მშვენივრად უწყობდა ყველამ. არც იმ შემთხვევაში იყო სავალდებულო წარმოდგენილი მითითება, იონას წიგნი არა იონას, არამედ სხვა ვინმეს რომ დაეწერა, ისეთ ადამიანს, ვინც, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ ნინევის დაცემამდე ცხოვრობდა, რადგან სანამ ნინევი არსებობდა, საკუთარი განსაკუთრებული სიდიდის გამოისობით ყველასთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი. შესაბამისად, თუკი ჩვენ არ გვსურს, რომ წიგნში არსებული შენიშვნა სრულიად ზედმეტი და არამიზნობრივი აღმოჩნდეს, შემდგენელად ისეთი ვინმე უნდა მივიჩნიოთ, ვინც ნინევის დაცემის შემდგომ ცხოვრობდა» (Протоиерей Иоанн Соловьев, О книге пророка Ионы, Опыт исагогико-экзегетического исследования, Магистерская диссертация, Москва, 2006, ст. 154-155). წარმოდგენილი მსჯელობის საპირისპირო არგუმენტებს შესაბამისი ბიბლიური მუხლის კომენტარებისას განვიხილავთ.

იგი მონაწილეობას იღებდა ვეშაპებზე გამართულ ნადირობაში. საარქივო მასალების თანახმად, უეცრად ჯეიმსი ხომალდიდან ღია ზღვაში გადავარდა და მოულოდნელად გამოჩენილმა დიდმა თევზმა გადაყლაპა, რომლის წიაღშიც მეზღვაურმა რამდენიმე საათი გაატარა. მას შემდეგ, რაც ეკიპაჟის დანარჩენმა წევრებმა აღნიშნული ზღვის ბინადარი მოაკვდინეს, დაკარგული მეგობარი ცოცხალი აღმოაჩინეს. ჯეიმსმა ამ ვითარებაში მხოლოდ მხედველობა დაკარგა. გარდაიცვალა იგი აღნიშნული შემთხვევიდან 15 წლის შემდეგ საკუთარ სამშობლოში, გლოჩესტერში).

მხ. 2-3. „ლოცვა აღუვლინა იონამ უფალს, თავის ღმერთს, თევზის სტომაქიდან. თქვა: ჭირში მყოფმა შევღალადე უფალს და მან ხმა გამცა. ქვესკნელის მუცლიდან შეველა ვითხოვე და შენ ისმინე ჩემი ვედრება“¹.

იონას ლოცა (მხ. 2-10) სამადლობელი ფსალმუნია, რომლის თითოეული სტრიქონი დავითის ფსალმუნის ამა თუ იმ შესაბამის ადგილს გვაგონებს². არაფერია გასაოცარი, თუკი წინასწარმეტყველმა თავსგადამხდარი საოცარი მოვლენების აღწერისას ნაცნობსა და, ამავდროულად, მისი სულისთვის მრავლისმთქმელ ფსალმუნებს მიმართა. თევზის მუცელში მყოფი იონა ღმერთს გარდაუვალი სიკვდილისგან გამოსსნის მიზეზით მადლობს.

წმ. კირილე ალექსანდრიელი: ვეშაპის წიაღში მყოფი იონა, იხარჩუნებს რა სრულ შემეცნებას, საღვთო მზრუნველობას გულისხმა-ჰყოფს. ის რწმუნდება, ღმერთი მოწყალეა. წინასწარმეტყველმა იცის, რომ ეს განსაცდელი მის მიერ საღვთო მსახურებაზე უარის თქმის შედეგია და ლოცვას მიმართავს, ლოცვას, რომელშიც უდიდეს მადლიერებას გამოხატავს და, ამასთან, სიკვდილისგან მსხველ უზენაესს სადიდებელს აღუვლენს. გაოცებულია რა მისი ხელმწიფებით, საღვთო სიმდაბლეს აქებს. იონა ამბობს,

1 „და ილოცვიდა იონა უფლისა მიმართ ღმრთისა მისისა მუცელსა ვეშაპისასა. და თქუა: ღალად-ყავ ჭირსა ჩემსა უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა და ისმინა ჩემი; მუცლით გამოჯოჯოხეთისადათ ღალადებისა ჩემისაჲ გესმა ვჰაჲ ჩემი“.

2 მაგალითად, იონ. მხ. 3 – ფს. 17.7 და ფს. 119.1; იონ. მხ. 4 – ფს. 68.3; იონ. მხ. 5 – ფს. 30.23 და ა.შ.

რომ ვედრება შესმენილია. ვფიქრობ, რომ ვითარცა წინასწარმეტყველმა, მან ეს მოვლენაც განჭვრიტა).

მს. 4-5. „როცა ღურღუმელში, ზღვის გულში ჩამაქანე, როცა მორევა ჩამითრია, თავზე შენი ტალღა და ღვარი გადამდიოდა, ვთქვი: გაგდებული ვარ შენი პირისგან, ნუთუ ოდესმე მეღირსება—მეთქი შენი წმიდა ტაძრის ხილვა?“¹

წმ. კირილე ალექსანდრიელი: იონა გადმოგვცემს, რომ ზღვის უფსკრულამდე დამდაბლდა. იფიქრა, ღვთის მზერა მისგან სამუდამოდ გარე-მიიქცა და სასოწარკვეთამდე მივიდა, რადგან საშინელი და შემადრწუნებელი საქმეა უფლის მზერის მიღმა დარჩენა. ამიტომაც ევედრებოდა დავითი: „ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან და ნუ მიიქცევი რისხვით მონისა შენისაგან“². უფლის სახის განდრეკას აუცილებლად საღვთო რისხვა ახლავს, უფრო სწორად კი, რისხვა უწინარეს ჩნდება და ღვთაებრივ მზერას გარე-მიიქცევს. იონამ იცის, რომ საღვთო მზრუნველობით ვეშაპის წიაღში მას სიცოცხლე მიენიჭა, მაგრამ წინასწარმეტყველი ეჭვობს, შეძლებს კი ოდესმე უფლის ტაძარში წარდგომას და ამგვარად ლოცვას).

თეოდორიტე კვირელი: მე მეგონა, — ამბობს იონა, — ღმერთი მხოლოდ იერუსალიმში ეცხადებოდა ადამიანებს, ხოლო მოხდა ისე, რომ ვეშაპის მუცელში აღვლენილი ლოცვაც შესმენილია. „**ჯოჯოხეთის მუცლად**“ მოიხსენია იონამ ვეშაპის წიაღი, რადგან განწირული იყო სიკვდილისთვის და მხოლოდ საღვთო მადლით ინარჩუნებდა სიცოცხლეს. ამასთანავე, ეს მოვლენა მაცხოვრის სამდღიან დაფლვას განასახიერებს).

მს. 6-7. „სულამდე მიწია წყალმა, უფსკრულმა მომიცვა, თავზე ლელი შემომეწნა, მთების ფესვებამდე ჩავედი; მიწა სამუდამოდ ჩაირაზა ჩემს უკან, მაგრამ შენ

1 „რამეთუ შთამაგდე სიღრმესა გულსა ზღვსასა და მდინარენი გარე-მომადგეს მე. ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ღელვანი შენნი მე ზედა-გარდამვდეს. და ვთქუ: გან-მე-გდებულ ვარ-ა მე პირისაგან თუალთა შენთაჲსა, ანუ შე-ლა-მე-კსინოა აწ მიხედვად ტაძარსა წმიდასა შენსა?“

2 ფს. 26.9.

ქვესკნელს გამოსტაცე ჩემი სიცოცხლე, უფალო, ღმერთო ჩემო! როცა სულს ვლაფავდი, ვახსენე უფალი და ჩემმა ვედრებამ შენამდე შეაღწია შენს წმინდა ტაძარში“¹.

იონა გულისხმაპყოფს, რომ დაღუპვისთვის განწირულ ადამიანს ღმერთმა ხელი აღუპყრა და მადლიერების გრძნობით სავსე სიტყვებს ზეცად ალაგლენს.

მს. 9-10. „ამაოებათა მსახურნი ვერ ეღირსებიან წყალობას! მე კი მსხვერპლს შემოგწირავ სამადლობელი სიტყვით; შევასრულებ, რაც აღთქმული მაქვს. უფლისგან არის ხსნა!“²

წმ. კირილე ალექსანდრიელი: იონა წინასწარმეტყველი იესო ქრისტეს წინასახეა. მისი ლოცვა სიმბოლურად მაცხოვრის მიერ გეთსიმანიის ბაღში აღვლენილ ვედრებას განასახიერებს: „უფალო, უკეთუ შესაძლებელ-არს, თანაწარმვედინ ჩემგან სასუმელი ესე“³. მაცხოვრის ადამიანური ბუნება უდიდეს შიშსა და შეძრწუნებას მოეცვა, მაგრამ ჯოჯოხეთში ჩასვლისას გამოთქვა თუ არა მან რაიმე ადამიანური, ეს მხოლოდ თავად უწყის, რადგან საშიშია ამის შესახებ რაიმეს მტკიცება. ჩვენ ვხედავთ, რომ პეტრე მოციქული მაცხოვარს განუკუთვნებს ფსალმუნის სიტყვებს: „არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს შინა, არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი“⁴).

მს. 11. „უბრძანა უფალმა თევზს და მან ხმელეთზე

1 „გარდამეცნეს წყალნი ვიდრე სულად ჩემდამდე და უფსკრულთა მომიცვეს მე აღსასრულისათა; შთავდა თავი ჩემი ნაპრაღსა მთათასა. და შთავვედი მე ქუეყანად, რომლისა მოქლონნი მისნი, - ვითარცა კლიტენი საუკუნენი. აღმოვედინ განჯრწინსაგან ცხორებად ჩემი შენდამი, უფალო ღმერთო ჩემო! მოკლებასა ჩემგან სულისა ჩემისასა უფალი მოვივსენე. და შევედინ შენ წინაშე ლოცვად ჩემი ტაძრად წმიდად შენდა!“

2 „რომელთა დაიცვეს ამაოებად სიცრუვისაჲ, მათ წყალობად შენი დაუტევეს. მცველთა მათ უმჯჯულოებისათა და სიცრუისათა წყალობად მათი დაუტევეს. ხოლო მე ვმითა ქებისადთა აღსაარებისადთა მსხუერპლი შევწირო შენდა. რავდენი აღთქუამა მიგცე შენ საცხორებელად ჩემდა, უფალო!“

3 მთ. 26.39.

4 ფს. 15.10.

გადმოანთხია იონა“¹.

იოსებ ფლავიოსის ცნობით, ვეშაპმა იონა შავი ზღვის სანაპიროზე გამორიყა, ხოლო მეორე მოსაზრების თანახმად, წინასწარმეტყველი ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე, პალესტინის კუთვნილ მიწაზე უბრუნდება ხმელეთს.

დეკან. იოანე სოლოვიოვი: იონას ვეშაპის მუცელში სამდღიანი ყოფნის შესახებ წარმოდგენილ უწყებას მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდა. მათმა ნაწილმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ბიბლიური თხრობა სხვა არაფერია, თუ არა ცნობილი ბერძნული მითის ინტერპრეტაცია: პოსეიდონმა და აპოლონმა ზევსის მბრძანებლის, ზევსის დავალებით მეფე ლაომედეს ქალაქი ტროა გარშემო მძლავრი კედლების აგების საშუალებით გაამაგრეს. როდესაც ისინი სამუშაოს დაასრულებენ, ლაომედე დაპირებულ გადასახადზე უარს განუცხადებს და პოსეიდონსა და აპოლონს საკუთარი სახელმწიფოდან გააძევებს. განრისხებულმა ღმერთებმა სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტეს: აპოლონმა მომაკვდინებელი წყლულებით შემუსრა ქალაქი, ხოლო პოსეიდონმა ზღვის სიღრმიდან ადამიანთა შთანმთქმელი საშინელი ცხოველი მოავლინა. ორაკულის რჩევის თანახმად, ტროის მოსახლეობა მხოლოდ ერთი ხერხის გამოყენებით თუ დაიხსნოდა თავს: მეფე ლაომედეს ზღვის ურჩხულისთვის საკუთარი ქალიშვილი – გეზიონა უნდა გადაეცა. შეჭირვებულმა ქალაქის მოსახლეობამ მეფე აიძულა, რომ შვილი მხეცისთვის შესაჭმელად გაეწირა. და აი, გეზიონას ზღვის სანაპიროზე, ერთ-ერთ კლდეზე მიამაგრებენ. სადაცაა შიშის მომგვრელი ზღვის ბინადარიც უნდა გამოჩნდეს და მშვენიერი ასული გადაყლაპოს, რომ უეცრად ტროაში არგონავტების მიერ მოწყობილი ლაშქრობიდან ჰერაკლე ჩამოდის. როდესაც სახელგანთქმული გმირი მშვენიერ ასულს იხილავს და მისი მოსალოდნელი ბედის შესახებ მოისმენს, გეზიონას გადარჩენის პირობას იძლევა, თუმცა სამაგიეროდ ტროელ მეფეს ზევსის მიერ ნაჩუქარ ცხენს მოსთხოვს. ლაომედე შემოთავაზებას თანხმდება.

1 „და უბრძანა უფალმან ვეშაპსა მას. და გამოავლო იონა კმელად“.

მასწავლით შეიარაღებული ჰერაკლე ზღვის ურჩხულს ხახ-
აში ჩაუხტება და სამი დღის მანძილზე მის შიგნეულობას
მუსრს ავლებს, რის შემდეგაც მოკლული ცხოველიდან
გარეთ გამოდის. უშიშარ გმირს მხოლოდ ერთი ზიანი
მიაღვა: მას მხეცის წიაღში ყოფნისას თმები მთლიანად
დასცვივდა და გამელოტდა...

უწყება ჰერაკლეს მიერ ზღვის ურჩხულის წიაღში სამი
დღისა და ღამის მანძილზე ყოფნის შესახებ პირველად
იუსტინე ფილოსოფოსთან გვხვდება ნაშრომში „**შეგონება
ელინებისადმი**“ (თავი 14), რაც შემდეგ სხვებთანაც მე-
ორდება. თუკი აღნიშნულ მოვლენას წარმართი მწერლები
არ იცნობდნენ და იგი მხოლოდ ქრისტიან მოღვაწეებთან
აისახა, საიდან უნდა აედოთ ამ უკანასკნელთ მსგავსი
თხრობა, თუ არა ბიბლიური ისტორიიდან? მართალია,
ეს ვარაუდია, მაგრამ სავსებით საფუძვლიანი. იუსტინე
ჰეშმარიტების მაძიებელი ფილოსოფოსი იყო და როდესაც
სინამდვილეს ქრისტიანობაში მიაკვლია, იგი ბუნებრივად
დაუპირისპირდა წარმართობას და მისი უსუსურობის და-
დასტურებას შეეცადა. იუსტინეს ნაშრომებში ხაზგასმით
ჩანს აზრი იმის შესახებ, რომ წარმართული ფილოსოფია
ღვთაებრივი გამოცხადებიდანაა დასესხებული. შესაბამ-
ისად, იმავე ლოგიკით ბერძნული მითი ჰერაკლეს შეს-
ახებ იონას ისტორიის გადაკეთებული ვერსიაა. როდე-
საც იუსტინე აღნიშნულ ორ მოვლენას შორის პარალელს
ავლებდა, შესაძლოა, ურჩხულის მუცელში სამდღიანი
ყოფნის თაობაზე თხრობა ჰერაკლეს ისტორიას თავად
ბუნებრივად შეჰმატა, რაც ადრეულ წყაროებში არსად
ასახულა, ხოლო იგივე ცნობა მოგვიანებით სხვებმაც
გაიმეორეს...

ზემონსენებული მითის გამოკვლევისას დგინდება, რომ
თავდაპირველ, ჰომეროსის დროინდელ შინაარსში ჰერაკ-
ლეს მიერ გეზეონას გათავისუფლების შესახებ თხრობა
განსხვავებული სახით იყო წარმოდგენილი და არაფერი
თქმულა უმამაცესი გმირის ურჩხულის წიაღში ყოფნის
თაობაზე, პირიქით, ბრძოლა ჰერაკლესა და ზღვის მხეცს
შორის ერთმანეთის პირისპირ მიმდინარეობდა).

თავი III

მხ. 1-3. „იყო მეორედ უფლის სიტყვა იონაზე: ადექი, წადი ნინევში, დიდ ქალაქში, და იქადაგე საქადაგებელი, რასაც მე გეტყვი. ადგა იონა და წავიდა ნინევში, როგორც უფალმა უბრძანა. დიდი ქალაქი იყო ღვთის წინაშე ნინევი, სამი დღის სავალი“¹.

ამჯერად წინასწარმეტყველი საღვთო ნებას აღარ ეურჩება, რადგან თავსგადამხდარი განსაცდელები მას საუფლო ნების უზენაესობაში არწმუნებს. განმმარტებლები ვარაუდობენ, რომ სამი დღის სავალ გზაში იგულისხმება არა ქალაქის სიგანე, არამედ მისი გარშემოწერილობა. საშუალო გათვლით, ეს მანძილი დაახლოებით 75–90 კმ-ს შორის მერყეობს. თუ ძველ ისტორიულ წყაროებს დავეყრდნობით, რომლებიც ბიბლიურ მონაცემებთან შედმიწევნით თანხმობაში არიან, ნინევის გარშემოწერილობა 80 კილომეტრი იყო, ხოლო დიამეტრი 30 კმ-ს აღწევდა.

დეკან. იოანე სოლოვიოვი: „დიდი ქალაქი იყო ღვთის წინაშე ნინევი“. აღნიშნული სიტყვები არა მარტო სხვა ქალაქებთან მიმართებით წარმოაჩენს ნინევის სიდიდეს, არამედ ღვთისადმი მის დამოკიდებულებას განსაზღვრავს. უზენაესის წინაშე დიდი იყო ის არა იმ მიზეზით, რომ სამი დღე სჭირდებოდა შემოვლას, არამედ აღნიშნულ სიტყვებში, ერთი მხრივ, შემოქმედისადმი ქალაქის მკვიდრთა სიამაყით განპირობებული დაპირისპირებაა ნაჩვენები, ხოლო მეორე მხრივ, დიდია იგი ღვთისაგან მისდამი გამოვლენილი წყალობის მიზეზით.

ზემოციტირებულ ბიბლიურ წინადადებაში გამოყენებულია ზმნა, რომელიც წარსულ დროზე მიგვიითითებს („იყო“), და მასზე დაყრდნობით, მკვლევართა ნაწილმა

¹ „სიტყუა უფლისაჲ იონაჲს მიმართ მეორედ და ჰრქუა: აღდეგ და წარვედ შენ ნინევედ, ქალაქსა მას დიდსა და ქადაგებდ მას შინა ქადაგებისა მისებრ პირველისა, რომელსა მე გეტყოდე შენ. და აღდგა იონა და წარვიდა ნინევედ, ვითარცა-იგი ეტყოდა მას უფალი. ხოლო ნინევეჲ იყო ქალაქი დიდი ღმრთისაჲ, ვითარმედ სავალი იყო იგი სამისაჲ დღისაჲ“.

იონას წიგნი გვიანდელ, ტყვეობის შემდგომ ეპოქას განუკუთვნა, რადგან, მათი თქმით, წიგნში გადმოცემული მოვლენების აღწერისას ასურეთის დედაქალაქი აღარ არსებობდა და, ბუნებრივია, მოძღვრების შემდგენელმა ქალაქის შესახებ საუბარში წარმოადგინა ზმნა „იყო“. მაგრამ უსამართლოა ამგვარი მსჯელობა. საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულია შესაბამისი ფორმა **prateritum**, ანუ აწმყო, დაკავშირებული წარსულთან. აქ **prateritum** ფორმით მოხმობილი ზმნა „იყო“ გვიჩვენებს, რომ წინასწარმეტყველი ისტორიას წარსულის სახით გვთავაზობს და საუბრობს იმის შესახებ, რაც თითქოს ოდესღაც მომხდარი ფაქტია, მაგრამ სინამდვილეში სწორედაც რომ აწმყოს გულისხმობს. ავტორმა უბრალოდ სხვა ზმნებთან შესაბამისობაში წარმოგვიდგინა ნინევის თაობაზე უწყება, რადგან იქვეა ნათქვამი: „აღდა“ და „წავიდა“ (შდრ. „აღდა იონა და წავიდა ნინევეში, როგორც უფალმა უბრძანა. დიდი ქალაქი იყო ღვთის წინაშე ნინევი, სამი დღის სავალი“). ამრიგად, განხილული ზმნის წარსულ ფორმას სინქრონული იმპერფექტი ეწოდება და მისი გამოყენებით წიგნის ავტორი საკუთარ თავს აწმყოზე ყოველგვარი მითითებისგან ათავისუფლებს. წარმოდგენილი ბიბლიური ციტატის პერიფრაზი იქნება: დგება იონა და მიდის ნინევეში, როგორც უფალმა უბრძანა. დიდი ქალაქია ღვთის წინაშე ნინევი, სამი დღის სავალი).

წმ. ეფრემ ასური: ზღვაში შევიდა იონა და ააბობოქრა იგი, ხმელეთზე გადმოვიდა და უდიდესი მღელვარება დათესა. აღელდა ზღვა, რაჟამს გარბოდა წინასწარმეტყველი, ხოლო შეძრწუნდა ხმელეთი, როდესაც იქადაგა მან. ზღვა ვედრებამ დაამშვიდა, ხმელეთი კი - სინანულმა. ლოცულობდა იონა ვეშაპის წიაღში, ლოცულობდნენ ნინეველნი დიდ ქალაქში. ლოცვამ გამოიხსნა იონა, ლოცვამ გადაარჩინა ნინეველნიც. ღმერთს გაურბოდა იონა, სიწმინდეს განდგომოდნენ ნინეველნი. დანაშაულის გამოისობით ორივენი მართლმსაჯულებამ დააკავშირა ურთიერთს. იონამაც და ნინეველებმაც სინანული მიიტანეს ღვთის წინაშე და წყალობა მიიღეს. კეთილმა

აღსარებამ წინასწარმეტყველი ზღვაზე დაიცვა, ნინეველნი კი - ხმელეთზე. საკუთარ თავზე შეიმეცნა იონამ, რომ მონანული შეწყალებული იქნება. თავად მასზე გაცხადდა მაგალითი ცოდვილებისადმი უაღმატებულესი ზეგარდამო სასიერებისა, რითიც მიეთითა წინასწარმეტყველს, რომ ცოდვათა შინა დანთქმული ქალაქიც შეწყალებული იქნებოდა).

მს. 4. „იარა იონამ ერთი დღე ქალაქში, ქადაგებდა და ამბობდა: კიდევ ორმოცი დღე და დაიქცევა ნინევი“¹.

წმინდა ეფრემ ასური გვაუწყებს, რომ იონას ქადაგების დაწყებისთანავე ნინევის თავზე შავი ღრუბელი ჩამოწვა. მხოლოდ ორმოცი დღის შემდეგ გაიფანტა სიბნელე და მზის ნათელმა კვლავ გაანათა ასურელთა დედაქალაქი. წინასწარმეტყველი ლოცულობს, სინანულისკენ მოუწოდებს ისრაელის სამეფოს დაუძინებელ მტერს, რითაც ძველ აღთქმაში სახეობრივად ვლინდება ახალაღთქმისეული მოძღვრება მტრის სიყვარულის შესახებ.

დეკან. იოანე სოლოვიოვი: როგორც ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად პავლე მოციქული ისეთი ადგილებისკენ მიიჩქაროდა, სადაც უამრავი ადამიანი იკრიბებოდა, მსგავსადვე, იონასაც შესაბამისი გარემო უნდა შეერჩია, ხოლო ასეთი გარემო ნინევიში ზემოხსენებული ოთხი უბანი იყო. სავარაუდოდ, წელიწადის სხვადასხვა დროს მეფე საცხოვრებლად განსხვავებულ ადგილებს ირჩევდა და მას თან ახლდა სახელმწიფოს უმაღლესი იერარქიაც. თითოეულ უბანს საკუთარი მოედანი გააჩნდა. შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ იმ ადგილიდან, საიდანაც იონა ქალაქში შევიდა, უბნამდე, რომელშიც წელიწადის მოცემული დროისთვის მეფე ცხოვრობდა, ფეხით მოსიარულე ადამიანი ერთ დღეში ჩააღწევდა.

მკვლევართა აზრით, იონამ ქალაქში ჩრდილო-დასავლეთიდან, საკუთრივ ნინევად წოდებულ უბანში შეაბიჯა. ამასთანავე, უნდა ვივარაუდოთ, რომ წინასწარმეტყველის

¹ „და იწყო იონა სღვად ქალაქად ვითარ დღისა ერთისა გზა ოდენ. და იწყო ქადაგებად და თქუა: სამ დღეჲ-ღა და ნინევეჲ დაიქცეს“.

ასურელთა დედაქალაქში აღმოჩენისას მეფე კალახად წოდებული უბნის რეზიდენციაში იმყოფებოდა და იგი სარდანაპალის ვაჟი უნდა ყოფილიყო (სარდანაპალი სწორედ ის ადამიანია, რომელმაც კალახში სამეფო სასახლე ააგო). ქალაქის უშუალოდ ეს ნაწილი ესაზღვრებოდა უდაბნოს, საიდანაც ცხელი ნიაფი ქროდა, ხოლო ნინევიდან გასული წინასწარმეტყველის შესახებ მოთხრობილია, რომ ძლიერ შეაწუხა იგი მზის მცხუნვარებამ და მსურვალე ქარმა¹. შესაბამისად გამოდის, რომ იონას მთელი ნინევის გავლა მოუწია კალახამდე მისადწევად, რისთვისაც ერთი დღე დასჭირდა. ხსენებულ უბნამდე მიმავალი წინასწარმეტყველი გზაში ქადაგებდა. ღვთისაგან მოვლენილი მოძღვრის სიტყვების მსმენელი მოსახლეობა, განურჩევლად ასაკისა, ძლიერ შეძრწუნებული იყო და ჯვალაოშემოსილი უკან მიჰყვებოდა სტუმარს. ბუნებრივია, ადამიანების რაოდენობა მატულობდა და კალახში ჩასვლისას არნახული იყო საზოგადოების სიმრავლე, რამაც მეფის და მთელი კალახის ყურადღება მიიქცია...

„კიდევ ორმოცი დღე და დაიქცევა ნინევი“, - ასე მიმართავდა წინასწარმეტყველი ხალხს, მაგრამ, რა თქმა უნდა, იონა არ შემოფარგლულა მხოლოდ წარმოდგენილი სიტყვებით. ისინი ნათქვამი წინასწარმეტყველების თავში იყო მოქცეული და მის დასაწყის ნაწილს შეადგენდა. იონასთან დაკავშირებული ბიბლიური თხრობის კითხვისას უეცრად ნათლისმცემელი გაგონდება, რომელიც მწიგნობრებსა და ფარისევლებს იქედნეთა ნაშობებს უწოდებდა და მისი სიტყვები ჭექა-ქუხილის დარად ჟღერდა, რასაც ვერავინ ეწინააღმდეგებოდა. თუკი იონას სიტყვაში სინანულისკენ მოწოდება არ ყოფილა, რა საჭირო იყო მისი ნინევიში მივლენა? სხვაგვარად წინასწარმეტყველის საქმიანობა ყოველგვარ აზრს იქნებოდა მოკლებული).

უცნობია, თუ რა ენაზე მიმართავდა მსმენელს წინასწარმეტყველი. ასურული ენა, როგორც ძლევაშემოსილი

1 შდრ. „მზე რომ ამოვიდა, მოავლინა ღმერთმა აღმოსავლეთის ცხელი ქარი. მზემ ისე დააცხუნა თავზე იონას, რომ მან, ღონემისდილმა, სიკვდილი ინატრა“ (იონ. 4.8).

დამპყრობელი ერის ენა, ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ აზიაში და, შესაძლოა, იონაც ფლობდა მას. დაეუშვათ, რომ წინასწარმეტყველი მხოლოდ ებრაულ ენაზე საუბრობდა, ამ შემთხვევაშიც ნინეველებისთვის სრულიად გასაგები იქნებოდა მოსმენილი მოძღვრება, რადგან ასურული სემიტურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებოდა და დიდ სიახლოვეს ავლენდა ებრაულთან არა მარტო გრამატიკულად, არამედ სინტაქსის დონეზეც. ასე რომ, ასურული გრამატიკა, კომპეტენტური მკვლევარების აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ებრაულის კოპირებული ფორმა. აღმოჩენილია მთელი რიგი ასურული წერილობითი წყაროები, რომლებშიც არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, არამედ წინადადებებიც კი სრულ იდენტურობას ინარჩუნებენ ებრაულთან მიმართებით¹.

შპ. ეფრემ ასური: საშინელი მკურნალი მიეველინა სნეულ ქალაქს სასტიკი სამკურნალო ხერხებით, რომელმაც გააცხადა და ყველას აჩვენა მკურნალობის შემადრწუნებელი ხელოვნება. განა იმიტომ წარგზავნა ღვთის სახიერებამ წინასწარმეტყველი, რომ ქალაქი დაღუპულიყო? არაფერს ამბობდა იგი სინანულის შესახებ, რითაც მიანიშნებდა, რომ ყოველმა სნეულმა საკუთარ უძღურე-

1 იონას სამეტყველო ენის შესახებ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს: „მოცემულ შემთხვევაში... საუბარია, ერთი მხრივ, ასურულ ენაზე, ხოლო მეორე მხრივ, არა იუდაურ, არამედ ებრაული ენის გალილეურ დიალექტზე, რომელშიც იუდაურთან შედარებით გაცილებით მეტი არამეიზმებია. რა თქმა უნდა, გარკვეული თანხვედრის მიზეზით სამეტყველო ენის გაგება და რთულად, მაგრამ გამოცდილების შედეგად ამ ენაზე ცალკეული სიტყვების მნიშვნელობისა და წარმოთქმული მოძღვრების საერთო შინაარსის შემეცნება და, ამავდროულად, აზრთა ცოცხალი და თავისუფალი ურთიერთგაცვლა ერთმანეთისგან ორი ძლიერ შორს მყოფი მოვლენაა. მაგრამ, ამასთანავე, დასკვნა იმისა, რომ ნათესაური დიალექტების ადვილი და სწრაფი დაუფლება აუცილებლობის შემთხვევაში, ცხოვრებისეული რეალობიდან გამომდინარე, ადამიანს თავისუფლად ხელ-ეწიფება, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა“ (Протоиерей Иоанн Соловьев, О книге пророка Ионы, Опыт исагогико-экзегетического исследования, Магистерская диссертация, Москва, 2006, ст. 307).

ბებზე თავად უნდა იზრუნოს. იონამ ნინეველთა წინაშე სინანულის კარი დახურა, რათა სახილველი გამხდარიყო, როგორი გულმოდგინებით დაეშურებოდნენ მის გაღებას ისინი).

ნეტარი იერონიმე: ზოგიერთების აზრით, იონამ ქალაქის მესამედი მოიარა, ხოლო ნაქადაგები მთელს ქალაქში ელვის სისწაფით გავრცელდა. ვერ გამიგია, რატომ ითარგმნა ბერძნულად 40 დღე (შდრ. „კიდევ ორმოცი დღე და დაიქცევა ნინევი“), მაშინ როცა ებრაულ სიტყვებს სამსა (salos) და ორმოცს (arbaim) შორის მსგავსება არ არსებობს).

თეოდორიტი კვირელი: აკვილა, სვიმაქოსი და თეოდოტიანე სამის ნაცვლად 40 დღეს უთითებენ. მათ ეთანხმება სირიული თარგმანი და ებრაული ტექსტი. ამას სამი დღის სიმცირეც ადასტურებს, რადგან ესოდენ დიდი ქალაქის შემოვლა დროის მცირე მონაკვეთში შეუძლებელი იქნებოდა. სავარაუდოა, რომ 70-თა პირვანდელ თარგმანშიც 40 დღე იქნებოდა, მაგრამ არსებული განსხვავება მოგვიანებით გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად მივიღეთ).

სეპტანტაში ნაცვლად ორმოცისა სამი დღეა ნახსენები¹. მკვლევართა აზრით, ბერძნულ ტექსტში თავდაპირველად რიცხვი ორმოცი უნდა ყოფილიყო შესაბამისი ბგერითი აღნიშვნით μ (=40), ხოლო მოგვიანებით გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად ორმოცი დღე სამით შეიცვალა, რაც სხვა ხელნაწერებშიც მცდარად აისახა².

მს. 5-10. „იწამეს ნინეველებმა ღმერთი, გამოაცხადეს მარხვა და დიდიან—პატარიანად ჯვალოთი შეიმოსნენ. შეიტყო ეს ამბავი ნინევის მეფემ, ტახტიდან ჩამოვიდა, შემოიძარცვა სამოსელი, ჯვალო ჩაიცვა და ნაცარზე დაჯდა. გამოაცხადებინა ნინევიში მეფისა და მისი კარისკაცების ბრძანება: «არც კაცმა, არც პირუტყვმა,

1 Gr. *Ἐν τρεῖς ἡμέραις καὶ Νινευὴ καταστραφίσεται*. შდრ. „მერმე სამნილა დღენი და ნინევი დაიქცეს“ (იონ. 3. 4).

2 გადამწერმა, სავარაუდოდ, გარკვეული მსგავსების გამო, ხელნაწერში ვერ გაარჩია ასოები μ და γ (γ=3).

ძროხამ თუ ცხვარმა, არ ჭამოს, არ მოძოვოს, არც წყალი დალიოს. ჯვალო ატაროს კაცმაც და პირუტყვმაც, მთელი ძალით შეჰღალადონ ღმერთს, დააგდონ ბოროტების გზა და ყველა ავი საქმე, რაშიც კი ხელი აქვთ გარეული. ვინ იცის, კიდევ შეინანოს ღმერთმა, დაუცხრეს რისხვა და აღარ დავიღუპოთ!» შეხედა ღმერთმა მათ საქციელს, რომ დააგდეს ბოროტების გზა და შეინანა ღმერთმა, ბოროტის ყოფას რომ უპირებდა მათ და აღარ უყო¹.

წარმოდგენილი ადგილი გვაუწყებს, თუ როგორი გულ-შემუსვრილობით შეინანეს ნინეველებმა. მათზე ძლიერი გავლენა უნდა მოეხდინა წინასწარმეტყველის მიერ ზღვაზე გადახდენილი სასწაულებრივი მოვლენების თხრობას და სწორედ იონას უზაკველი, ჭეშმარიტი ქადაგება მათი გულებისკენ პოულობს გზას, რასაც შედეგად მარხვისა და გლოვის არნახული გამოვლინება მოჰყვა: ნინევის მეფის ბრძანებით, ქალაქის მკვიდრნი ცხოველებსაც ამარხულებენ. ისმის კითხვა: რამდენად გულწრფელია ნინეველთა სინანული? თუკი ჭეშმარიტად გულწრფელია, გაუგებარი ხდება, რატომ არ შეიცვალა სისასტიკისა და ძალადობისკენ მიდრეკილი ასურელების ბუნება, რომლებმაც გარკვეული დროის შემდეგ მიწასთან გაასწორეს იონას მშობლიური ისრაელის სამეფო. ისტორიული ცნობების

1 „და ჰრწმენა კაცთა მათ ნინეველთა ღმერთი და მიაწვეს მარხვად და ძაძად შეიმოსეს მცირითგან ვიდრე დიდადმდე მათა. და მიიწია სიტყუად ესე მეფისა მის ნინეველთაჲსა. და აღდგა საყდრისაგან თჳსისა და განიდარცუა სამკაული თჳსი მისგან და შეიმოსა ძაძად და დაჯდა იგი ნაცარსა ზედა. და იქადაგა და ითქუა ნინევეს შინა მეფისა მიერ და მთავართა მისთა მიერ და თქუეს: კაცი და საცხოვარნი და ზროხად და ცხოვარი ნურას გემოსა იხილვედ საძოვარსა, ნუცა წყალსა სუმედ! და შეიმოსეს ძაძად ყოველთა კაცთა და საცხოვართა ღალად-ყვეს ღმრთისა მიმართ ერთბამად. და მოაქცია კაცად-კაცადმან გზისაგან თჳსისა ბოროტისა და სიცრუვისაგან ველთა მათთაჲსა და იტყოდეს: ვინ უწყის, შეინანოს ღმერთმან და მოაქციოს რისხვისაგან გულისწყრომისა მისისა და არა წარვეწყმდეთ: და იხილნა ღმერთმან საქმენი მათნი, რამეთუ მოიქცეს საქმეთა მათთაგან ბოროტთა და შეინანა ღმერთმან ბოროტის-ყოფისათჳს, რომელსა იტყოდა მათთჳს და არა უყო“.

გათვალისწინებით ვარაუდობენ, რომ წინასწარმეტყველის ნინევში ჩასვლამდე ქალაქის მოსახლეობამ ორგზის უმძიმესი შიმშილობა იწვნია, რასაც მზის სრული დაბნელებაც დაერთო. ერთი სიტყვით, ხალხმა გადატანილი განსაცდელები, ბუნებრივი კატაკლიზმები ღვთის რისხვის გამოვლინებად მიიჩნია და მომხდარი მოვლენებით ძლიერ შეშინებული, იონას ქადაგებას ერთგვარი ფსიქოლოგიური მზაობით შეეგება, რამაც საყოველთაო სინანული გამოიწვია.

ეპისკოპოსი პალადი: იონას ნინევში ქადაგებისას, სავარაუდოდ, ასურეთში სარდანაპალი მეფობდა).

წმ. კირილე ალექსანდრიელი: მიუხედავად იმისა, რომ ნინევი მრავალსახოვან წარმართულ უკეთურებებში შთანთქმულიყო, იონას ქადაგება ყველამ, როგორც ერთმა, ირწმუნა, დაწყებული მდიდარი და შეძლებული მაღალჩინოსნებიდან, ვიდრე უმდაბლესი სოციალური ფენის წარმომადგენლებით დასრულებული. ქადაგებამ მეფის ყურამდეც მიაღწია, უკანასკნელმა საოცარი მოშურნეობა გამოავლინა. მან ტახტი დაუტევა, სამეფო ომოფორი გაიხადა და, მსგავსად საკუთარი მოსახლეობისა, ძაძებში მოსილი ნაცარში ჩაჯდა. ამასთან, გამოსცა ბრძანება და მარხვა და გლოვა საყოველთაო აუცილებლობად გამოაცხადა. გასაოცარია მათი გულისხმიერება, - არა მარტო თავად იტვირთეს თავშეკავება, არამედ საკუთარ ქალაქში პირუტყვებიც ამარხულეს. ღმერთი არავისგან ითხოვს მსგავს ქმედებას და არც ნინეველები დაუვალდებულეობია ამაში. ეს მოსახლეობის პიროვნული გადაწყვეტილება იყო, რითაც თვალნათლივ დადასტურდა მათი შინაგანი შემუსრვილობა. ვიცი ისეთიც, რომლებიც ამბობენ, რომ პირუტყვებში ნინევში მცხოვრები პირუტყვული ვნებებით შეპყრობილი ადამიანები მოიაზრებიან).

წმ. ბასილი დიდი: ბავშვებს მოზარდებთან ერთად გლოვა იმიტომ განეწყესათ, რომ მათი მწუხარება ყველასთვის მაგალითი გამხდარიყო და გადაძვლები ძალა ჰქონოდა).

ნეტარი იერონიმე: მსმენია, რომ ზოგიერთები ნინევის მეფეში, რომელმაც, მოისმინა რა ქადაგება, ტახტიდან გადმოვიდა, განიმოსა სამეფო სამოსი, ჯვალღო შეიმოსა და

ნაცარში მჯდომი გლოვობდა, ამასთან, გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ხალხს, პირუტყვს, ძროხასა თუ ცხვარსაც უნდა ემარხულა, დემონს მოიაზრებენ, დაცემულ სულს, რომელიც, მათი აზრით, ქვეყნიერების აღსასრულს დაუტყვევებს საკუთარ ქედმაღლობას, შეინანებს და ძველ მდგომარეობას დაუბრუნდება, რადგან არ შეიძლება ღვთის ქმნილი გონიერი არსება დაიღუპოს. წარმოდგენილი მოსაზრების დასადასტურებლად დანიელის წიგნის იმ ადგილსაც იშველიებენ, სადაც ნათქვამია, რომ ნაბუქოდონოსორს შვიდწლიანი უძღურების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ადამიანური გონი¹. წარმოდგენილი მსჯელობის საპირისპიროდ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სახარების თანახმად, მცოდველი და მოუნანიებელი ადამიანები „ცეცხლსა მას საუკუნესა“ იგზავნებიან, რომელიც „გამზადებულია ეშმაკისა და მისი მსახურებისთვის“² და სწორედ ამაზეა ნაუწყები: „მატლი მათი არა დაესრულოს, და ცეცხლი მათი არა დაშრტეს“³. თუ საყოველთაო გამართლების შესახებ მოსაზრება სწორია, რა განსხვავება იქნება უფლის დედასა და მეძავ ქალებს შორის (რისი თქმაც კი დანაშაულია. ნუ იყოფინ!)? ნუთუ ერთნი იქნებიან გაბრიელი და დემონი? არაფრით განირჩევიან ეშმაკი და მოციქულები? წინასწარმეტყველნი თუ ცრუწინასწარმეტყველნი? მოწამენი და მდევნელნი? თუკი ტანჯვის ჟამი დროშია მოქცეული და გარკვეულ ჟამს ყველანი ერთნაირ მდგომარეობას დაიმკვიდრებენ, არაფერს ჰქონია მნიშვნელობა, რადგან ჩვენ მივილტვივით იქითკენ, თუ რანი ვიქნებით მარადიულად, ხოლო ამ მოსაზრებით მარადისობა ყველასთვის ერთნაირი ყოფილა. ხალხსა და პირუტყვს, მმარხველსა თუ ჯვალოთი მოსილს მე გონიერ და უგუნურ ადამიანთა შესახებ მითითებად

1 შდრ. „მაშინ დამიბრუნდა გონება, ჩემი სამეფოს სადიდებლად დამიბრუნდა ჩემი დიდება და ჩემი უწინდელი სახე. მაშინ მომძებნეს ჩემმა მრჩეველებმა და დიდკაცებმა და კვლავ დადგენილი ვარ ჩემს სამეფოზე და ჩემი სიდიადე უფრო მეტად გაიზარდა“ (დან. 4.33).

2 მთ. 25.41.

3 ეს. 66.24.

მივიჩნევ. იონას ქადაგებით, მათ, ყველამ, როგორც ერთმა, შეინანეს).

დეკან. იოანე სოლოვიოვი: ნინეველებმა რომ პირუტყვებიც ამარხულეს და ამაში არაფერია გასაკვირი, დასტურად არაერთი დღევანდელი უწყებაც გამოდგება. მაგალითად, გარდაცვლილის დაკრძალვისას შავებში არა მარტო ჭირისუფალთ, არამედ ცხენებსაც მოსავენ, რომლებიც ცხედარს მიასვენებენ. ამ ყოველივეს მიზანი ადამიანთა შორის მწუხარების გამძაფრებაა. როგორც ნეტარი თედორიტი აღნიშნავს: ნინეველებმა თავიანთ მწუხარებას პირუტყვები იმისათვის აზიარეს, რომ რაჟამს შიმშილისაგან შეჭირვებულნი, იღმუვლებდნენ, ადამიანები ცხარე ცრემლებს მეტად დაღვრიდნენ და ღვთისაგან შეწყალებას უფრო გულმოდგინედ გამოითხოვდნენ).

წმ. ივრემ ასური: როდესაც დასასრულს უახლოვდებოდა განსაზღვრული დღეები, ნინეველებმა ურთიერთს ხელი ჩაჰკიდეს და სიკვდილისთვის მზადება დაიწყეს. ბოლო, მეორმოცე დღეც გათენდა, დღე, როდესაც ღვთის საშინელი რისხვა საქმედ უნდა ქცეულიყო. დღეს ღამე მოჰყვა. ცრემლდადენილნი ბჭობენ ყველანი: რა დროს დაიქცევა ქალაქი, ღამით თუ გამთენიისას? საშინელ ხმას როდის მოვისმენთ? ფიქრობენ, რომ საღამოს განადგურდება ნინევი, მაგრამ საღამო უკვე დამდგარა და ჯერაც არაფერია. ფიქრობენ, მოსახდენი ღამე მოხდება, თუმცა კვლავაც სიმშვიდეა. ზრახავენ, რომ შუალამისას დადგება შესაბამისი ჟამი, მაგრამ დრო გადაცდა, კვლავაც სიმშვიდეა. ალბათ, დილით დაეცემა ქალაქი, - ბჭობენ ისინი. ღამეც გათენდა, იმედი მოეცათ, რადგან სწორედ მაშინ, როდესაც საკუთარი თავი უეჭველი დაღუპვისთვის განწირულად მიიჩნიეს, უეცრად აღმოცისკრდა ხსნა. ძმა ძმას ხვდებოდა და ვერ კი ცნობდნენ ურთიერთს. მეგობარს ეგებებოდა მეგობარი, მაგრამ ერთურთს ვერ არჩევდნენ. სმენას არ ძალუძდა ერთი ხმა მეორისაგან განესხვავებინა, თვალსაც უუნარობა დაუფლებოდა, რომ სახეები გაერჩია ერთმანეთისგან, რადგან მწუხარებისა და გლოვის მიზეზით ყველა ფერმკრთალ აჩრდილებს დამსგავსებოდა მღვიძარებისგან გაღეულიყო მათი სხეული.

გაუბრწყინდათ სახეები ნინეველებს. ყველას ეუწყა გადარჩენის შესახებ, რაჟამს ნინევის თავზე დღის სინათლე იხილეს. მუხლი მოიდრიკეს სალოცავად, ხელები ზეცად აღაპყრეს, ბაგეები მადლობდნენ და განადიდებდნენ **იმას**, ვინც საკუთარი რისხვით კვლავ სიცოცხლე მიჰმადლა მათ სინანულის გზით).

ანდრია სმირნოვი: საინტერესო ფაქტია, ნინევეში ჩასული სრულიად უცხო ადამიანი ადგილობრივი მოსახლეობის გულებს რომ იპყრობს და უდიდეს ნდობას იმსახურებს. რას უნდა განეპირობებინა ადგილობრივთა ესოდენი გულისხმიერება? არსებობს ერთი ლეგენდა, რომელიც შუამდინარეთში ცივილიზაციის წარმოშობის შესახებ გვაუწყებს. იონას დროინდელ ნინეველებს აღნიშნული მითი ღრმად სწამდათ და მის ჭეშმარიტებაში არავის ეპარებოდა ეჭვი. აღნიშნული ისტორია ასეთია: ოდესღაც, ათასწლეულებით ადრე, მესოპოტამიაში (და, ზოგადად, მთელ სამყაროში) განუვითარებელი, პირველყოფილი წესებით მცხოვრები ადამიანები ბინადრობდნენ. ერთ მშვენიერ დღეს სპარსეთის ყურიდან ღმერთის მიერ წარმოგზავნილი უცნაური გარეგნობის მქონე არსება ამოვიდა. მას თევზის სხეული და, ამავდრულად, ადამიანის გამოსახულება ჰქონდა. იგი შუამდინარეთში მიდის და ადგილობრივ მოსახლეობას ცივილიზაციას აზიარებს: განუმარტავს მათ სახელმწიფოს არსსა და დანიშნულებას, ურთიერთთან დამოკიდებულების ფორმებს, ასწავლის მიწათმოქმედებას, მშენებლობას... უცნაურ არსებას სახელად **ოანესი** ერქვა. იგი ღამით წყალში ჩადიოდა, ხოლო დღისით კვლავ უბრუნდებოდა ხმელეთს და ხალხის დამოძღვრას განაგრძობდა.

ამ ყოველივეს შემდეგ, ძვ. წ. აღ-ის მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქ ნინევეში (შუამდინარეთში) გამოჩნდა უცხო ადამიანი, რომელიც ყველა ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ გადაყლაპა იგი დიდი ზომის თევზმა და მესამე დღეს კვლავ ამოსვა ერთ-ერთ სანაპიროზე. ნინეველნი იმასაც იგებენ, რომ ახლადმოსულ სტუმარს სახელად იონა ჰქვია. ყოველივე ამან ასურეთის დედაქალაქის მკვი-

დრებს ენიტგამოუთქმელი რელიგიური ძრწოლა და შიში მოჰგვარა, რადგან იონას თავსგადამხდარი ისტორიისა და მისი სახელის მოსმენისას (მითიური **თანესი** და იუდეველი წინასწარმეტყველი **იონა** - პირველი ზღვიდან ამოდის და მოსასლეობას მოძღვრავს, მეორე თევზის წილიდან უკუ-მოქცეული, საღვთო მსჯავრის შესახებ იუწყება) პირველი ასოციაცია სწორედაც რომ ძველ ლეგენდას დაუკავშირდა, რომელიც ცხოველი ძალით განაგრძობდა არსებობას წინასწარმეტყველის თანამედროვე შუამდინარელთა მოგონებებში, და მათ იუდეიდან ჩამოსული უცხოტომელი ღვთისაგან მოვლენილ მქადაგებლად მიიჩნის. ასე რომ, უზენაესმა განგებულებამ იონას თევზის მუცელში სამდღიანი ყოფნა, გარდა მაცხოვართან დაკავშირებული წინასწარმეტყველებისა, ნინეველთა გულშემუსვრილობისკენაც მიმართა. საღვთო სიბრძნეს წარმართთა ჩვეულებანი, ტრადიციები ჭეშმარიტი სწავლების გასაცხადებლად მრავალგზის გამოუყენებია. მაგალითისთვის საპყრობილეში აღმოჩენილი იოსების შემთხვევა შეგვიძლია გავიხსენოთ და მის თანამესენაკეთათვის გაცხადებული წინასწარმეტყველებითი სიზმრები, რომელთა ახსნითაც შემდგომში თავად იოსები განადიდა ღმერთმა. მსგავსი რამ მოხდა რამდენიმეგზის ნაბუქოდონოსორის შემთხვევაშიც: ქალდეველთა ღრმა რწმენის თანახმად, ღმერთი ადამიანებთან სიზმრებით შედიოდა ურთიერთობაში. ბიბლიაში მრავალგზის გვხვდება უწყება, როდესაც უზენაესი სიბრძნე სწორედ ამგვარ შესაძლებლობებს იყენებს, რომ ღვთაებრივი განგებულება აღესრულოს).

თავი IV

მხ. 1-4. „ძალზე განაწყენდა და გამწარდა იონა. ილოცა უფლის მიმართ და უთხრა: ჰე, უფალო, განა ამას არ ვამბობდი, როცა ჯერ კიდევ ჩემს მიწაზე ვიყავი? თავიდანაც იმიტომ გავრბოდი თარშიშში, რომ ვიცოდი, მონანიე და ლმობიერი ღმერთი ხარ, რისხვაგვიანი და მრავალმოწყალე; ნანობ ხოლმე ბოროტის-ყოფას. ახლა ბარემ ამომხადე სული, რადგან ამ სიცოცხლეს სიკვდილი მიჩვევია. უთხრა უფალმა: მაგრად გამწარდი?“¹

ორმოცი დღის გასვლის შემდეგ ქალაქი ნინევი დაუ-სჯელი რჩება, რამაც იონა ძლიერ გაანაწყენა. წინასწარმეტყველი ისე შეწუხდა, რომ უფალს **სულის ამონდა** სთხოვა. საინტერესოა, რატომ არ სურს ძველი აღთქმის მართალს სხვათა გადარჩენა. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ იონამ ვერ ირწმუნა ნინეველთა სინანულის გულწრფელობა, მან ქალაქის მკვიდრთა ზემოხსენებული ქმედებანი მხოლოდ გარეგნულ გამოვლინებად მიიჩნია და სწორედ ამან შეაწუხა. იონა ერთგვარად ელიას ემსგავსება, ადამიანს, რომელიც ფიქრობდა, რომ ისრაელის მთელი მოსახლეობა ბაალს ეთაყვანებოდა. თუმცა უფალი მას სხვაგვარ ჭეშმარიტებას უცხადებს: ისრაელში 7000 ადამიანია, რომლებიც ჭეშმარიტ ღმერთს სასოებენ და არა - კერპებს.

წმ. კირილე ალექსანდრიელი: მას შემდეგ, რაც განვლო იონას მიერ ნახსენებმა დრომ, მაგრამ ქალაქს არაფერი შეემთხვა, წინასწარმეტყველი გამწარდა, თუმცა გულისტკივილი მოსახლეობისა და ქალაქის გადარჩენით როდი იყო განპირობებული, რადგან ასეთი რამ მხოლოდ

1 „და შეწუხდა იონა მწუხარებითა დიდითა და იურვოდა. და ილოცვიდა უფლისა მიმართ და თქუა: ზ უფალო, არა ესე სიტყუანი არიანა ჩემნი, ვიდრე ვიყავდა ქუეყანასა ჩემსა? და ამისთჳს ვისწრაფე სივლტოლად თარშიდ, რამეთუ ვიცოდი, ვითარმედ შენ მოწყალე ხარ და მოწყალობელ, სულგრძელ და დიდად მოწყალე და შეინანი ბოროტის-ყოფად. აწ, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან, რამეთუ უმჯობჳს არს ჩემდა სიკუდილი, ვიდრე ცხორებასა ჩემსა. და ჰრქუა უფალმან იონას: ფრიად შეწუხებულ ხარ შენ?“

გულარძნილ და უკეთურ ადამიანს ახასიათებს, იონა იმან დაამწუხრა, რომ ის მატყუარად და ამომეტყველად წარმოჩნდებოდა ხალხის წინაშე, რადგან ფუჭად შეაშფოთა ქალაქის მკვიდრნი და არათუ საღვთო ნებას განაცხადებდა, არამედ საკუთარი ზმანებებით ხელმძღვანელობდა. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ იონა სრულიად სხვა რამემ, ბიბლიაში მიუთითებელმა ცნობებმა ააფორიაქა. კერძოდ, მან შეიტყო ისრაელის სამეფოში დიდი რაოდენობით კერპმსახურთა ჩასვლის შესახებ. წინასწარმეტყველმა საბოლოოდ დაკარგა იმედი იმისა, რომ მისი თანატომელები ჭეშმარიტ ღმერთს შეიმეცნებდნენ და ვითარცა მიცვალებულნი, დაიტირა ისინი).

ნეტარი იერონიმი: იონა უზომოდ შეწუხდა, მაგრამ ეს მწუხარება, როგორც მრავალს ჰგონია, არა წარმართების მოქცევამ განაპირობა, არამედ იმან, რომ წინასწარმეტყველი საკუთარი ხალხის დაღუპვას გლოვობდა. სწორედ ამ მიზეზით დასტიროდა მაცხოვარი იერუსალიმს; არ სურდა პურის მიღება შვილთაგან და დაგება ძალღმობის; მოციქულებიც პირველად ისრაელის წარწყმედილ ცხვრებთან საქადაგებლად იგზავნებოდნენ...).

ეპისკოპოსი პალადი: ნინევის გადარჩენის მხილველი იონა დაამწუხრდა, მაგრამ სხვისი შეწყალების მიზეზით მხოლოდ უკეთური ადამიანი თუ დანაღვლიანდება. სინამდვილეში წინასწარმეტყველის გულისტკივილი ერთი რამით იყო განპირობებული: ნინეველნი მას ცრუ მოძღვრად მიიჩნევდნენ, ხოლო ღმერთი, ვისი სახელითაც იონამ იქადაგა, შესაძლოა, ასევე უძღურ არსებად ჩათვალათ. დიდმა წუხილმა მას დროებით გონება დაუბინდა და სწორედ ამ მდგომარეობაში წარმოთქვა ლოცვა: „ჰე, უფალო, განა ამას არ ვამბობდი, როცა ჯერ კიდევ ჩემს მიწაზე ვიყავი...“. იონა ფიქრობს, რადგან მის მიერ ნაქადაგები სიტყვა არ აღსრულდა, გარკვეული დროის შემდეგ ნინევის მკვიდრნი და ქალაქის გარეთ მცხოვრებნი წინასწარმეტყველის მომავლინებელ ღმერთს არაფრად ჩათვლიან და, შესაბამისად, აღნიშნული მოვლენა წარმართების უზენაესთან მიახლებას მეტად დააბრკოლებს).

მხ. 5. „გავიდა ქალაქიდან იონა და ქალაქის აღმოსავლეთით გაჩერდა; იქ ერთი ჩარდახი გაიკეთა, დაჯდა მის ქვეშ, ჩრდილში, და დაელოდა, რა მოუვიდოდა ქალაქს“¹.

წმ. კირილე ალექსანდრიელი: იონა ამგვარად ზრახავდა: მართალია, ღვთის რისხვა მოწყალებით შეიცვალა, მაგრამ ეს მოწყალება მხოლოდ იმ ნინეველებს განეკუთვნებათ, რომელთაც მთელი გულით შეინანეს. მართალია, დათქმული ვადა გავიდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ საღვთო უწყება მაინც აღესრულება. სწორედ ამიტომ გადის იგი ქალაქიდან და ბანაკდება უდაბნოში, რომ იქიდან ადევნოს თვალყური ნინევს. იონა ელოდა, რომ ქალაქი ან მიწისძვრით განადგურდებოდა, ან, მსგავსად სოდომისა, ცეცხლით დაიწვეებოდა).

არქიეპისკ. იოანე სმირნოვი: მას შემდეგ, რაც ორმოცი დღე გავიდა და ნინევი გადარჩა, წინასწარმეტყველმა მოიწყინა. უფლისგან მოსმენილმა სიტყვებმა - „მაგრად გამწარდი?“ იონაში ასურელთა დედაქალაქის მახლობლად დარჩენის სურვილი აღძრა, რადგან ზეგარდამო გაქლერებული კითხვა კვლავაც ტოვებდა საღვთო მსჯავრის აღსრულების შესაძლებლობას. ამიტომაც, იგი ნინევის აღმოსავლეთით, მთიან მიდამოში გავიდა და კარვის ქვეშ დაბანაკდა).

თეოდორიტი კვირელი: იონას ქალაქიდან გასვლა და კარვის შექმნა უფრო ადრე ხდება, მაგრამ წიგნში ასეთი ქრონოლოგიით განთავსდა).

მხ. 6. „მოავლინა უფალმა ღმერთმა აყირო და იგი იონას თავსზემთ აიზარდა, რომ დაეჩრდილებინა მისთვის და წყენა გაექარებინა. დიდად გაახარა ამ აყირომ იონა“².

წიგნის ბოლო ნაწილში გადმოცემულია უწყება, თუ

1 „და განვიდა იონა ქალაქით და დაჯდა წინაშე ქალაქსა მას და იქმნა მუნ თავისა თვისისა კარავი. და დაჯდა მას ქუეშე აჩრდილსა, ვიდრემდე იხილოს, რამ-ღი ეყოს ქალაქსა მას“.

2 „და უბრძანა უფალმან ღმერთმან აყიროსა და აღმოსცენდა თავსა თანა იონამსსა, რამთა აგრილობდეს თავსა ზედა იონამსსა სიმძაფრისა მისგან სიცხისა. და განიხარა იონა აყიროსა მას ზედა სიხარულითა დიდითა ფრიად“.

როგორ განსწავლის უფალი იონას, რათა ეს უკანასკნელი საკუთარი შეხედულებების სიმცდარეში დარწმუნდეს. სწორედ ამ მიზნით ქალაქგარეთ, უდაბურ ადგილას გასულ წინასწარმეტყველთან ახლოს, აღმოცენდება მცენარე აყირო¹, რომელიც მალევე გახდება. ტექსტის თანახმად, აღმოცენებაც და გახმობაც თითო ღამეში ხდება, თუმცა, შესაძლოა, მითითებული დროის ხანგრძლივობა ბუკვალურად არ გავიგოთ და ერთ ღამეში გაცილებით მეტი რაოდენობა იგულისხმებოდეს, რადგან წიგნში წარმოდგენილი ცნობებით არ ირკვევა, თუ რა ჟამის მანძილზე იმყოფებოდა წინასწარმეტყველი ქალაქგარეთ.

აყირო აღწერილი აქვთ ჰეროდოტეს, პლინიუსს, ნეტარ იერონიმეს. მათი ცნობებით, აღნიშნული მცენარე სამ მეტრამდე აღწევს, საკმაოდ სწრაფად იზრდება და მალევე ხდება, გააჩნია დიდი, მაჩრდილებელი ფოთლები. ბოტანიკოსები მას *Palma kristi*-ს უწოდებენ.

ნეტარი იერონიმე: ამ ადგილის გამო ვინმე კანტერიოსი უძველესი საგვარეულოს – კორნელიელთა – მოდგმიდან, ბრალს მდებდა სიწმინდეთმკრეხელობაში, რადგან მე გოგრის წილ სუროდ ვთარგმნე მითითებული მცენარე. ნაცვლად გოგრისა თუ სუროსი ებრაულ ტექსტში გვხვდება ტერმინი *ciceion*. იგი მცირე ზომის ხეა, ვაზის მსგავსი განიერი ფოთლებით. მცენარის ეს სახეობა მრავლად იზრდებოდა პალესტინაში, ძირითადად უდაბნოში. თუკი მის თესლს მიწაში ჩავაგდებთ, სითბოს ზემოქმედების შედეგად საოცარი სისწრაფით აღმოცენდება. რამდენიმე დღეში, ბალახის სახით ნანახი მცენარე მცირე ზომის ხეს ემსგავსება. წინასწარმეტყველთა

1 სულხან-საბა ორბელიანი აყიროს შემდეგნაირად განმარტავს: „აყირო ... ესე ნაყოფი სამგვარი არს: აყირო, გოგრა და ხაპი. აყირო არს ქერქ-ზრქელი, მსგავსი საწდისა, ვიეთნი კვასად უწოდენ; გოგრა არს ქერქ-თხელი და მხლად საჭმელი; ხაპი არს გვარი აყიროსი და უყელო, სასმისად იქმენ, რომელ არს კოში. და ესენიცა მრავალრიგნი არიან“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი I; ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1991, გვ. 81).

წიგნების თარგმნისას განვიზრახე, მითითებული მცენარის ებრაული სახელი დამეტოვებინა, რადგან ლათინურში მისი შესატყვისი არ გაგვანია, მაგრამ შემეშინდა, რომ გრამატიკოსები, თუკი განმარტების სრული თავისუფლება მიენიჭებოდათ, აღნიშულ ებრაულ ტერმინს ან ინდოეთში მობინადრე ცხოველებად, ან ბეოტიის მთებად, ანთუ განსხვავებული რამ სახით აღიქვამდნენ და ტექსტის შინაარსს სრულად დასცილდებოდნენ. სწორედ ამ მიზეზით ძველ მთარგმნელებს მივბაძე, რომელთაც ასევე **სუროდ** ეთარგმნათ სსენებული ებრაული ტერმინი, რაც ბერძნულად გადმოიცემა სიტყვით **κισσός**).

ფრიდრიხ რუჟემონი: ხსენებულ მცენარეს საკმაოდ მსხვილი ტანი და მრავალი ტოტი გააჩნია, საიდანაც განიერი ფოთლები იზრდება და სასიამოვნოდ აჩრდილებს. ტოტებსა და ფოთლებს შორის ყვითელი ყვავილები აღმოცენდება, რომლის თესლიც სისხლის გამწმენდ ზეთს შეიცავს. საკმარისია ტოტებს მოწყდეს ყვავილი და ფოთოლი, რომ რამდენიმე წუთში ჭკნებიან ისინი, როგორც ყველა სწრაფად მზარდ მცენარეს ემართება).

მხ. 7. „მოავლინა ღმერთმა მეორე დღეს, განთიადისას, მატლი, გამოაჭმევიანა აყირო და გახმა იგი“¹.

ნეტარი იერონიმე: მცირე ზომის ხე **ciceion**, რომელიც მალე იზრდება და მალევე ხმება, შეგვიძლია ისრაელს შევადაროთ, რომელმაც უმნიშვნელო ფესვი გაიდგა სულიერ ნიადაგში და, მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლეზე ასვლა იზრახა, ვერ მიემსგავსა საღვთო კედარსა და ნაძვს.

სანამ მზე ამობრწყინდებოდა, ის, რაც იონას აჩრდილებდა, სიმწვანით იყო აღსავსე, და აყირო, სიმბოლო იუდეველი ერისა, არ გამხმარა. მაგრამ რაჟამს სიმაართლის მზე აღმოცისკრდა, ანუ ქრისტე ღმერთი წუთისოფელს მოველინა, მისი ბრწყინვალეებისა და სხივების ქვეშ ნინევიური სიბნელე, ძველი აღთქმის სულიერი წყვიდადი, განქარდა, ხოლო იონას მაჩრდილებელი მცენარე, იუდეველი ერი, გახმა. მატლსა და ხორშაკ ქარში რომაელ

1 „და უბრძანა უფალმან ღმერთმან მატლსა განთიადისასა სვალისაგან და განავმო აყიროჲ იგი“.

მხედართმთავრებსა და ჯარს მოიაზრებენ, რომელთაც ქრისტეს აღდგომის შემდეგ პირწმინდად გაანადგურეს ისრაელი).

მკ. 8-11. „მზე რომ ამოვიდა, მოავლინა ღმერთმა აღმოსავლეთის ცხელი ქარი; მზემ ისე დააცხუნა თავზე იონას, რომ მან, ღონემიხდილმა, სიკვდილი ინატრა, თქვა: «ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია». უთხრა ღმერთმა იონას: «მაგრად გამწარდი ამ აყიროს გამო?» მიუგო: «მაგრად გაემწარდი, ლამის მოვკვდე». უთხრა უფალმა: «შენ ერთი აყირო დაგენანა, თუმცა შენ არ დაგირგავს და არც გაგიზრდია. ერთი ლამის შვილი იყო და ერთ ღამეში გახმა. აბა, მე როგორ არ დამენანოს დიდი ქალაქი ნინევი, სადაც ასოცი ათასზე მეტი კაცია, ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევია მარჯვენა და მარცხენა, და სადაც უთვალავი პირუტყვია?»¹.

ეპისკოპოსი პალადი: აყიროს გახმობის შემდეგ ღმერთმა აღმოსავლეთის ცხელი ქარი მოავლინა. ანატოლიის ქვეყნებში ქარის აღნიშნული სახეობა უმძიმეს შედეგებს იწვევს, მას თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ადამიანის მოკვდინება ხელეწიფება).

ტექსტში მითითებული 120 000-ის შესახებ განსხვავებული მოსაზრება გამოითქვა. ზოგიერთი თვლიდა, რომ ამ ადამიანებში ყრმა ასაკის ბავშვები მოიაზრებიან. შესაბამისად, საშუალო გათვლებით, ნინევისა და მისი შემოგარ-

1 „და იყო აღმოსლვასა მზისასა, და უბრძანა უფალმან ღმერთმან ქარსა ცხელსა შემწუველსა და დააცხო მზემან თავსა ზედა იონასსა. და სულმოკლე იქმნა და აღმოვიდოდა სული მისი და თქუა: უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი ვიდრე ცხროებასა ჩემსა. და ჰრქუა უფალმან იონას: უკუეთუ ფრიად შეწუხებულ ხარ შენ აყირომას მაგისტუს? და თქუა იონა: ფრიად შეწუხებულ ვარ მე ვიდრე სიკუდილმდე. და ჰრქუა უფალმან იონას: შენ ერიდები და სწყყლობ აყიროსა, რომლისათუს არა დაჰშუერ მას ზედა, არცა განჰზარდე იგი, რომელი აღმოვდა ღამე და ღამეცა წარწყმდა. მე არა შევიწყალო-ა ნინევი, ქალაქი, რომელსა შინა დამკვდრებულ არიან უმრავლეს ათორმეტისა ბევრისა კაცნი, რომელთა არა იციან მარჯუენე და მარცხენე მათი, და საცხოვარი ფრიად?“

ენის მოსახლეობა 600 000-ს აღწევდა. სხვათა ვარაუდით, აღნიშნულ რიცხვში ზრდასრული ადამიანები იგულისხმებიან, რომლებსაც არ გააჩნიათ ცოდნა ცოდვა-მადლის შესახებ. ამ შემთხვევაში ადამიანების რაოდენობა, დაახლოებით, 300 000-მდე უნდა ყოფილიყო.

ნეტარი იერონიმე: ნინევი, უმშვენიერესი და ულამაზესი ქალაქი, ქრისტეს ეკლესიის წინასახეა, სადაც ადამიანებს გადარჩენის შესაძლებლობა ეძლევათ. რაც შეეხება 120 000 ადამიანს, ვისაც მარჯვენა მარცხენისგან ვერ გაურჩევია, მათში მცირეწლოვანი ბავშვები უნდა მოვიაზროთ, თუმცა შესაძლოა, ესაა ხალხი, რომლებსაც იონას ქადაგებამდე ბოროტებასა და სიკეთეს, კარგსა თუ ცუდს შორის სხვაობა ვერ შეემეცნებინათ).

საკუთრივ ნინევის შესახებ მხოლოდ ორი წინასწარმეტყველი, იონა და ნაუმი, საუბრობს, და ორივე მათგანი თხრობას დასმული კითხვით ასრულებს¹. იონას წიგნის ბოლო ნაწილი მკითხველში თითქოს ერთგვარ გაურკვევლობას ბადებს, რადგან ვერ გებულობს, უპასუხა თუ არა წინასწარმეტყველმა კითხვას და თუნდაც ეპასუხა, წიგნში ეს არ ასახულა. როგორ უნდა გვესმოდეს იონას დუმილი? აქ შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ წინასწარმეტყველმა მთელი არსებით აღიქვა ის, რისი გაცხადებაც სურდა მისთვის შემოქმედს, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ეს წიგნი დაიწერებოდა, და გააცნობიერა რა საკუთარი დანაშაული უზენაესის წინაშე, იონამ ისტორიულ-ბიოგრაფიულ-წინასწარმეტყველებითი უწყება დასამოძღვრად შემდგომ თაობებს შემოუნახა.

წმ. ეფრემ ასური: იონა ქალაქგარეთ იმყოფებოდა. მთელი ნინევის მოსახლეობა გავიდა მასთან და ყველას ესმოდა, რომ წინასწარმეტყველი ვილაცას რაღაცას ეკითხებოდა და, ამასთანავე, თავადაც პასუხობდა შემკითხვე-

1 შდრ. „ბაბა, მე როგორ არ დამენახოს დიდი ქალაქი ნინევი, სადაც ასოციატასზე მეტი კაცია, ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევია მარჯვენა და მარცხენა, და სადაც უთვალავი პირუტყვია?“ (იონ. 4.11); „არ გიშუშდება ჭრილობა, გაგიარჯლდა წყლული. ვინც კი გაიგებს შენს ამბავს, ტაშს დაგცემს, რადგან ვის არ მისწვდენია შენი გამუდმებული სიკვება?“ (ნაუმ. 3.19).

ელს... ხალხმა სიყვარულით ხელში აიტაცა იგი, ვითარცა მეფე და ქალაქში შეიყვანა. დიდი თუ პატარა ცდილობდა, პატივი მიეგო მისთვის. როდესაც იონამ სამშობლოში წასვლა გადაწყვიტა, ნინეველებმა მისი გაცილება განიზრახეს. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარმეტყველს არ სურდა მათი თანხლება, ასურელები მაინც გაჰყვნენ. რაჟამს აღთქმულ მიწას მიაღწიეს, იონამ თანამგზავრთა განტყვება განიზრახა და მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა, რადგან ემინოდა, ისრაელში არსებული კერპთმსახურების ენთგამოუთქმელი სიმრავლე არ ენახათ და სინანულის გზით განწმენდილი ადამიანები კვლავ უკეთურებას არ ზიარებოდნენ. შიშობდა წინასწარმეტყველი, რომ ნინეველთა ახლადმეხორცებული სულიერი წყლული კვლავაც არ გახსნილიყო. საზიანოა უკეთური მაგალითი მდაბალი ადამიანისა, მაგრამ რაოდენ დამღუპველია მაგალითი იმისა, ვისაც განვითარების მაღალი საფეხურისთვის მიუღწევია და მერე დაცემულა. უსირცხვილო ცოდვილი თითქოსდა შეგნებულად საკუთარ საფუარს სხვის ცოშს თანაშეურთავს და თავისი სიახლოვითა თუ თანაზიარებით სხვებსაც თავხედობამდე მიიყვანს...

როგორ უნდა დაეძალა იონას თანატომელთა უკეთურება? იგივე ხერხი, რაც ზღვაზე გამოიყენა, ამჯერად ხმელეთზეც ააშოქმედა. როდესაც გარბოდა, მეზღვაურები დაარწმუნა, ხომალდზე გამგზავრების უფლება მიეცათ მისთვის. ახლაც დააჯერა ნინეველნი, რომ განშორებოდნენ, რადგან ამგვარად მიმართა: „დიდი დღესასწაულია ჩვენს მიწაზე, სადაც შეუძლებელია წარმართების ყოფნა. ჩემი ერის ძეებს ზეიმი აქვთ, რომელშიც არც ერთი უცხოტომელი არ უნდა მონაწილეობდეს. დიდ ღვინს გადაიხდიან წინადაცვეთილები, ხოლო წინადაუცვეთელებს ეკრძალებათ მიახლება მათთან. თქვენ, მართალია, მონანულნი ხართ, მაგრამ არა წინადაცვეთილნი. ამიტომაც შეირყვნება წმინდა დღესასწაული წინადაუცვეთელთა მონაწილეობით. წადით მშვიდობით, დაუბრუნდით თქვენს სამშობლოს და რაჟამს დღესასწაული დასრულდება, მაშინ მობრძანდით. მიიღეთ რჩევა და არ უარყოთ ჩემი ვედრება“. ნინეველებმა ირწმუნეს იონას სიტყვა, თაყ-

ვანი სცეს მას, კურთხევაც გამოითხოვეს და განშორდნენ. მწუხარებდა მთელი საკრებულო, დამშვიდობებისას ყველა ტიროდა, რადგან დღესასწაული აღმოჩნდა ხელისშემშლელი აღთქმული მიწის მოსახილავად.

იონა ტყუილის თქმაზე მეტად იმას უფროთხოდა, რომ ასურელებს, შესაძლოა, მისი სიტყვა არ დაეჯერებინათ, - შორს წასულიყო წინასწარმეტყველი, ისინი კი კვლავაც საზღვართან რჩებოდნენ. უეცრად მოპირდაპირე მხარეს დიდი მთა შენიშნეს და გადაწყვიტეს, უმაღლესი ასულიყვნენ მასზე, რომ თუნდაც მცირედი ნაწილი ენახათ იმ მიწისა, საითკენაც დიდი გულმოდგინებით მიემართებოდნენ და მთაზე ზეაღსვლა დაიწყეს. აი, მწვერვალსაც მიაღწიეს. მართალია, ეკრძალებათ ნინეველებს შესვლა აღთქმულ მიწაზე, მაგრამ თვალთ მანც მოიხილავენ მცირედს. მაღლიდან მზერა მთელ პალესტინას მოატარეს. უეცრად ხალხი შეძრწუნდა და ძლიერ შეშინდა, საშინელმა სულიერმა ტკივილებმა განმსჭვალა ისინი, რადგან აი, მთებზე საკურთხევლებია აღმართული, სიმაღლეებზე - წარმართული კერპები, ჭალებში გაუკუღმართებული მსახურებები აღესრულება, ტყეებში მრუშობას მისცემიან ადამიანები. ურიცხვია შეცოდებანი, დაუთვლელია უკეთურებანი. თვალწინ გადაშლილმა სანახაობამ ძრწოლა მოჰგვარა ნინეველებს და ასე მიმართავენ ერთმანეთს: „ნუთუ სიზმარია? აღთქმული მიწაა თუ სოდომი? ჩვენ წინაშე აბრაამის ძენი არიან თუ დემონები? მართლა ადამიანებს ვხედავთ? იქნებ სულები არიან, კაცთა გამოსახულებით? ნუთუ აქ გადმონაცვლა ჩვენ მიერ ჩვენივე ქვეყნიდან განდევნილმა უკეთურებამ? ისეთ ურჯულოებას ვხედავთ, როგორც ჩვენს სამშობლოშიც არ გვენახა! ისეთი ცოდვები აღესრულება, რასაც ჩვენში ვერასოდეს გაიგებდი! არასოდეს შეგვიწირავს ბავშვები დემონებისთვის, აქ კი ვხედავთ, რომ ჩვილები დაიკვლიან! ჩვენში მსხვერპლად პირუტყვი იწირება, ამათთან საკუთარ ასულებს ადავლენს ხალხი!“

ურთიერთში ამგვარად ბჭობდნენ მონანული ნინეველნი და როგორი მძაფრი გულისთქმითაც სურდათ აქამდე აღთქმული ქვეყნის მოხილვა, ნანახით შეძრწუნებულმა

ზუსტად ისეთივე გულმოდგინებით მოიძულეს იგი, სირბილით უკუიქცნენ და ამბობდნენ: „მარადის იყოს ჩვენს ქვეყანაში ნეტარი წინასწარმეტყველის ხსოვნა, რადგან ისაა მიზეზი ჩვენი გადარჩენისა და სწორედ მისგან მივიღეთ ყოველივე სასარგებლო“).

დეკან. იოანე სოლოვიოვი: ფსევდოეპიფანესა და ფსევდოდოროსოტეს ცნობებით, სამშობლოში დაბრუნებულ იონას თანატომელები ნინევის დაქცევასთან დაკავშირებული უწყების შეუსრულებლობის მიზეზით ისე დასცინოდნენ, კიცხავდნენ და შეაჭირვებდნენ, რომ წინასწარმეტყველმა იუდეა დატოვა და საკუთარ დედასთან ერთად ფინიკიის ტვიროსში გაიხიზნა, სადაც გარდაიცვალა. ასევე გავრცელებულია სხვა ცნობებიც. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემის თანახმად, ღვთის ნების აღმსრულებელი იონა ნინევიში დარჩა და იქვე აღესრულა. მეორე ცნობის მიხედვით, იგი გეთხოფერში დაბრუნდა და ვიდრე გარდაცვალებამდე მშობლიურ ქალაქში ცხოვრობდა. ძნელია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი უწყებაა ჭეშმარიტი, რადგან 1842 წელს ქალაქ მოზულში აღმოჩენილ ნინევის ნანგრევებსა და სოფელ ელ-მეშახში (გადმოცემის თანახმად სწორედ აქ მდებარეობდა გეთხოფერი), ორივეგან იონას საფლავების არსებობაზე მიუთითებენ).

ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა

- ძველი აღთქმის საწინასწარმეტყველო წიგნთა განმარტებანი, შემდგენელი – დეკანოზი აკაკი მეგრელიშვილი, თბილისი, 2011 წელი.
- А. П. Лопухин; Толковая Библия или комментарий на все книги Св. Писания Ветхого и Нового Заветов; Второе издание, Петербург; Институт перевода библии, том 7, Стокгольм, 1987.
- Александр Павлович Лопухин; Библейская история при свете новейших исследований и открытий; Ветхий Завет, том 2, Москва, 2007.
- Протоиерей Александр Мень; Исагогика, Курс по изучению Священного Писания, Москва, 2003.
- Протоиерей Александр Мень; История религии, В поисках пути, истины и жизни, вестников Царства Божия, том 5, Москва, 1992.
- Андрей Петрович Смирнов; Покаяние Ниневитян, опубликовано – Чтения в Обществе любителей духовного просвещения, 1879, 1, 70-111.
- Св. Ефрем Сирин; Толкование на книгу пророка Ионы (Иона 3. 2-3), **იხ. ინტერნ. საიტ.** <http://lib.eparhia-saratov.ru/books/06e/efrem/sirin3/8.html>.
- Блаженный Иероним Стридонский, толкование на книгу пророка Ионы; Опубликовано: Творения, ч. 13; Киев, 1896, ст. 201-253.
- Протоиерей Иоанн Соловьев; О книге пророка Ионы; Опыт исагогико-экзегетического исследования, Магистерская диссертация, Москва, 2006.
- Святитель Кирилл Александрийский, толкование на пророка Иону; Опубликовано: Богословский вестник, 1893, 9; Прил., 19-50; 1893, 11; Прил., 34-37.
- Митрополит Митрофан (Симашкевич); Пророчество

Наума о Ниневи; Эгзегетическое исследование с очерками истории Ассирийского государства и историко-критическим решением вопроса о происхождении книги пророка Наума; С.-Петербург, 1875.

- Епископ Паладий (Пьянков); Толкования на книги святых пророков Ионы и Михея, Москва, 1998.
- Блаженный Феодорит Кирский; Толкование на книгу пророка Ионы. Опубликовано: Творения. Ч. 4. М., 1857, 318-344.
- Фридрих Ружемон; Краткое объяснение двенадцати последних пророческих книг ветхого завета, С.-Петербург, 1880.
- Толкование ветхозаветных книг от книги Исаии по книге Малахии; Русское издание подготовлено для печати Славянским Миссионерским Издательством; Ашфорд, Коннектикут, США, 1996.
- Митрополит Митрофан (Симашкевич); Пророчество Наума о Ниневи; Эгзегетическое исследование с очерками истории Ассирийского государства и историко-критическим решением вопроса о происхождении книги пророка Наума; С.-Петербург, 1875.
- Епископ Паладий (Пьянков); Толкования на книги святых пророков Ионы и Михея, Москва, 1998.
- Блаженный Феодорит Кирский; Толкование на книгу пророка Ионы. Опубликовано: Творения. Ч. 4. М., 1857, 318-344.
- Фридрих Ружемон; Краткое объяснение двенадцати последних пророческих книг ветхого завета, С.-Петербург, 1880.
- Толкование ветхозаветных книг от книги Исаии по книге Малахии; Русское издание подготовлено для печати Славянским Миссионерским Издательством; Ашфорд, Коннектикут, США, 1996.